პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 დეკემბერი **ორშაბათი** 2012 **№310 (13 916)** ფასი 80 თეთრი

„ლელოს“ გამოკითხვა

## რად უნდა კითხვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა



**წლის გასროლა**

**აიწია, სტყორცნა და ევროზასკეტში მოარტყა.**

*კალათბურთელთა ნაკრებმა ზედიზედ მეორედ ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.*



**წლის გამოცდა**

**თბილისში ძალიან ვინერვიულეთ, -**

*ვისენტე დელ ბოსკე.*

*საქართველოს ნაკრებმა ესპანეთს კინაღამ ფრე გაუგორა, 86-ე წუთზე გაშვებული ბურთით დამარცხდა.*



**წლის ანგარიში**

**46:0, ასე ვჯობივართ რაგბიში რუსეთს**

*ბორჯღალოსნებმა ერთა თასი კვლავ არავის დაუთმეს*

# შავდათუაშვილი!

28 დეკემბერს დასრულდა „ლელოს“ მკითხველთა ვერსიით საქართველოს 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოვლენის ტრადიციული გამოკითხვა. გამოკითხვა მიმდინარეობდა როგორც ინტერნეტის მეშვეობით, ისე სატელეფონო ზარებით, ლელოში კი ქვეყნდებოდა სპეციალური ანკეტა. გამოკითხვაში მონაწილეთა რიცხვმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, - შარშანდელთან შედარებით გაორმაგდა. სულ სამივე მიმართულებით რეფერენდუმში მონაწილეობდა 10 846 მკითხველი პრინციპით - ერთი გამოკითხული ერთი ხმა. 1000-1000-ზე მეტი ხმა მოაგროვა სამმა სპორტსმენმა, რომელთაგან პირველობა ძიუდოში ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ლაშა შავდათუაშვილს ხვდა წილად - 2765 ხმა, მეორე ადგილზე გავიდა ჩვენი გამოკითხვის შარშანდელი ლაურეატი, მორაგბე მამუკა გორგოძე - 1185, მესამეზე ასევე მორაგბე - მერაბ კვირიკაშვილი - 1444. დანარჩენი ხმები იმ 43 სპორტსმენზე გადანაწილდა, რომლებმაც დიდებში 2012 წელს მაღალი სპორტული შედეგებით გამოიჩინეს თავი. მკითხველის რჩეული "ლელოს" ტრადიციული პრიზით 2013 წლის იანვარში დაჯილდოვდება.




2012 წლის 29 ივლისი. ლონდონის ოლიმპიადაზე ლაშა შავდათუაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა. ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტო

**ლელოს მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 3 იანვარს**

# 2012
## წლის მონაგარი
### იანვარი

5. **ზოგადი.** სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ წლის საუკეთესო სპორტსმენად მორაგბე **მამუკა გორგოძე** დაასახელა.

6. **ჭადრაკი.** რეჯიო ემილიის (იტალია) ტურნირი **სოფიკო გურამიშვილმა** მოიგო.

8. **კალათბურთი.** ბერძნულ „პანიონიოსში" გადავიდა **ვლადიმერ ბოისა.**

13. **ბატუტზე ხტომა.** ლონდონში სალიცენზიო ტურნირზე **ლუბა გოლოვინამ** ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა.

14-16. **ჩოგბურთი.** კარიერაში **ანა ტატიშვილმა** პირველად მოიგო ავსტრალიის ღია პირველობაზე მატჩი, მეორე წრეში კი მსოფლიოს პირველ ჩოგანთან დამარცხდა.

16. **ჩოგბურთი.** ბელეკის (თურქეთი) საერთაშორისო ტურნირი მოიგო **სოფიო ქვაცაბაიამ.**

20. **კალათბურთი.** **ზურაბ საკანდელიძისა** და **მიხეილ ქორქიას** მემორიალის ფინალში „არმიამ" შსს 99:83 დაამარცხა და მთავარ პრიზს დაეუფლა.

20-22. **ოლიმპიზმი.** ინსბრუკის ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე ქართველმა სპორტსმენებმაც იასპარეზეს.

22. **სუმო.** იანვრის ბაშოზე ვიცეჩემპიონი გახდა და მებრძოლი სულის პრიზი მიიღო **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ).

23. **რაგბი.** რაგბის კავშირის ყრილობაზე **გიორგი ნიჟარაძე** ერთხმად აირჩიეს ფედერაციის პრეზიდენტად.

23. **ჩოგბურთი.** **სოფიო ქვაცაბაიამ** ბელეკის (თურქეთი) მეორე საერთაშორისო ტურნირიც მოიგო.

24. **რაგბი.** **ჯაბა ბრეგვაძე** ფრანგულ „ტულუზში" გადავიდა.

25-26. **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. ჩემპიონები: **დავით სანიკიანი (50), რამაზ სურმანიძე (55), ამირან შავაძე (60), ფირუზ წულუკიძე (66), ლაშა გობაძე (74), დავით ჩაკვეტაძე (84), იაკობ ქაჯაია (96), ლევან არაბული (120).**

28. **ფიგურული ციგურაობა.** **ელენე გედევანიშვილმა** შეფილდში ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

28-29. **ძიუდო.** ქართველთა ტრიუმფით დასრულდა თბილისის მსოფლიოს თასი, ჩვენებმა 7-დან 6 ოქრო მოიპოვეს, ასევე 5 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. ჩემპიონები გახდნენ: **ბეთქილ შუკვანი (60), ლაშა შავდათუაშვილი (66), ნუგზარ ტატალაშვილი (73), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81), ვარლამ ლიპარტელიანი (90), ადამ ოქრუაშვილი (100+).**

29. **ძიუდო.** სპორტს დაუბრუნდა ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური,** მან თბილისის მსოფლიოს თასზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

30. **ფეხბურთი.** თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტისგან ესპანელი **ალექს გარსია** გაათავისუფლა და **გიორგი დევდარიანი** დანიშნა.

30. **ფეხბურთი.** „ზესტაფონის" ფორვარდი **ნიკოლოზ გელაშვილი** გერმანულ „ბოხუმში" გადავიდა.

30. **ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე** გახდა.

30. **კალათბურთი.** საქართველოს თასის თბილისის „არმიამ" მოიგო, ფინალში „ქუთაისი" 86:80 დაამარცხა.

---

ქართული ფეხბურთის წელიწადი

# რა დაგვიტოვა 2012-მა?

## კარგის და ცუდის შეჯამება

**ნამდვილად შეიძლება იმაზე კამათი, იყო თუ არა წარმატებული 2012 წელი ქართული ფეხბურთისთვის. ვფიქრობთ, ამ შეკითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს – მრავლად იყო როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მოვლენები. იმის თქმა კი უდავოდ შეგვიძლია, რომ განვლილი საფეხბურთო წელიწადი საინტერესო გამოვიდა და მოდით, ერთად გავიხსენოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები.**

### იანვარი

"დინამოს" მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან ესპანელი **ალექს გარსია** გაათავისუფლეს, ეს კი ამ უკანასკნელის სამშობლოში გამართული შეკრების მიწურულს მოხდა. გარსიას ადგილი **გიორგი დევდარიანმა** დაიკავა.

"ზესტაფონიდან" გერმანულ "ბოხუმში" გადავიდა **ნიკოლოზ გელაშვილი,** რომელმაც ახალი კლუბის მაისურით პირველი გოლი სადებიუტო მატჩშივე გაიტანა, მაგრამ ეს მისი ერთადერთი ბურთი აღმოჩნდა იმ სეზონში.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები კი **ალექსანდრე ჩივაძეს** ჩააბარეს. ეროვნული გუნდის ყოფილ თავკაცს არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ მაღალი მიზნებისთვის ებრძოლა – იმ დროისთვის ჩვენს ახალგაზრდულს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი უკვე დაკარგული ჰქონდა.

### თებერვალი

თბილისის "დინამოს" ახალმა თავკაცმა **გიორგი დევდარიანმა,** რომელიც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებსაც წვრთნიდა, არჩევანი საკლუბო კარიერის სასარგებლოდ გააკეთა და ნაკრები დატოვა.

საქართველოს ნაკრების ახალ კაპიტნად კი გუნდის დამრიგებელმა **თემურ ქეცბაიამ ზურაბ ხიზანიშვილი** დანიშნა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ხიზანიშვილის კაპიტნობამ მხოლოდ რამდენიმე თვე გასტანა.

თებერვლის ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხბურთო მოვლენა კი საქართველო-ალბანეთის ამხანაგური მატჩი იყო, რომელიც ჩვენმა გუნდმა მძიმე ბრძოლაში **ალექსანდრე კობახიძისა** და **ალექსანდრე ამისულაშვილის** გოლებით 2:1 მოიგო. ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა ორი პენალტი გააფუჭა.

### მარტი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით დასძლია თბილისში გამართული ელიტრაუნდი. **ვასილ მაისურაძის** გუნდმა "სიკვდილის ჯგუფში" გამარჯვება შეძლო – ჯერ ესპანეთს 1:1 დაუზავდა, რის შემდეგაც ერთმანეთის მიყოლებით ერთნაირი ანგარიშით, 1:0 სძლია ინგლისსა და უკრაინას.

ეს 2012 წელს ქართული ფეხბურთისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ამბავი იყო, მაგრამ ჩვენი 17-წლამდელები ამას არ დასჯერდნენ და უფრო დიდი სიხარული მოგვიანებით გვაჩუქეს.

### აპრილი

"დინამოს" წარუმატებელ ასპარეზობას მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან **გიორგი დევდარიანის** გადადგომა მოჰყვა. სეზონი საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა **რამაზ მუმლაძის** ხელმძღვანელობით ჩაამთავრა.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ **ლევან ყენია,** რომელსაც მძიმე ტრავმის გამო დაახლოებით ორწელიწადნახევარი გაუცდა, გერმანულ "შალკეს" დატოვებდა. გელზენკირხენულმა კლუბმა ქართველ ნახევარმცველს ოფიციალური გაცილებაც მოუწყო.

### მაისი

ეს თვე საინტერესო მოვლენებით დახუნძლული აღმოჩნდა, თუმცა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წარმატებამ ყველა სხვა ამბავი დაჩრდილა. მაისურაძის ბიჭებმა სლოვენიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჯგუფური ეტაპი დაძლიეს და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც დრამატულ ბრძოლაში ტენდენციური მსაჯობის ფონზე მომავალ ჩემპიონ ჰოლანდიასთან დამარცხდნენ. ჩვენი ნაკრები კონტინენტის პირველობის ბრინჯაოსმედალოსანი გახდა, რაც უპრეცედენტო შედეგია დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა **კახა კალაძემ,** რომლის ბოლო კლუბიც იტალიური "ჯენოა" აღმოჩნდა. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი პოლიტიკურ ასპარეზზე გადაერთო და დღეს ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრია. სკანდალურად დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც "ზესტაფონმა" და "მეტალურგმა" ქულათა თანაბარი რაოდენობით დაასრულეს. ჩემპიონობა ორივე გუნდმა იზეიმა, ტიტულის მფლობელი კი მეორე დღეს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე გაირკვა – ოქროს მედლები "ზესტაფონს" მიაკუთვნეს.

არანაკლებ სკანდალური გამოდგა საქართველოს თასის ფინალი, სადაც გორის "დილამ" "ზესტაფონს" სძლია, მატჩის ანტიგმირი კი არბიტრი **ლევან კვარაცხელია** გახდა. რამდენიმე დღეში სეზონი სუპერთასის მატჩით დასრულდა, სადაც "ზესტაფონმა" "გაგრა" დაამარცხა.

ევროსაგზურები "ზესტაფონმა", "დილამ", "მეტალურგმა" და "ტორპედომ" მოიპოვეს, "დინამო" კი სენსაციურად დარჩა საერთაშორისო სარბიელს მიღმა.

17-წლამდელებისგან განსხვავებით, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს ვერ უწია საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა, რომელმაც **ოთარ კორღალიძის** ხელმძღვანელობით ელიტრაუნდში მეორე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ეროვნული ნაკრები ავსტრიაში გამართულ ამხანაგურ მატჩში თურქეთთან 1:3 დამარცხდა. ერთადერთი ქართული გოლი **დავით თარგამაძის** ანგარიშზეა.

გერმანული "ჰერტა" პირველი ბუნდესლიგიდან გავარდა, მის ქართველ ვეტერან **ლევან კობიაშვილს** კი წლის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ეს ერთობ საეჭვო გარემოებაში მოხდა – "კობი" მხოლოდ მსაჯის მონაყოლის საფუძველზე დასაჯეს, სხვა თვითმხილველები კი ლევანის უდისციპლინო საქციელს არ ადასტურებენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კი ევრო 2020-ის მასპინძლობისთვის ბრძოლა წამოიწყო.

### ივნისი

უეფამ თბილისს ევროპის 2015 წლის სუპერთასის მასპინძლობის უფლება მისცა. ქართულ მხარეს საკმარისი დრო აქვს იმისთვის, რომ "მიხეილ მესხი" უმაღლესი რანგის საერთაშორისო შეხვედრისთვის მოამზადოს.

წლის ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო საფეხბურთო ამბავი ივნისის თვეში მოხდა – 55 წლის ასაკში გარდაიცვალა თბილისის "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ლეგენდარული თავდამსხმელი **რამაზ შენგელია.**

ლევან ყენიამ კი "ზენიტში" გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ სანკტ-პეტერბურგული კლუბი დატოვა. არადა, მას წინასწარი კონტრაქტიც კი ჰქონდა გაფორმებული.

### ივლისი

ევრობატალიებში ქართულმა კლუბებმა თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინეს. ყველაზე მტკივნეული ჩემპიონთა ლიგაზე "ზესტაფონის" მიერ ბაქოს "ნეფთჩისთან" განცდილი მარცხი იყო. რუსთავის "მეტალურგმა" ევროპის ლიგაზე ერთი ეტაპი გადალახა, ქუთაისის "ტორპედომ" კი ესეც ვერ შეძლო.

### აგვისტო

ევროსარბიელზე მთელი ჩვენი იმედები გორის "დილაზე" იყო დამყარებული, რომელმაც ტურნირს ჯერ დანიური "ორჰუსი", შემდეგ კი კვიპროსული "ანორთოსისი" გამოთიშა.

საქართველოს თასის მფლობელმა ბრძოლა ევროპის ლიგის პლეი ოფში შეწყვიტა – ჯგუფისკენ მიმავალი გზა "დილას" პორტუგალიურმა "მარიტიმუმ" გადაუკეტა, რომელმაც გორელებს ორივე მატჩში სძლია. არადა, ამ ეტაპზე ამაზე იღბლიან წილისყრას ვერც ვინატრებდით...

» მე-3 გვერდზე



საქართველო-ესპანეთი. ამ ეპიზოდში მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშე გიორგი ლორიამ ტრავმა მიიღო და შესაცვლელიშეიქნა

---

ბენდელას თასი

# კაშია აქაც საუკეთესოა

*"ეს ტურნირი ეძღვნება არა მხოლოდ აფხაზეთის ომის გმირს, ზაზა ბენდელიანს, არამედ ყველას, ვინც საქართველოს სიცოცხლე შესწირა. ეს მუხტი ყოველთვის იგრძნობოდა და იგრძნობა. ამიტომ თანხმდებიან ცნობილი ფეხბურთელები "ბენდელას თასზე" მონაწილეობას, რომ ჩვენი გმირების ხსოვნის წინაშე ვალი მოიხადონ"* – გვითხრა **ქართლოს ჭუმბურიძემ.**

ქართლოსი, თავის ძმასთან, **კახა ჭუმბურიძესთან** ერთად "ბენდელას თასის" უკვე 22-ე (?!) გათამაშების ორგანიზატორია, ბოლო 12 წელი კი, გვერდში დაუდგნენ "იბერია ბიზნეს ჯგუფი", თბილისის ფეხბურთის ფედერაცია და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

გუშინ "ბენდელას" სტადიონზე გადამწყვეტი მატჩები გაიმართა. ჯერ მოედანზე 2001 წელს დაბადებულები გავიდნენ. მე-3 ადგილისთვის **ლევან ჩხაიძის** განვრთნილი "საბურთალო - 2" **კოტე მელქაძის** დამოძღვრილ "35-ე სკოლას" შეხვდა. უნდა გენახათ, ბავშვები რა აზარტით, ემოციითა და თავდადებით თამაშობდნენ, ან რა კომბინაციებს ათამაშებდნენ – საბოლოოდ, "საბურთალო — 2"-მა დაძაბულ შეხვედრაში 2:1 გაიმარჯვა.

ფინალში კი "დინამოს აკადემია" (მწვრთნელი: **სულიკო დავითაშვილი**) "საბურთალო 1"-ს (მწვრთნელი: **მიშა მოსიაშვილი**) დაუპირისპირდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მატჩი ფეხბურთის ყველაზე მკაცრი გურმანის გემოვნებასაც დააკმაყოფილებდა – მოედანზე ქართული ფეხბურთის მომავალი ვიხილეთ, უნიჭიერესი ბავშვები, რომლებიც ასაკისთვის გასაოცარ ფეხბურთს აჩვენებდნენ. თავიდან საბურთალოელები დაწინაურდნენ, მაგრამ დავითაშვილის გუნდმა მდგომარეობა გამოასწორა და 4:1 გაიმარჯვა.

დიდების გათამაშების ფინალი ორი მატჩისგან შედგებოდა: სეუ (**გიორგი სომხიშვილი, სერგი ორბელაძე, გურამ კაშია, დავით ოდიკაძე, გიორგი ნავალოვსკი, გოგი ფიფია, შოთა კუბლაშვილი**) შედარებით უცნობი მოთამაშეებით შედგენილი "ვისოლთან" მეორე შეხვედრაში 3:4 დამარცხდა, მაგრამ პირველი დაპირისპირება 8:5 მოიგო და მთავარ პრიზს დაეუფლა.

ტურნირის გამორჩეულ მოთამაშეებს პრიზები "იბერია ბიზნეს ჯგუფის" პრეზიდენტმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა,** თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა **გრიგოლ ცაავამ** და "ყავა პელეს" წარმომადგენელმა გადასცეს.

"ბენდელას" პოპულარიზაციაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი **მერაბ ჟორდანიას**: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის დროს, ტურნირი წლის კალენდარში შეიტანა. ამჯერადაც საუკეთესო მოთამაშისთვის "ვიტესის" ფორმის ეკიპირება გამოაგზავნა, რომელიც... ისევ არნემელთა კაპიტანს, **გურამ კაშიას** ხვდა წილად. ზედიზედ მესამე წელია, რაც საქართველოს ნაკრების მცველი "ბენდელაზე" საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს იღებს და **გიორგი დემეტრაძის** რეკორდი გაიმეორა. მაგრამ დღემდე ვერავინ მოხერხა გიორგის შედეგიანობის (25 გოლი) გაუმჯობესება.

19 იანვრიდან 20 თებერვლამდე კი "ბენდელას თასი" პროფესიულ კლუბებს შორის გათამაშდება. ქართლოს ჭუმბურიძის თქმით, მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს თბილისის "დინამომ", ქუთაისის "ტორპედომ", "ზესტაფონმა", რუსთავის "მეტალურგმა", "ზოოვეტმა" – ზოგი დუბლებით ითამაშებს, ზოგიც - ძირითადი შემადგენლობით.

ამავე დროს, შევიტყვეთ, რომ "ბენდელას" ორგანიზატორები მაყურებლის დასაინტერესებლად 23-ე გათამაშების ფორმატის შეცვლას აპირებენ. როგორ და რა ფორმით, მალე გახდება ცნობილი.

**მერაბ მამულაშვილი**

« მე-2 გვერდიდან

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში სტუმრად **ლევან მჭედლიძისა** და **ალექსანდრე ამისულაშვილის** გოლებით 2:0 სძლია ლუქსემბურგს. დაიწყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, რომლის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერიც **ჯაბა დვალის** "ზესტაფონიდან" თბილისის "დინამოში" გადასვლა იყო.

საქართველოს მოქმედ ჩემპიონ "ზესტაფონიდან" **გიორგი ჭიაბრიშვილი** დაითხოვეს, რომელიც **დავით მუჯირისა** და **ზაზა ზამთარაძის** დუეტმა შეცვალა.

## სექტემბერი

დაიწყო მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. სასტარტო მატჩში საქართველოს ნაკრებმა ბელარუსს უმასპინძლა და **თორნიკე ოქრიაშვილის** ეფექტური გოლით 1:0 დაამარცხა.

ამის შემდეგ ქეცბაიას გუნდმა "დინამო არენაზე" ევროპისა და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ესპანეთს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, 0:0-ზე ამისულაშვილმა ბურთი მეტოქის კარის ძელს მოარტყა, სენსაციის ავტორობამდე კი მცირედი დაგვაკლდა - ესპანელებმა **რობერტო სოლდადოს** მიერ 86-ე წუთზე გატანილი გოლით იმარჯვეს. ეს მატჩი ჩვენი ნაკრების მეკარის, **გიორგი ლორიას** ბენეფისი იყო...

ზურაბ ხიზანიშვილი სანაკრებო სიაში აღარ გამოჩენილა, საქართველოს ნაკრების ახალი კაპიტანი კი **ჯაბა კანკავა** გახდა.

გორის "დილაში" **თემურ შალამბერიძე გიორგი დარასელიამ** შეცვალა. ისრაელიდან სამშობლოში დაბრუნებულმა სპეციალისტმა საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში თავისი კვალი 11-მატჩიანი გამარჯვებათა სერიით დატოვა.

## ოქტომბერი

ოქტომბრის შესარჩევი მატჩები კი ჩვენი ეროვნული გუნდისთვის დიდად წარმატებული ვერ გამოდგა – ფინეთში ნათამაშებ 1:1-ს ბელარუსში განცდილი 0:2 მოჰყვა.

სამაგიეროდ, ოქტომბერი წარმატებული გამოდგა ჩვენი ასაკობრივი ნაკრებებისთვის - 17-წლამდელებმაც და 19-წლამდელებმაც ელიტრაუნდის საგზურები მოიპოვეს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 17-წლამდელებში გამართული პირველი ეტაპი, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა, ოქტომბრის ბოლოს დაიწყო და ნოემბრის დასაწყისში დასრულდა.

თურქული "ქაისერისფორი" დატოვა **შოთა არველაძემ**, რომელმაც სულ მალე სტამბულის "ქაშიმფაშა" ჩაიბარა.

შედეგიანი გამოდგა წელიწადი ფინური "ინტერ ტურკუს" ქართველი ფორვარდის, **ირაკლი სირბილაძისთვის**, რომელიც ფინეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და საუკეთესო თავდამსხმელი გახდა.

"იბერია სტარი" კი ქართული ფუტსალის ისტორიაში უდიდეს სიმაღლემდე ავიდა – თბილისში გამართული საკვალიფიკაციო ეტაპი მოიგო და ევროპის ფუტსალის თასზე ოთხ საუკეთესო კლუბს შორის მოხვდა. 2013 წლის გაზაფხულზე უპრესტიჟულესი გათამაშების დასკვნით სტადიას თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს და ტიტულისთვის "იბერიაც" იბრძოლებს.

## ნოემბერი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ელიტრაუნდში გასასვლელ გადამწყვეტ შეხვედრაში შოტლანდია 3:0 გაანადგურა და იმის იმედიც გაჩნდა, რომ ქართველი 17-წლამდელების ეს თაობა წინაზე არანაკლებ წარმატებული იქნება.

"მიხეილ მესხზე" საქართველო-ეგვიპტის ეროვნულ ნაკრებთა უსახური სპარინგი ლოგიკური შედეგით, 0:0 დასრულდა.


ჩისკო - საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული მოთამაშე

## დეკემბერი

დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი. "ზამთრის ჩემპიონი" თბილისის "დინამო" გახდა, ზეექვსეულში მოსახვედრად გაჩაღებულ დაძაბულ ბრძოლაში კი "ზესტაფონმა" ახალი თავკაცის, **კახა კაჭარავას** ხელმძღვანელობით "მეტალურგს" აჯობა.

სეზონის პირველი ნახევრის დასრულებისთანავე გიორგი დარასელია "დილადან" წავიდა და კარიერას რუსეთში გააგრძელებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული გამოკითხვის შედეგად 2012 წლის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად და საუკეთესო ლეგიონერად **გურამ კაშია** დასახელდა. ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი **ნიკა ძალამიძე** გახდა, ხოლო ჩვენი უმაღლესი ლიგის წლის საუკეთესო მოთამაშე "დინამოს" ესპანელი შემტევი **ჩისკოა**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

● წლის სიხარული

# ვასილ მაისურაძის მეექვსე გრძნობა

**საქართველოსა და ინგლისის 17-წლამდელთა თამაშის შემდეგ, სიხარულით სავსე ჩვენი გუნდის დამრიგებელმა ვასილ მაისურაძემ თქვა ფრაზა, რომელიც გონებიდან არ ამოდის: "დღეს სისტემა და ამ სისტემისგან შექმნილი დიდი მანქანა დავამარცხეთ. ეს ყველაფერი სიყვარულით და თავდადებით გავაკეთეთ. თავიდანვე მქონდა იმედი, რომ არ წავაგებდით და ბიჭებს ვუთხარი კიდეც. ბოლომდე ბრძოლამ შედეგი მოიტანა..."**

**იმ დროიდან, როდესაც ინგლისელმა მეზღვაურებმა ფოთელები და მერე მთელი საქართველოც ბურთის გორებით გადარიეს, არასოდეს, არც ერთი ქართული კლუბი თუ ნაკრები ევროპის საუკეთესოთა შორის არ მოხვედრილა.**

**ეს 41 წლის ვასილ მაისურაძემ შეძლო, რომლის გაწვრთნილი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.**

**ვასილ მაისურაძე 2012 წლის ქართული ფეხბურთის უდავოდ ყველაზე დიდი სიხარულის შემოქმედია...**

**"ლელოსთან" ინტერვიუში ახალგაზრდა მწვრთნელი განვლილ გზას, წარმატების მიზეზებსა და სხვა საინტერესო ამბებს იხსენებს.**

## მეც არ მსიამოვნებს...

**- ერთ მშვენიერ დღეს ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი ნაკრების მწვრთნელად გაიღვიძეთ. არადა, დანიშვნის შემდეგ დარდობდით, 1995 წელს შობადობის დაბალი მაჩვენებელი სანაკრებო კონტინგენტზეც აისახაო.**

- მართლაც ასე იყო. ომების გამო ქვეყანაში გაჭირვება იყო, რაც დემოგრაფიულ მდგომარეობაზე აისახა. ფეხბურთელების დიდი არჩევანი არ გვქონდა. იმ მშვენიერ დღემდე ბევრი მძიმე დღე და ვითარება გამოვიარეთ და ჩვენს თავზე მართლაც ბევრმა ქარტეხილმა გადაიარა, იყო ურთულესი პრობლემები და წინააღმდეგობები, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ფედერაციაც ბოლომდე მენდო და მწვრთნელთა შტაბის შრომით, თავდადებითა და პატიოსნებით შედეგს მივაღწიეთ.

**- პატიოსნება ახსენეთ. ქართულ ფეხბურთში, სადაც პროტექციონიზმი და "ჩემიან-შენიანი" დღემდე ძალაშია, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. მაგრამ პატარა ქვეყანაში ძნელია დაწუნებული მოთამაშის მამა დაარწმუნო, რომ მისი შვილი მესი არ არის. გამიგია, რომ ამის გამო მეგობარი გაგინაწყენდათ.**

- მწვრთნელობას იმიტომაც გამდობენ, რომ ეს ყველაფერი დაალაგო. ჩემთვისაც არ არის სასიამოვნო, მეგობრის, კოლეგისა და ახლობლის შვილზე უარის თქმა რომ მიწევს, მაგრამ საკუთარ თავთან მართალი უნდა იყო.

## რუმინელი საფეხბურთო დრაკულა

**- 2013 წელს 19-წლამდელთა ნაკრების შესარჩევში ისევ ჰოლანდია შეგხვდათ. იმედია, უეფა მატიუს ავრამის გამოგზავნითაც არ "დაგვასაჩუქრებს" – რუმინელმა არბიტრმა ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში ნიკა ჭანტურია გაგვიგდო და ალბათ, წლის ყველაზე კოშმარულ მოგონებად დაგრჩათ.**

- ის უსამართლოდ არა მხოლოდ ჭანტურიას გაგდების დროს მოგვექცა - ჰოლანდიელთა პირველი გოლიც 100-პროცენტიანი თამაშგარედან ჩათვალა.

**- არ გქონდათ განცდა, რომ ევროპელებისთვის საქართველოს ნაკრები დაახლოებით ასე იყო - "შვილო, ვის დაეკარგეთ?"**

- (იცინის) თავიდან კი, მაგრამ ელიტ რაუნდში ინგლისი, ესპანეთი და უკრაინა რომ ჩავტოვეთ, პატივისცემით გაგვიწყნენ. სლოვენიაში უკვე სახელით ჩავედით და ერთმანეთს ხელით ანიშნებდნენ, აი, ესენი არიანო. მერე ევროპაზე ჯგუფში საფრანგეთი ჩავტოვეთ და მათმა მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე აღტაცება ვერ დამალა.

**- ინგლისთან მოგების შემდეგ თქვით, ჩვენ სისტემა დავამარცხეთო. მაგრამ თავად თქვენ სისტემას არ წარმოადგენდით.**

- სამწუხაროდ, ასეა. უცნობ ფაქტს გეტყვით: მიხეილ მესხის სტადიონის ოთხივე ტრიბუნაზე ინგლისელთა მწვრთნელს ჰყავდა ასისტენტები გადამცემებით, რომლებიც აცნობებდნენ, ვინ, როგორ და რამდენად სასარგებლოდ მოქმედებდა, მოძრაობდა, პოზიციურად ვინ ცდებოდა... ორი მათგანი საქართველოს აკვირდებოდა, ორიც – ინგლისს. ეს არის გამართული სისტემა.

» მე-4 გვერდზე



---

● რეგიონი

# სერგო კოტრიკაძის თასი ქობულეთელებმა დაიტოვეს!

შაბათს ქობულეთში დასრულდა სახელოვანი ქართველი მეკარის **სერგო კოტრიკაძის** სახელობის ტურნირი. ფინალში ქობულეთელებმა სამხრეთ ოსეთის ნაკრებს 5:1 მოუგეს. მთავარი თასი გამარჯვებულს **რევაზ ჩელებაძემ** გადასცა. ტურნირის ყველა მონაწილე აღფრთოვანებული დარჩა შეჯიბრების ორგანიზებით. გათამაშებაში 16 გუნდი მონაწილეობდა, მასპინძელ აჭარას, ორგანიზატორ სამეგრელოს და თბილისს 2-2 გუნდი წარმოადგენდა, დანარჩენ რეგიონებს კი თითო წარმომადგენელი ჰყავდათ. გუნდებს მხოლოდ ტრანსპორტირების ხარჯები უნდა გაეწიათ, ხოლო ადგილზე ყოფნის ხარჯები მთლიანად ფეხბურთის ფედერაციამ დაფარა.

ტურნირის ორგანიზატორის, სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **სერგო კვარაცხელიას** თქმით, ტურნირი ტრადიციული გახდება

**მათე ბურული**
ლანჩხუთიდან

---

# 2012

1. **ოლიმპიზმი.** სეოკ-მა 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენად მშვილდოსანი **ქრისტინე ესებუა** დაასახელა.

3-5. **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** სოფიის საერთაშორისო ტურნირზე ქართველებმა 6 მედალი მოიგეს. 2 ოქრო: **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე** (96); 2 ვერცხლი: **ქემალ ხარაბაძე** (55), **მანუჩარ ცხადაია** (74); 2 ბრინჯაო: **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **სანდრო დიხამინჯია** (96).

4. **ძიუდო.** პარიზის დიდ სლემზე **ამირან პაპინაშვილმა** (60 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

5. **ფეხბურთი.** გერმანულ „ბოხუმში" დებიუტი **ნიკოლოზ გელაშვილმა** გამარჯვების გოლის გატანით აღნიშნა.

11. **რაგბი.** ერთა თასის მატჩში საქართველოს ნაკრებმა მადრიდში ესპანეთთან 18:25 წააგო.

11. **ჩოგბურთი.** ამერიკულ რანჩო მირაჟში (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარი) ტურნირი წყვილთა თანრიგში **სოფიო შაფათავას** და **ეკა გორგოძის** დუეტმა მოიგო.

11-12. **ძიუდო.** ავსტრიის მსოფლიოს თასზე ქართველებმა 4 მედალი მოიპოვეს: 2 ოქრო — **ბეთქილ შუკვანი** (60), **ლევან ნიკლაური** (81); 1 ვერცხლი — **ადამ ოქრუაშვილი** (100+) და 1 ბრინჯაო — **ზვიად ხანჯალიაშვილი** (100+).

15-16. **თავისუფალი ჭიდაობა:** კიევის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულები გახდნენ: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55 კგ), **დავით მარსაგიშვილი** (84) და **დავით მოძმანაშვილი** (120); **დავით ხუციშვილმა** (74) და **ელიზბარ ოდიკაძემ** (96) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

18-19. **ძიუდო.** დიუსელდორფის გრან პრიზე **ვალერი ლიპარტელიანმა** (90 კგ) ოქროს მედალი მოიპოვა, **ადამ ოქრუაშვილმა** (100+) - ვერცხლის, ხოლო **ბეთქილ შუკვანმა** (60) ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

21. **სწრაფი ჭადრაკი.** თბილისის „ვარსკვლავთა ტურნირი" **ნანა ძაგნიძემ** მოიგო.

23-24. **სამბო.** მინსკის საერთაშორისო ტურნირზე ქართველებმა 5 მედალი მოიპოვეს. ოქრო: **დავით კარბელაშვილი** (90 კგ). **ნიკოლოზ კუცია** (82) ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: **ლევან ნახუცრიშვილმა** (68), **ბექა ბერულავამ** (74) და **გიორგი ბაინდუროვმა** (82).

24. **ლელო.** გაზეთმა „ლელომ" მისი მკითხველების რჩეული დააჯილდოვა - **მამუკა გორგოძემ** (რაგბი) 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის პრიზი მიიღო.

24-25. **თავისუფალი ჭიდაობა.** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში. ჩემპიონები: **ბექა ბუჯიაშვილი** (50 კგ), **ლაშა ტალახაძე** (55), **ლევან ქელეხსაშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **ჯუმბერ ყველაშვილი** (74), **სანდრო ამინაშვილი** (84), **გიორგი მეშვილდიშვილი** (96) და **გენო პეტრიაშვილი** (120).

26. **რაგბი.** ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა პორტუგალიას უმასპინძლა და 32:7 მოუგო.

26. **ჩოგბურთი.** მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგში **ოქსანა კალაშნიკოვამ** მოიგო.

26-27. **ძიუდო.** პრაღის მსოფლიოს თასზე ქართველებმა თითო ოქრო — **ლაშა შავდათუაშვილი** (66 კგ), ვერცხლი — **ბექა ღვინიაშვილი** (81), ბრინჯაო — **ადამ ოქრუაშვილი** (100+)) მოიპოვეს და გუნდური პირველი ადგილიც დაისაკუთრეს.

27. **ფეხბურთი.** თბილისის „დინამოს" თავკაცი **გიორგი დევდარიანი** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა.

27. **ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა თემურ **ქეცბაიამ** ნაკრების ახალ კაპიტნად **ზურაბ ხიზანიშვილი** დანიშნა.

29. **ფეხბურთი.** გაიმართა საქართველოსა და ალბანეთის ნაკრებების ამხანაგური მატჩი, 2:1 საქართველოს სასარგებლოდ.


# დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

DINAMO TBILISI 1925

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge

ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელი ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.

დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2

რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

# ქართული ფეხბურთი

## 2012

### წლის მონაგარი

### მარტი

**7-9. თავისუფალი ჭიდაობა.** ბელგრადში ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა 5 მედალი მოიპოვეს. **დავით მარსაგიშვილი** (84 კგ) ჩემპიონი გახდა, **ბესიკ გოჩაშვილმა** (55) და **დავით ხუციშვილმა** (74) ვერცხლი მოიპოვეს, ხოლო **მალხაზ ზარქუამ** (60) და **დავით მოძმანაშვილმა** (120) - ბრინჯაო.

**10. რაგბი.** ერთა თასზე საქართველომ ბუქარესტში 19:13 მოუგო რუმინეთს.

**11. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ბელგრადში ევროპის ჩემპიონატში **მანუჩარ ცხადაიამ** (74 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**12. ფეხბურთი.** დაიწყო საქართველოს ჩემპიონატის ახალი ეტაპი: პლეი ოფი და პლეი აუტი.

**14. ჭიდაობა.** ოფიციალურად დადასტურდა, რომ ევროპის 2013 წლის ჩემპიონატს ჭიდაობაში თბილისი უმასპინძლებს.

**17. რაგბი.** ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა რეკორდულად დაამარცხა რუსეთი - 46:0.

**19. ჩოგბურთი** ქლეარუოთერის (აშშ) ტურნირი. **ეკა გორგოძემ** მოიგო წყვილებში.

**22. რაგბი.** ბრიტანული ტურნეს პირველ მატჩში საქართველოს ა ნაკრებმა ინგლისური „ეშერი" 25:8 დაამარცხა.

**24. ბატუტზე ხტომა.** საქართველოს ჩემპიონატი **ლუბა გოლოვინამ** მოიგო.

**24. ჩოგბურთი.** ასტანის (ყაზახეთი) საერთაშორისო ტურნირი **ოქსანა კალაშნიკოვამ** მოიგო წყვილებში.

**25. კალათბურთი.** ნბა-ში კარიერის ორი რეკორდი დაამყარა **ზაზა ფაჩულიამ** „იუტასთან" მატჩში: 54,5 წუთი ითამაშა და 20 მოხსნა მიითვალა.

**26. ფეხბურთი.** ელიტრაუნდის I ტურის მატჩში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ესპანელ თანატოლებთან 1:1 ითამაშა.

**27. რაგბი.** საქართველოს ა ნაკრებმა უელსის პრემიერლიგის ნაკრებს 36:32 მოუგო.

**28. ფეხბურთი.** ელიტრაუნდის II ტურის მატჩში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ინგლისი 1:0 დაამარცხა.

**30. რაგბი.** 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველომ ინგლისთან 8:58 წააგო.

**30. წყალბურთი.** დაიწყო საქართველოს მორიგი ეროვნული ჩემპიონატი.

**30. სამბო.** ფედერაციის პრეზიდენტი **სოსო ლიპარტელიანი** გახდა.

**31. ფეხბურთი.** ელიტრაუნდის ბოლო ტურში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა უკრაინა 1:0 დაამარცხა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

**31. რაგბი.** საქართველოს ა ნაკრებმა ბრიტანეთის ტურნეს ბოლო შეხვედრაც მოიგო, ჩრდილო უელსური რგგ 25:17 დაამარცხა.

**31. ფიგურული ციგურაობა.** მსოფლიოს ჩემპიონატზე ნიცაში **ელენე გედევანიშვილმა** X ადგილი დაიკავა.

**31. ჭადრაკი.** პლოვდივში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე **ბაადურ ჯობავამ** (23-ე ადგილი) ქართველთაგან ერთადერთმა მოიპოვა მსოფლიოს თასის საგზური.

### აპრილი

**3. რაგბი.** ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა იტალია 20:18 დაამარცხა.

**5-9. სამბო.** ბუქარესტში ევროპის ჩემპიონატზე (ჭაბუკები და ახალგაზრდები) ქართველმა სამბისტებმა ჯამში 16 მედალი მოიპოვეს.

**7. რაგბი.** ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მე-5 ადგილისთვის მატჩი შოტლანდიასთან დათმო - 10:29.

**13. ძალოსნობა.** ევროპის ჩემპიონი გახდა **რაულ ცირეკიძე** (85 კგ).

**14. ბატუტზე ხტომა.** ევროპის ჩემპიონატზე მე-5 ადგილი დაიკავა ლუბა გოლოვინამ.

**15. ძალოსნობა.** ანთალიაში ევროპის ჩემპიონატზე **ირაკლი თურმანიძემ** (მძიმე) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

---

### წლის სიხარული

# ვასილ მაისურაძის მეექვსე გრძნობა

« მე-2 გვერდიდან

**- ერთი მხრივ, ეს კარგია, მაგრამ, მეორეს მხრივ, ფეხბურთელს ყველაფრის კარნახი იმპროვიზაციისგან დაცლილ "ზომბად" არ აქცევს? ფეხბურთში ყველაზე კარგი ამბები იმპროვიზაციის დროს ხდება. ვერც ერთი სპეციალისტი წინასწარ ვერ გამოიცნობდა, დარციმელია ქუსლით შედევრ გადაცემას რომ გაუკეთებდა პაპუნაშვილს.**

- უდავოა, რომ დარციმელია-პაპუნაშვილმა მაგარი გოლი "გამოაცხვეს" და ასეთ შეტევას სქემებით ვერ დაუდგები. მაგრამ ინფორმაციების დამუშავება და ანალიზი ისევ იმპროვიზაციას უწყობს ხელს. უბრალოდ, ყველაფერს მაღალ დონეზე სწავლობენ. დარწმუნებული ვარ, ისიც კარგად შეისწავლეს, ჩვენთან რატომ დამარცხდნენ და ამას სამომავლოდ გაითვალისწინებენ.

## მეექვსე გრძნობა

- თბილისში ძალიან ვნერვიულობდი. ასეთ ნაკრებებს შენი გუნდი თბილისში, ზღვა ხალხის წინაშე რომ ხვდება, მოგებას ითხოვენ. ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ყოფილა. თან გინდა დაამტკიცო. ადვილი ნამდვილად არ არის.

**- ასეთი ემოციებით შეუძლებელია ყველაფერი წინასწარ დაწერილი თუნდაც რამდენიმე სქემის მიხედვით გადაწყვიტოთ. ამ დროს უკვე ყველაფერი მწვრთნელის იმპროვიზაციაზეა დამოკიდებული.**

- რა თქმა უნდა! ყველაფრის დაგეგმვა წარმოუდგენელია! სხვათა შორის, ჩვენთან მატჩის წინა დღესაც არ იცოდა ფეხბურთელმა, შემადგენლობაში ითამაშებდა თუ არა. იმდენად დიდი წნეხი იყო, ბიჭები ყველა წვრილმანსა და სიტყვას ძალიან განიცდიდნენ და გვეშინოდა, თამაშამდე არ "გადამწვარიყვნენ". ბავშვები თითოეულ სიტყვასა და ბგერასაც კი იჭერენ. რამდენიმე დაითრგუნა იმის გამო, ინგლისსა და ესპანეთს რომ ვხვდებოდით. ყოფილა შემთხვევა, მოედანზე მოთელვის დროს გადაგვიწყვეტია, ვის ეთამაშა. რომ გვეგონა, მზად იყო, სახეზე სხვა რამ ეწერა და პირიქით. ასეთ დონეზე მნიშვნელოვანია თითოეული წუთი და წამიც კი. აქ უკვე სქემები გვერდზეა და წინ მოდის ის, რაც მწვრთნელს უნდა ჰქონდეს. ალბათ, სწორედ ეს არის მეექვსე გრძნობა.

## ნიკალაევიჩის სასმელი

**- ანეგდოტად დადის, გამარჯვებით გახარებულმა როგორ მიმართეთ ისლანდიასთან მოგების შემდეგ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც მაშინ ყველა შიშით ელაპარაკებოდა – "ნიკალაევიჩ, ხომ არ დავლიოთო".**

- ეს მე არ მითქვამს. ალექსანდრე ჩივაძის სიტყვები მომაწერეს. პრეზიდენტმა ვიწრო წრე სავახშმოდ მიგვიწვია და ჩივაძე ისეთი გახარებული იყო, შინაურულად მიმართა.

**- ასეთ დროს გამარჯვებულთან პრეზიდენტის რანგიც მეორეხარისხოვანი ხდება.**

- ცხადია, ყველა გახარებულები ვიყავით და იუმორს წინ არაფერი დაუდგებოდა, სუფრაზე და ნებისმიერ გარემოში ეს კარგია. მოედანზეც შეუძლებელია სულ სერიოზული იყო, ასე გუნდსაც დაძაბავ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ყოველთვის, ყველა ვითარებაში ვცდილობ, მწვრთნელის ჩარჩოებიდან არ გავიდე.



## ბენდელაძე გაძლიერებული შიმშილის გრძნობა

**- კარიერა ნაადრევად დაასრულეთ...**

- 28 წლის ვიყავი, როდესაც "ტორპედოდან" "სიონში" გადავედი. 2001 წელს ბუცებიც ჩამოვკიდე.

**- გარდა იმისა, რომ ფეხბურთი გენატრებოდათ, ელემენტარულად, ხელფასს ვერ იღებდით. რამ გაიძულათ დარჩენილიყავით ფეხბურთში, რომელიც საქართველოში სულაც არ იყო პერსპექტიული და ფინანსურად მომხიბვლელი სფერო, მით უფრო, მაშინ.**

- ეს მხოლოდ სიყვარულის, იმედისა და ვალდებულების გამო გავაკეთე. 2003 წლიდან "დინამოში" სელექციონერად ვმუშაობდი და მწვრთნელების სერიოზული ნაკლებობა შევნიშნე, პრობლემა იყო კვალიფიკაციაც, მიდგომაც და რაოდენობაც. ჩვენნაირ ქვეყანას 3-4-ჯერ მეტი მწვრთნელი უნდა ჰყავდეს.

**- თქვენში მწვრთნელის ნიჭი ვინ შენიშნა, ან ამ გადაწყვეტილებაზე ვინმემ მოახდინა გავლენა?**

- ეს "ბენდელას თასზე" მოხდა, ძალიან მაგარი ტურნირი იყო, ბევრი ცნობილი ფეხბურთელი თამაშობდა, მუჯირი, დემეტრაძე, კობიაშვილი, კალაძე, იაშვილი, ანჩაბაძე, უმცროსი ვიტალი დარასელია. მაშინ ჩემი უბნის გუნდი, "ნაძალადევი" შევკრიბეთ და ჩვენმა ფეხბურთელმა, გიორგი მოსულიშვილმა და ბიჭებმა მთხოვეს, კარგად ვთამაშობთ, მაგრამ უმწვრთნელოდ მოგების შანსი არ გვაქვს, გუნდი მოედანზე შენ გაიყვანე და დავალებები მოგვეციო. ჩემპიონები გავხდით და ჩემი თავი მწვრთნელად მაშინ დავინახე. "დინამოში" სელექციონერად მისული მწვრთნელობაზე უკვე ფიქრობდი. მინდოდა ფეხბურთს "ხელით" შევხებოდი. დავიწყე და მერე მივხვდი, რომ შიგნიდან ფეხბურთი სულ სხვაგვარია. საფეხბურთო პროცესში უამრავი უცნობი ნიუანსი შევნიშნე, ფეხბურთელები და მოვლენები უფრო სალად შევაფასე.

**- მწვრთნელობა სტრესთან დაკავშირებული საქმეა. ამ დროს მშვიდად ვერ იაზროვნებ. ანუ, რა თვისება არის თქვენს საქმეში მნიშვნელოვანი?**

- რამდენიმე წლის წინათ ინგლისში გამოკითხვა ჩაატარეს, მწვრთნელისთვის რა უფრო მნიშვნელოვანია, დიდი ფეხბურთელობა, ტაქტიკური თუ ზოგადი განათლება... პირველ ადგილზე პიროვნული თვისებები გავიდა. ცოდნა და ტაქტიკა-თეორია ბევრს ნიშნავს, მაგრამ პიროვნული თვისებების გარეშე ყველაფერი წყალში ჩაგეყრება. ყველაფერი ადამიანებთან ურთიერთობებით იწყება. თუ ძლიერი და მყარი არ ხარ, პირველივე პრობლემაზე წაიქცევი.

**- ვიცი, რომ თქვენი თაობის გამორჩეული ფეხბურთელი იყავით, მაგრამ ჯანმრთელობამ თამაშის საშუალება არ მოგცათ. ასე მგონია, რომ მწვრთნელობას დიდი ფეხბურთის შიმშილით იწყებენ.**

- ესეც არის და სურვილიც, რომ შენი სიტყვა თქვა. ეს სწორად შენიშნეთ, ეს ფაქტორი ჩემში არის. ამ შიმშილით ყოველდღე [illegible], იზრდები და ვითარდები. ასეთი შინაგანი ჭიდილით მომიწია ესპანეთ-ინგლის-უკრაინა-საფრანგეთთან თამაშები.

## ბარსელონა!

**- მწვრთნელი, გუნდი და საფეხბურთო ფილოსოფია, რომელმაც თქვენზე ყველაზე დიდ გავლენა მოახდინა?**

- "ბარსელონა"! ასეთი გუნდი მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში არ ყოფილა. ამ გუნდის მწვრთნელიც, ფილოსოფიაც და მოთამაშეებიც ჩემთვის მისაბაძები არიან.

**- "ბარსელონას" დღევანდელი კონცეფციის ავტორის, იოჰან კრუიფისა და ქართული ფეხბურთის მეტრის, ანდრო ჟორდანიას მოსაზრებები ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავს, ორივე უნივერსალიზმის წინააღმდეგია და მიიჩნევენ, რომ ეს ფეხბურთში ინდივიდუალიზმსა და შემოქმედებას კლავს.**

- მე არ ვარ უნივერსალიზმის კატეგორიული მოწინააღმდეგე. "ბარსელონაში" ეს და გუნდურობა ერთმანეთთან კატეგორიულად არის შერწყმული. კატალონიური გუნდი არის სიმაღლე, რომელზეც ორ[illegible]ტირი უნდა აილო და მისგან ბევრი ისწავლო. ჩვენი ბიჭები უცხოეთში რომ მიდიან, უნივერსალიზმზე მეტად, გუნდურობის, სხვებთან ურთიერთობისა და გარემოსთან ადაპტაციის პრობლემა ექმნებათ.

**- "ბარსელონას" მიბაძვა ყველას უნდა და სწორედ ეს არის საფრთხე – ოცნებასა და რეალობას შორის ზღვარის გავლება ყველას არ ეხერხება. მოთამაშეებიდან გამომდინარე, შესაძლოა, გუნდს მისი საპირისპირო ფეხბურთი ათამაშო.**

- მაგრამ ორიენტირად მაინც "ბარსელონა" უნდა გქონდეს, რათა მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა ვიცოდეთ, საქმე როგორ დონეზე უნდა ვაკეთოთ, რომ მარტივად თამაშშია გენიალურობა, რომ წლების განმავლობაში სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშია კლასის განმსაზღვრელი. ქართველები ამისკენ უნდა მივდიოდეთ, რადგან ნახევარი წელიწადი ვფაფხურობთ და მერე ვიკარგებით. თორემ, "ბარსელონასავით" სხვა ვერავინ რომ ვერ ითამაშებს, სადავო არც არის.

**- რას ისურვებდით და გვისურვებდით დამდეგ, 2013 წელს?**

- ყოფილიყოს სიკეთისა და სიხარულის მომტანი, ჩვენს კლუბებსა და ნაკრებებს კი საუკეთესოთა შორის დამკვიდრებას ვუსურვებდი. მთავრობის მიმართ ჩემი თხოვნა იქნება, ფეხბურთს ფინანსურად დაეხმარონ, რადგან ეს ჰაერივით სჭირდება. თუ ხანგრძლივი პროექტი განხორციელდება, შესაძლოა, მერე ბიუჯეტში ერთ-ერთ მსხვილ გადამხდელადაც მოგვევლინოს. და რაც მთავარია, ფეხბურთს შეუძლია ხალხსა და ქვეყანასა ისეთი სიხარული მიანიჭოს, რასაც სხვა ვერ მოახერხებს.

**მერაბ მამულაშვილი**

---

### გამოხმაურება

# ლაშა შინდაგორიძე: ამიტომ გადავწყვიტე აგენტების გარეშე მოლაპარაკება...

წლის კონფლიქტით დასრულება არ გვსურდა, მაგრამ ფიფას აგენტის, ბესო აბაშიძისა და თბილისის "დინამოს" დაპირისპირებაზე კომენტარი ფეხბურთელმა **ლაშა შინდაგორიძემ** ისურვა, რომელსაც სააგენტო Players Agents-თან კონტრაქტი აკავშირებდა – აბაშიძე სწორედ ამ სააგენტოს წარმოადგენს.

სააგენტოს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ შინდაგორიძე ვალდებული იყო "დინამოსთან" მოლაპარაკება მათი შუამავლობით ეწარმოებინა, რადგან ამ ფეხბურთელთან კონტრაქტი გვაკავშირებსო.

"მე უბრალოდ მოგიყვებით ამ ხალხთან ჩემი სამწლიანი ურთიერთობის შესახებ და არიან თუ არა ისინი ჩემი აგენტები, ეს მკითხველმა განსაჯოს. 2009 წლის მაისში, როდესაც "სასკოში" ვთამაშობდი, მოვიდნენ და პრაღის "სლავიაში" სინჯებზე წასვლა შემომთავაზეს. პარალელურად მათ სააგენტოსთან 2-წლიანი კონტრაქტის გაფორმება მომთხოვეს. ტესტირებამ ჩემთვის წარმატებით ჩაიარა. მოგვიანებით წინასწარ შეთანხმებული კონტრაქტის პირობები საგრძნობლად შეიცვალა, ისეთ თანხაზე იყო საუბარი, რომლითაც ჩეხეთში ვერ ვიცხოვრებდი. ამავე წლის ოქტომბერში დანიურ "ორჰუსში" სინჯებზე წამიყვანეს, სადაც ერთი კვირა დავყავი. 2010 წლის იანვარში "ორჰუსთან" 1,5 წლიანი კონტრაქტი გავაფორმე, სადაც U-19 და სარეზერვო გუნდში მიწევდა თამაში. ჩემით კმაყოფილნი იყვნენ, მაგრამ ისევ ახალგაზრდულ გუნდში მიწევდა თამაში. აგენტები უკეთესი კლუბის პირველ გუნდში თამაშს შემპირდნენ. დავუჯერე აგენტებს და დანიურ კლუბთან მოქმედი კონტრაქტი შევწყვიტე. დანიიდან პოლონეთში გამიშვეს, სადაც მითხრეს, რომ "ვიძევში" ყველაფერი გარკვეულია, მარტო ჩასვლა და ერთი-ორი ვარჯიში იყო საჭირო და პირველ გუნდთან კონტრაქტს გავაფორმებდი. ჩავედი ლოძში, მივედი "ვიძევის" ბაზაზე და პირველი გუნდის ნაცვლად, რასაც მპირდებოდნენ, ერთ-ერთ ასაკობრივ გუნდთან მომიწია ორმხრივი თამაშის ჩატარება, სადაც ჩემთან ერთად კიდევ 40 კაცი იმყოფებოდა შერჩევაზე. პოლონეთში გატარებული 5-დღიდან, ვარჯიშის შესაძლებლობა მხოლოდ ერთხელ მომეცა, ვიძევის ერთ-ერთ ასაკობრივ გუნდთან. უცხო ქალაქში ყოველდღე მარტო ფეხით დავდიოდი ბაზაზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზს მეუბნებოდნენ და ვარჯიშს ვერ ვახერხებდი. უბრალოდ იქ მე არავინ მელოდა, არადა ჩემმა აგენტებმა გამგზავნეს. საბოლოოდ თბილისში დავბრუნდი. შემდეგ მითხრეს რამდენიმე გუნდის ვარიანტი გვაქვს და მოიცადეო. ამასობაში დრო გადიოდა. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე მითხრეს ყველაფერი ჩაიშალა და ერთადერთი ვარიანტი ჩეხეთშია როგორც მითხრეს, სლავიას ყოფილი მწვრთნელი, დუკლაში გადავიდა სამუშაოდ და ჩემი დუკლაში წაყვანა სურდა. მაგრამ პრაღაში ჩემი ხარჯებით უნდა წავსულიყავი, აგენტებმა მითხრეს, რომ ჩემი ჩეხეთში გამგზავრების ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნდათ. მე ჩემი ხარჯებით ჩეხეთში წასვლა ვერ შევძელი და შესაბამისად დუკლას ვარიანტიც ჩავარდა. ამ პერიოდში ჩემს სატელეფონო ზარებზე სააგენტოს წარმომადგენლები არ პასუხობდნენ და მათი ჩემდამი ინტერესი ნელ-ელა ქრებოდა. მოვიდა ზაფხულიც, გაიხსნა სატრანსფერო ფანჯარა და მათი მხრიდან დუკლას გარდა სხვა ვარიანტები საერთოდ არ ჩანდა. როგორც მეუბნებოდნენ, ჩემით დუკლას მწვრთნელი იყო დაინტერესებული. ივლისში კვლავ დამიკავშირდნენ Players Agents-ის წარმომადგენლები და ორი კვირით ჩეხეთში წამიყვანეს. ორკვირიანი ვარჯიშის შემდეგ თბილისში უნდა ჩამოვსულიყავი, იმ პირობით, რომ მალე უკან დავბრუნდებოდი და გუნდთან კონტრაქტს გავაფორმებდი. თბილისში ყოფნისას აგენტებმა დუკლაში მეორედაც სინჯების გავლა მთხოვეს. პრაღაში ერთი კვირა ვივარჯიშე და მწვრთნელმა კვლავ ისურვა ჩემი ჩეხეთში დარჩენა. დუკლას მწვრთნელთან საუბრის შემდეგ, თბილისში წამოვედი იმ პირობით, რომ უკან დავბრუნდებოდი და ამჯერად მაინც გავაფორმებდი კონტრაქტს. რამდენიმე კვირის შემდეგ კი მათი პასუხი იყო, რომ დუკლას ვარიანტიც ჩაიშალა. მოგვიანებით თავად ვცადე სიტუაციაში გარკვევა, დუკლას მწვრთნელს დავუკავშირდი. როგორც გაირკვა კლუბის მენეჯმენტი და სააგენტო, რომელთანაც კონტრაქტი მქონდა გაფორმებული, პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. ამის შემდეგ მითხრეს კონტრაქტის გარეშე დროებით ზესტაფონის დუბლებში მევარჯიშა. ზესტაფონიდან წამოსვლა რომ დავაპირე კვლავ ვცადე ჩემს აგენტებთან დაკავშირება, რათა ისინი საქმის კურსში ჩამეყენებინა, რადგან "ზესტაფონში" მათ მიმიყვანეს, სამწუხაროდ ჩემს სატელეფონო ზარებზე ისინი კვლავ არ პასუხობდნენ. ამის შემდეგ ერთი თვე გავიდა, არც ერთ აგენტთან არ მილაპარაკია, ამასობაში ჩემით დინამო დაინტერესდა და "დინამოსთან" ხელშეკრულების გაფორმება აგენტების გარეშე გადავწყვიტე, ვინაიდან მათთან კონტრაქტი აღარ მაკავშირებდა. მას შემდეგ, რაც დინამოში დავიწყე ვარჯიში, კლუბში Players Agents-სგან მოვიდა წერილი, რომელიც ჩემი და სააგენტოს ურთიერთობის შესახებ იუწყებოდა. დოკუმენტი ინგლისურენოვანი იყო, მე მათ ვენდობოდი და ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ადამიანი, რომელიც პიროვნულ ღირსებებზე მელაპარაკებოდა, მოგვიანებით მოტყუებით გამაფორმებინებდა ახალ კონტრაქტს. ასეთი იყო ჩემი და სააგენტო Players Agents-ის სამწლიანი ურთიერთობა. ძალიან ვწუხვარ, რომ ამ ხალხს ვენდე და სამი წელი დავკარგე. ამ ხნის მანძილზე ისეთი პერიოდებიც იყო, როცა საერთოდ უიმედოდ ვიყავი. ახლა დინამომ მომცა შანსი სპორტული ფორმა აღვიდგინო და ყველაფერი გავაკეთო ფეხბურთის სათამაშოდ," - გვითხრა შინდაგორიძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XX ტური



თეო უოლკოტი (მარჯვენა) არსენალს ნიუკასლთან სამი გოლითა და ორი შედეგიანი გადაცემით შეეწია

# დასასრულიც ასეთი უნდა

**ნამდვილად** არ გვახსენდება, თუ როდის ჩატარდა ასეთი შედეგიანი ტური პრემიერლიგაში. მარტო შაბათის 8 შეხვედრაში 35 გოლი გავიდა. განსაკუთრებით ივაჟკაცა "არსენალმა". "მეთოფეებმა" "ნიუკასლს" ტყავი გააძრეს. მოქმედმა ჩემპიონებმა 10 კაცით "ნორვიჩს" გასვლაზე მოუგეს. "სტოკ სიტის" დაცვა კი უკვე აღარ ჰგავს თავის თავს. ყველამ ერთად კი გულშემატკივარს დაუვიწყარი საახალწლო საჩუქარი მიუძღვნა. დასასრულიც ასეთი უნდა... ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა, უჩვეულო იყო ისიც, რომ 8 შეხვედრაში 4 ავტოგოლი გავიდა. მოდი, თანმიმდევრობა დავარღვიოთ და მიმოხილვა ყველაზე საინტერესო მატჩებით დავიწყოთ.

## უოლკოტის არსენალი

"კაჭკაჭებმა" ბოლო 2 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანეს და ქულაც ვერ აიღეს. ამას ნამდვილად მოხერხება უნდა. **არსენ ვენგერის** გუნდს წინა ტურში "ვესტ ჰემთან" არ უთამაშია. ლონდონის მეტროს მუშაკების გაფიცვის გამო ლონდონური დერბი იანვრის მეორე ნახევარში ჩატარდება. ამ ფაქტორმა საბოლოო შედეგზე სერიოზული გავლენა იქონია. "მეთოფეებმა" ხომ 4 გოლი მატჩის ბოლო 17 წუთში გაიტანეს. შეხვედრა დაბალ ტემპში დაიწყო. ეს ყველაფერი იმდენად უინტერესო იყო, რომ ვენგერი ორი წუთის განმავლობაში საკუთარი ქურთუკის შესაკრავის შეკეთებით იყო დაკავებული. მე-20 წუთზე თამაშგარეს ზღვარზე მოთამაშე **თეო უოლკოტმა ლუკას პოდოლსკის** ბრწყინვალე გადაცემით ისარგებლა, **ტიმ კრულთან** პირისპირ გავიდა და შორეულ კუთხეში გაუტანა. პოლდიმ თანაგუნდელი 37-ე წუთზეც დატოვა მეკარესთან რანდევუზე. თავდამსხმელმა ბოლო მომენტში ველარ დაარტყა სათანადოდ. **დემბა ბამ** საჯარიმოდან გაათანაბრა. **ვოიცეხ შჩესნის ჯეკ უილშირის** რიკოშეტზე რეაქცია კი ჰქონდა, მაგრამ აღების შანსი არა.

მეორე ტაიმი **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენის** შედეგიანი დარტყმით დაიწყო. 6 წუთში **ბაკარი სანია** შეცდა. **გაბრიელ ობერტანმა** ლამის კარის ხაზზე მდგარ **სტეფან მარვოს** გაატანინა. პოდოლსკიმ "არსენალი" კიდევ ერთხელ გაიყვანა წინ, მაგრამ სტუმრებმა მალევე უპასუხეს. ბა ამჯერად **კირან გიბსის** ზურგს უკნიდან გამოხტა და ბურთი ახლო კუთხეში შეაგორა. უოლკოტი არ დაცხრა. 73-ეზე მან საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და კრულს აუღებელი დაურტყა. ვენგერმა შეტევა გააძლიერა – მოედანზე **ოლივიე ჟირუ** შეუშვა. ფრანგმა თავდამსხმელმა თეოს ორი გადაცემის წყალობით 3 წუთის ინტერვალში დუბლი მიითვალა. უოლკოტის სპექტაკლი ამით არ დასრულებულა. ბოლო წუთზე მან მარცხენა ფლანგიდან "ნიუკასლის" მთელი დაცვა გაიოგნა, 4 მეტოქე მოატყუა, დაეცა, წამოდგა და კრულს ახლო მანძილიდან ბურთი თავზე გადაუგდო. ფეხბურთელის ანგარიშზე ჩემპიონატში უკვე 8 გოლი და 7 საგოლე გადაცემა დაგროვდა. *"მისი ადგილი "არსენალშია", რადგან კლუბს უყვარს ის და მას უყვარს კლუბი,"* – განაცხადა მატჩის შემდეგ ვენგერმა.

## შეკრული სიტი ძლაა

"მანჩესტერ სიტის" ზუსტად 85 წამი დასჭირდა ანგარიშის გასახსნელად. **სერხიო აგუერო-დავიდ სილვას** კომბინაცია **ედინ ჯეკომ** ახლო მანძილიდან დააგვირგვინა. ორ წუთში ბოსნიელმა კიდევ ერთხელ გაიტანა. პასი ამჯერად მას უშუალოდ აგუერომ გადააწოდა. მე-14 წუთზე **ენტონი პიკლინგტონმა** საჯარიმო კარში გაუშვა, **ჯო ჰარტი გაელ კლიშის** რიკოშეტმა უშანსოდ დატოვა. პირველი ტაიმის მიწურულს მოხდა ის, რასაც შეეძლო, გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა მატჩის შედეგზე, მაგრამ პირიქით კი მოხდა – ნასრი არასათამაშო სიტუაციაში **სებასტიან ბასონგისთვის** თავის დარტყმის მცდელობისთვის მინდვრიდან გააძევეს. ჩემპიონი გუნდმა ამას კიდევ უფრო შეიკრა. 50-ე წუთზე **იაია ტურეს** გრძელი გადაცემა ბასონგს მხარზე მოხვდა, აგუეროს მიუვიდა, ვინც მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. 63-ე წუთზე შოტლანდიელმა **რასელ მარტინმა** კუთხურის გათამაშების შემდეგ ერთი ბურთი გაქვითა, რასაც 4 წუთში ჯეკომ კიდევ ერთი გასროლით უპასუხა, ოღონდ ბურთი ძელს მოხვდა, მერე **დეკლან რადს** და ისე გავიდა. 75-ე წუთზე "ნორვიჩის" კუთხურს კიდევ ერთი გოლი მოჰყვა. საბოლოოდ **ბრედლი ჯონსონის** დარტყმულს მარტინმა ფეხი დაუხვედრა და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა.

>> მე-6 გვერდზე

### სანდერლენდი–ტოტენჰემი 1:2

**გოლები:** 1:0 ოში (40), 1:1 კუელიარი (48-ს.კ-ში), 1:2 ლენონი (51)
**სანდერლენდი** (4-2-3-1): მინიოლე – კილგალონი (62. ფ. კემპბელი), ოში (68. ტ. ბრამბლი), კუელიარი, გარდნერი – კოლბეკი, ლარსონი (80. უიკჰემი) – მაკლინი, სესინიონი, ე. ჯონსონი - ფლეტჩერი
**ტოტენჰემი** (4-4-2): ლორისი – უოლკერი, დოუსონი, კოლკერი, ნაუტონი – სანდრო, დემბელე, ლენონი (83. პარკერი), ბეილი (90. სიგურდსონი) – დეფო (76. დემპსი), ადებაიორი
**გაფრთხილება:** კუელიარი – დოუსონი, დემბელე, ბეილი
**კარში დარტყმა:** 7-11 (4-8) **კუთხური:** 3-8 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 12-16 **ბურთის ფლობა:** 47%-53%
**მაყურებელი:** 41 168

### ასტონ ვილა–უიგანი 0:3

**გოლები:** 0:1 რამისი (3), 0:2 ბოისი (52), 0:3 კონე (56)
**ასტონ ვილა** (5-3-2): გუზანი – აირლანდი (63. ელ აჰმადი), ლოუტონი, ლიშაი (64. ოლბრაიტონი), ჰერდი, კლარკი – ბენეტი, ჰოლმენი (64. ბოუერი), ბენანი – ბენტეკე, ვაიმანი
**უიგანი** (3-4-3): ალ ჰაბსი – რამისი, კოლდუელი, ფიგეროა – ბოისი, მაკარტი, ჯონსი (65. მაკარქ ური), ბოსეჟური (69. გომესი) – კონე (87. მაკმანამან ი), დი სანტო, მელონი
**გაფრთხილება:** ბენანი, ლოუტონი, ვაიმანი – ბოისი, მელონი
**კარში დარტყმა:** 9-8 (3-5) **კუთხური:** 4-3 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 15-9 **ბურთის ფლობა:** 47%-53%
**მაყურებელი:** 33 374

### ფულჰემი–სუონსი 1:2

**გოლები:** 0:1 გრემი (19), 0:2 დე გუზმანი (52), 1:2 რუისი (56)
**ფულჰემი** (4-4-2): სტოკდეილი – ბრიგსი, ჰანგელანდი, ჰიუზი, რიტერი – ფრეი (86. სენდეროსი), კარაგუნისი, სიდუელი, დეჟაგა (76. როდალიეგა) – რუისი, ბერბატოვი
**სუონსი** (4-2-3-1): ტრემელი – რანხელი, მონკი, უილიამსი, ტიენდალი – დე გუზმანი, აგუესტიენი (82. ბრიტონი) – დაიერი, ერნანდესი (66. ბ. დევისი), რუტლეჯი (46. კი) - გრემი
**გაფრთხილება:** კარაგუნისი, სიდუელი - აგუსტიენი
**კარში დარტყმა:** 15-7 (6-6) **კუთხური:** 9-8 **თამაშგარე:** 1-0 **ჯარიმა:** 14-12 **ბურთის ფლობა:** 60%-40%
**მაყურებელი:** 25 700

### იუნაიტედი–ვესტ ბრომვიჩი 2:0

**გოლები:** 1:0 მაკოლი (9-ს.კ-ში), 2:0 ვან პერსი (90)
**იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა – ევრა, ევანსი, ვიდიჩი, სმოლინგი – კლევერლი (83. სქოულზი), კერიკი, იანგი, ვალენსია – უელბეკი, კაგავა (65. ვან პერსი)
**ვესტ ბრომვიჩი** (4-2-3-1): ფოსტერი – ჯონსი, მაკოლი, ტამაში, რიჯუელი – ტორნი, ბრანტი (75. მორისონი) – როსენბერგი (67. ლუკაკუ), დორანსი (83. ფორჩუნი), ოდემვინგე - ლონგი
**გაფრთხილება:** ვალენსია -
**კარში დარტყმა:** 10-5 (7-2) **კუთხური:** 9-6 **თამაშგარე:** 1-0 **ჯარიმა:** 11-5 **ბურთის ფლობა:** 49%-51%
**მაყურებელი:** 75 595

### ნორვიჩი–სიტი 3:4

**გოლები:** 0:1 ჯეკო (2), 0:2 ჯეკო (5), 1:2 პიკლინგტონი (14), 1:3 აგუერო (50), 2:3 მარტინი (63), 2:4 ბანი (67-ს.კ-ში), 3:4 მარტინი (75)
**ნორვიჩი** (4-4-2): ბანი – გარიდო, ბასონგი, ტერნერი, მარტინი – პიკლინგტონი, ტეტი (57. ჰოუსონი), ბ. ჯონსონი, სნოდგრასი – მორისონი (45. კეინი), ჰულაჰანი (74. ჯექსონი)
**სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – საბალეტა, კომპანი, ნასტასიჩი, კლიში – ბერი, ი. ტურე – ნასრი, დ. სილვა (56. მილნერი), აგუერო (90. ხ. გარსია) – ჯეკო (81. ლესკოტი)
**გაფრთხილება:** ბასონგი, ბ. ჯონსონი, პიკლინგტონი – კლიში
**გაძევება:** - ნასრი (44)
**კარში დარტყმა:** 9-10 (4-7) **კუთხური:** 4-9 **თამაშგარე:** 0-0 **ჯარიმა:** 8-10 **ბურთის ფლობა:** 51%-49%
**მაყურებელი:** 26 827

### რედინგი–ვესტ ჰემი 1:0

**გოლი:** 1:0 პოგრებნიაკი (5)
**რედინგი** (4-4-2): ფედერიჩი – ჰარტი, პირსი, მარიაპა, განტერი – გატრი (65. ჰანტი), კებე (76. რობსონ-კანუ), კარაჯანი, ლიგერტვუდი – პოგრებნიაკი, მაკანუფი
**ვესტ ჰემი** (4-4-2): იასკელაინენი – ტომკინსი, კოლინსი, რიდი, ობრაიენი – ნოუბლი (79. ნოუბლი), ონილი (67. ვას ტე), მ. ტეილორი (54. კოლისონი), ნოლანი – ჯარვისი, კოული
**გაფრთხილება:** პოგრებნიაკი, პირსი, ჰარტი – ნოუბლი, კოლინსი, ტომკინსი, ნოლანი
**კარში დარტყმა:** 4-11 (2-4) **კუთხური:** 2-2 **თამაშგარე:** 6-1 **ჯარიმა:** 19-12 **ბურთის ფლობა:** 45%-55%
**მაყურებელი:** 24 183

### სტოკ სიტი–საუთჰემპტონი 3:3

**გოლები:** 0:1 ლამბერტი (10), 1:1 ჯონსი (16), 1:2 როდრიგესი (24), 1:3 უილკინსონი (36-ს.კ-ში), 2:3 აპსონი (67), 3:3 ჯერომი (90)
**სტოკ სიტი** (4-4-2): ბეგოვიჩი – უილკინსონი (70. უაიტჰედი), აპსონი, ჰუთი, შოტონი – ეთერინგტონი (57. ჯერომი), ნზონზი, უელანი, კაიტლი (75. კრაუჩი) – ჯონსი, უოლტერსი
**საუთჰემპტონი** (4-1-3-2): კ. დევისი – იოშიდა, ფონტე, ჰოუველდი, შოუ (82. ფოქსი) – შნაიდერლინი – პანჩეონი (85. რიჩარდსონი), კორკი, დი პრადო – ლამბერტი, როდრიგესი
**გაფრთხილება:** ჯერომი – ფონტე, როდრიგესი
**გაძევება:** ნზონზი (71) -
**კარში დარტყმა:** 7-6 (5-5) **კუთხური:** 7-4 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 6-11 **ბურთის ფლობა:** 49%-51%
**მაყურებელი:** 26 391

### არსენალი–ნიუკასლი 7:3

**გოლები:** 1:0 უოლკოტი (20), 1:1 ბა (43), 2:1 ოქსლეიდ-ჩემბერლენი (51), 2:2 მარვო (59), 3:2 პოდოლსკი (64), 3:3 ბა (69), 4:3 უოლკოტი (73), 5:3 ჟირუ (85), 6:3 ჟირუ (87), 7:3 უოლკოტი (90)
**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი – გიბსი, ვერმალენი, კოშელნი, სანია – უილშირი, არტეტა – პოდოლსკი (82. რემსი), კასორლა (85. კოკლენი), ოქსლეიდ-ჩემბერლენი (74. ჟირუ) - უოლკოტი
**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – სიმპსონი (82. ფერგიუსონი), კოლოჩინი, პერჩი, სანტონი – ტიოტე, ბიგირიმანა (82. შ. ამეობი), მარვო (88. ტავერნიე), ობერტანი – სისე, ბა
**გაფრთხილება:** - სანტონი
**კარში დარტყმა:** 13-7 (11-6) **კუთხური:** 5-6 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 9-11 **ბურთის ფლობა:** 52%-48%
**მაყურებელი:** 60 087

### ევერტონი–ჩელსი 1:2

**გოლები:** 1:0 პიენაარი (2), 1:1 ლამპარდი (42), 1:2 ლამპარდი (72)
**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – ბეინსი, დისტენი, იაგიელკა, ჰეიტინგა – ჰიტცლშპერგერი (78. ბარკლი), ოსმანი, პიენაარი (81. ოვიედო), ნეისმიტი (76. ველიოსი) – ანიჩებე, იელავიჩი
**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი (46. ტერნბული) – აზპილიკუეტა, ივანოვიჩი, კეჰილი, ე. კოული – ლამპარდი, ლუისი – რამირესი, მატა (85. ოსკარი), აზარი (74. მოზესი) - ტორესი
**გაფრთხილება:** პიენაარი, დისტენი – კეჰილი, ლუისი, ე. კოული
**კარში დარტყმა:** 12-8 (8-5) **კუთხური:** 7-7 **თამაშგარე:** 4-4 **ჯარიმა:** 15-13 **ბურთის ფლობა:** 48%-52%
**მაყურებელი:** 39 485

### ქუინზ პარკი–ლივერპული 0:3

**გოლები:** 0:1 სუარესი (10), 0:2 სუარესი (16), 0:3 აგერი (28)
**ქუინზ პარკი** (4-4-1-1): ჟ. სეზარი – ტრაორე, ჰილი, ნელსენი, ონუოჰა – მბია, დიაკიტე (63. გრანერო), რაიტ-ფილიპსი (80. ფაბიო), მაკი – ტაარაბტი – სისე (46. დერი)
**ლივერპული** (4-3-3): რეინა – გ. ჯონსონი, აგერი, შკრტელი, ხ. ენრიკე (71. სუსო) – ჯერარდი, ჰენდერსონი (64. ლუკასი), ალენი (87. კარაგერი) – სტერლინგი, დაუნინგი, სუარესი
**გაფრთხილება:** მბია, ფაბიო - ლუკასი
**კარში დარტყმა:** 10-10 (6-6) **კუთხური:** 1-9 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 11-9 **ბურთის ფლობა:** 48%-52%
**მაყურებელი:** 18 304

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 20 | 16 | 1 | 3 | 50-28 | 49 |
| 2. სიტი | 20 | 12 | 6 | 2 | 38-19 | 42 |
| 3. ჩელსი | 19 | 11 | 5 | 3 | 39-18 | 38 |
| 4. ტოტენჰემი | 20 | 11 | 3 | 6 | 36-26 | 36 |
| 5. არსენალი | 19 | 9 | 6 | 4 | 39-21 | 33 |
| 6. ევერტონი | 20 | 8 | 9 | 3 | 33-25 | 33 |
| 7. ვესტ ბრომვიჩი | 20 | 10 | 3 | 7 | 28-25 | 33 |
| 8. სტოკ სიტი | 20 | 6 | 11 | 3 | 21-17 | 29 |
| 9. ლივერპული | 20 | 7 | 7 | 6 | 31-26 | 28 |
| 10. სუონსი | 20 | 7 | 7 | 6 | 29-24 | 28 |
| 11. ნორვიჩი | 20 | 6 | 7 | 7 | 23-32 | 25 |
| 12. ვესტ ჰემი | 19 | 6 | 5 | 8 | 22-23 | 23 |
| 13. სანდერლენდი | 20 | 5 | 7 | 8 | 21-26 | 22 |
| 14. ფულჰემი | 20 | 5 | 6 | 9 | 30-36 | 21 |
| 15. ნიუკასლი | 20 | 5 | 5 | 10 | 26-37 | 20 |
| 16. უიგანი | 20 | 5 | 3 | 12 | 22-35 | 18 |
| 17. ასტონ ვილა | 20 | 4 | 6 | 10 | 15-39 | 18 |
| 18. საუთჰემპტონი | 19 | 4 | 5 | 10 | 26-37 | 17 |
| 19. რედინგი | 20 | 2 | 7 | 11 | 22-37 | 13 |
| 20. ქუინზ პარკი | 20 | 1 | 7 | 12 | 16-36 | 10 |

**ბომბარდირები:** 14 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 13 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **დემბა ბა** (ნიუკასლი) **ლუის სუარესი** (ლივერპული)

### ჩემპიონშიპი. XXV ტური

**ჰადერსფილდი-შეფილდ უენ. 0:0**
ჰალი-ლიდსი 2:0
გოლები: 1:0 ევანსი (52), 2:0 მეილერი (55)

**ბარნსლი-ბლექბერნი 1:3**
გოლები: 0:1 კინგი (29), 0:2 როჩინა (44), 1:2 დოუსონი (76), 1:3 როუდსი (90)

**ბოლტონი-ბირმინგემი 3:1**
გოლები: 0:1 ჟიგიჩი (11), 1:1 ალონსო (27), 2:1 ლი (33), 3:1 ენდრიუსი (79-პენ)
გაძევება: ჟიგიჩი 86 (ბირმ)

**ბრისტოლ ს-პიტერბორო 4:2**
გოლები: 1:0 ანდერსონი (5), 1:1 მაკანი (19-პენ), 2:1 ბელდოკი (37), 3:1 მაკმანუსი (59), 4:1 ბელდოკი (64-პენ), 4:2 გეილი (89)
გაძევება: ტომლინი 12 (პიტ)

**ბარნლი-ლესტერი 0:1**
გოლი: 0:1 ნაჯენტი (31)

**კარდიფი-მილუოლი 1:0**
გოლები: 1:0 გესტედე (8)

**ჩარლტონი-დერბი 1:1**
გოლები: 1:0 ჰეინესი (19), 1:1 ვორდი (72-პენ)
გაძევება: მორისონი 71 (ჩარლ)

**მიდლსბრო-ბლექპული 4:2**
გოლები: 1:0 მილერი (14), 2:0 სმოლვუდი (36), 2:1 ტომასი (59), 3:1 მაკდონალდი (62), 3:2 ბაშემი (76), 4:2 რიჩი (88)

**ნოტინგემი-კრისტალ პალ. 2:2**
გოლები: 0:1 მარი (9), 1:1 რიდი (45), 1:2 მარი (81), 2:2 შარპი (90)

**ვულვზი-იპსვიჩი 0:2**
გოლები: 0:1 კრესუელი (33), 0:2 კემპბელი (64)

**ბრაიტონი-უოტფორდი 1:3**
გოლები: 0:1 დინი (54), 1:1 ლოპესი (65-პენ), 1:2 ვიდრა (68), 1:3 ვიდრა (69)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 25 | 17 | 2 | 6 | 47-29 | 53 |
| 2. ჰალი | 25 | 15 | 3 | 7 | 37-27 | 48 |
| 3. მიდლსბრო | 25 | 15 | 2 | 8 | 45-33 | 47 |
| 4. კრისტალ პალ. | 25 | 12 | 8 | 5 | 47-33 | 44 |
| 5. ლესტერი | 25 | 12 | 5 | 8 | 38-22 | 41 |
| 6. უოტფორდი | 24 | 12 | 4 | 8 | 44-32 | 40 |
| 7. ნოტინგემი | 25 | 9 | 10 | 6 | 36-32 | 37 |
| 8. მილუოლი | 25 | 10 | 7 | 8 | 37-34 | 37 |
| 9. ლიდსი | 25 | 10 | 5 | 10 | 37-42 | 35 |
| 10. ბრაიტონი | 24 | 8 | 10 | 6 | 32-26 | 34 |
| 11. დერბი | 25 | 9 | 7 | 9 | 37-37 | 34 |
| 12. ბლექპული | 25 | 8 | 9 | 8 | 43-38 | 33 |
| 13. ბარნლი | 25 | 9 | 6 | 10 | 38-40 | 33 |
| 14. ბოლტონი | 25 | 8 | 8 | 9 | 39-39 | 32 |
| 15. ბლექბერნი | 24 | 8 | 8 | 8 | 32-33 | 32 |
| 16. ჰადერსფილდი | 25 | 8 | 8 | 9 | 30-37 | 32 |
| 17. ვულვზი | 25 | 9 | 4 | 12 | 31-35 | 31 |
| 18. ჩარლტონი | 25 | 7 | 9 | 9 | 30-33 | 30 |
| 19. იპსვიჩი | 25 | 8 | 6 | 11 | 27-45 | 30 |
| 20. ბირმინგემი | 25 | 7 | 8 | 10 | 33-41 | 29 |
| 21. შეფილდ უენ. | 25 | 7 | 4 | 14 | 28-40 | 25 |
| 22. ბრისტოლ სიტი | 24 | 6 | 4 | 14 | 37-48 | 22 |
| 23. პიტერბორო | 25 | 7 | 1 | 17 | 35-48 | 22 |
| 24. ბარნსლი | 25 | 5 | 6 | 14 | 25-41 | 21 |

ბომბარდირები: 22 – გლენ მარი (კრისტალ პალასი), 20 - ჩარლი ოსტინი (ბარნლი)

### ლიგა ერთი. XXV ტური

ბორნმუთი-ქროული 3:0, კარლაისლი-ბერი 2:1, ლეიტონ ორიენტი-უოლსოლი 2:1, მილტონ-ქოვენტრი 2:3, ოლდჰემი-ქრიუ 1:2, პორტსმუთი-იოვილი 1:2, პრესტონი-დონკასტერი 0:3, შეფილდ იუნ-ჰარტლპული 2:3, შრიუსბერი-ბრენტფორდი 0:0, ტრანმერი-სკანტორპი 1:0 *კოლჩესტერი-სუინდონი, სტივენეიჯი-ნოთს ქაუნთი გადაიდო*

### ლიგა ორი. XXV ტური

უიმბლდონი-ოქსფორდი 0:3, ბრედფორდი-როჩდეილი 2:4, ბარტონი-საუთენდი 2:0, ჩესტერფილდი-მორკემბი 1:1, დაგენჰემი-პორტ ვეილი 2:3, ექსეტერი-ბარნეტი 2:2, ფლიტვუდი-იორკი 0:0, პლიმუთი-უიკომბი 0:1, როტერჰემი-აკრინგტონი 4:1 *ალდერშოტი-ტორკი, ჩელტენჰემი-ბრისტოლ რ, ჯილინგემი-ნორთჰემპტონი გადაიდო*

### 2012 წლის მონაპოვარი

**17. ფეხბურთი:** თანამდებობიდან გადადგა თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანი.**
**20. თავისუფალი ჭიდაობა.** ოლიმპიური ლიცენზიები მოიპოვეს **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (55 კგ) და **გიორგი გოგშელიძემ** (96 კგ).
**19-22. ჩოგბურთი.** საქართველოს ქალთა ნაკრებმა ქაიროში ევროპა-აფრიკის II ზონის გათამაშება მოიგო და გაისად I ზონაში ითამაშებს.
**20. კრივი.** ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა **მერაბ თურქაძემ** (56 კგ).
**21. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა **ზურაბ დათუნაშვილმა** (74 კგ).
**21. ჭადრაკი.** ბლიცში **ბაადურ ჯობავამ** დუბაის ტურნირი მოიგო.
**23. კალათბურთი:** ოფიციალურად დადგა ნბა-ს დრაფტზე **თორნიკე შენგელია.**
**23. სუმო.** ახალი რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) დაკარგა კომუსუბის ტიტული.
**27. თავისუფალი ჭიდაობა.** ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა **ოთარ თუშიშვილმა** (66 კგ).
**27-28. ძიუდო.** ჩელიაბინსკში ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალი **ვარლამ ლიპარტელიანმა** (90 კგ). **ლომერ ყორყოლიანმა** (100) ვერცხლის მედალი აიღო, ბრინჯაო კი **ამირან პაპინაშვილს** (60) და **ლაშა შავდათუაშვილს** (66) ხვდათ წილად.
**28. ფეხბურთი.** გერმანული ბუნდესლიგის „შალკემ" გაცილება მოუწყო **ლევან ყენიას.**
**28. ჭადრაკი.** ანაკლიაში დაიწყო საქართველოს 69-ე ჩემპიონატი ქალთა შორის.
**28. ჩოგბურთი.** ანთალიის ტურნირის (თურქეთი) წყვილთა თანრიგი მოიგეს **ოქსანა კალაშნიკოვამ** და **სოფიო ქვაცაბაიამ.**
**29. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა **სოსო ჯაბიძემ** (96 კგ).
**29. კალათბურთი.** სპორტის სასახლეში სუპერლიგის ყველა ვარსკვლავის მატჩი გაიმართა, რომელშიც ლეგიონერთა გუნდმა 137:125 მოუგო ადგილობრივებს.
**29. ძიუდო.** ჩელიაბინსკში ევროპის ჩემპიონატზე გუნდური შეჯიბრების ფინალში საქართველოს ნაკრებმა მასპინძელი რუსეთი 3:2 დაამარცხა და ჩემპიონი გახდა..

#### მაისი

**3-5. ჩოგბურთი.** დევისის თასზე საქართველოს ნაკრებმა ევროპა-აფრიკის III ზონაში ისპარეზა და დაწინაურება ვერ მოახერხა.
**3. ჩოგბურთი.** ქართველმა ჩოგბურთელმა ძალიან დიდი პაუზის შემდეგ პირველად გააღწია WTA-ს ტურნირის ნახევარფინალში. ეს **ანა ტატიშვილმა** ბუდაპეშტის გრან-პრიზე მოახერხა.
**3. მძლეოსნობა.** სოფიის საერთაშორისო ტურნირზე **მაია გოგოლაძემ** (სიგრძეზე ხტომა) ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.
**4. ფეხბურთი.** ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები (მწვრთნელი: ვასილ მაისურაძე) გერმანიასთან 0:1 დამარცხდა.
**5. ფეხბურთი.** ბუნდესლიგაში 336-ე მატჩი ითამაშა **ლევან კობიაშვილმა** და ლეგიონერთა ყველა დროის რეკორდი გაიმეორა. — **ირინა ლეონიძე,** 2 ვერცხლი — გიორგი მესაბლიშვილი, ბექა ბერძენიშვილი და 4 ბრინჯაო — **ზებედა რეხვიაშვილი, ლაშა ზურაბიანი, ზვიად გოგოჭური, ალექსანდრე მსხალაძე** მოიპოვეს.
**5-6. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** ჰელსინკის სალიცენზიო ტურნირში ოლიმპიადის საგზურები მოიპოვეს: **რევაზ ლაშხმა, ვლადიმერ გეგეშიძემ** და **გურამ ფერსელიძემ.**
**6. წყალბურთი.** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა (მწვრთნელი: რევაზ ჩომახიძე) პოლონეთში სლოვიანკას თასი მოიგო.

# 2012

## წლის მონაგარი მაისი

**7. ფეხბურთი.** ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 1:1 ითამაშა საფრანგეთის ნაკრებთან.

**10. ფეხბურთი.** ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველომ ისლანდიას 1:0 მოუგო და ნახევარფინალში გავიდა.

**13-14. მხატვრული ტანვარჯიში.** გაიმართა საერთაშორისო ტურნირი „თბილისის თასი".

**13. ფეხბურთი.** ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ნახევარფინალში საქართველომ 0:2 წააგო ჰოლანდიასთან და მე-3 ადგილს დასჯერდა.

**13. ფეხბურთი.** კახა კალაძემ ფეხბურთიდან წასვლა გამოაცხადა.

**13. მძლეოსნობა.** სიმაღლეზე ხტომაში **ჟურაბ გოგოჭურმა** საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა - 224 სმ.

**14. ხელბურთი.** საქართველოს ჩემპიონი გახდა სტუ.

**15. ფეხბურთი.** საქართველომ ევრო 2020-ის მასპინძლობაზე განაცხადი შეიტანა.

**16. ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრებმა ავსტრიაში სანვრთნელი შეკრება დაიწყო.

**17-22. სამბო.** მოსკოვში ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა 2 ოქრო — **უშანგი კუზანაშვილი, ნოდარ მეტრეველი,** 4 ვერცხლი — **გენადი ჩირგაძე, ლევან ნახუცრიშვილი, ბესარიონ ბერულაშვილი, ირინა ლეონიძე** და 2 ბრინჯაო — **მირიან პავლიაშილი, შორენა შარაძე** მოიპოვეს.

**20. ფეხბურთი.** დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი, თუმცა დებულებასთან დაკავშირებული გაუგებრობის გამო ჩემპიონობაზე პრეტენზიას ერთბაშად ორი გუნდი, „მეტალურგი" და „ზესტაფონი" აცხადებდა.

**20. მკლავჭიდი.** გდანსკში, ევროპის ჩემპიონატზე **გენადი კვიკვინიამ** ოქროს მედალი მოიპოვა.

**20. სუმო.** ნაცუ ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულეს **ლევან გორგაძემ** და **ლევან ცაგურიამ.**

**21. ფეხბურთი.** სფფ-ის ალმასკომმა საქართველოს ჩემპიონად „ზესტაფონი" დაამტკიცა.

**21. კალათბურთი.** ირანის ჩემპიონი გახდა ნიკოლოზ ცქიტიშვილი.

**21. ფეხბურთი.** დასრულდა პლეი აუტის გათამაშება. უმაღლესი ლიგის საგზურები მოიპოვეს: „ჩიხურამ", „ბათუმმა", „სიონმა" და „ვიტ ჯორჯიამ".

**22. სამბო.** ევროპის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად **ოლეგ იაძე** აირჩიეს.

**23. კალათბურთი.** საქართველოს ჩემპიონი „არმია" გახდა, რომელმაც ფინალურ სერიაში „ოლიმპი" დაამარცხა.

**24. ჭადრაკი.** საქართველოს ჩემპიონატი ბაადურ ჯობავამ მოიგო.

**24. ცურვა.** ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა **ირაკლი ბოლქვაძემ** (200 მ. ბრასი).

**24. ფეხბურთი.** ავსტრიაში ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრები თურქეთის გუნდთან 1:3 დამარცხდა.

**25. ფეხბურთი.** 19-წლამდელთა ელიტ-რაუნდში საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე) ბოსნიას 4:2 მოუგო.

**25. კალათბურთი.** „არმიამ" სუპერთასი მოიგო, „ქუთაისი" 87:75 დაამარცხა.

**26. ფეხბურთი.** საქართველოს თასის ფინალში გორის „დილამ" „ზესტაფონს" 4:1 მოუგო.

**27. ფეხბურთი.** ელიტ-რაუნდის II ტურში ქართველმა 19-წლამდელებმა ხორვატიასთან 1:3 წააგეს.

**27. რაგბი.** გაზაფხულის ტურნირი „არმიამ" მოიგო, ფინალში „ლოკომოტივი" 13:12 დაამარცხა.

**28. რაგბი.** „ბარბაროსებში" მიიწვიეს მამუკა გორგოძე.

**29. კალათბურთი.** „ლელომ" სეზონის საუკეთესო კალათბურთელად **უილ ტომასი** (არმია) დაასახელა.

**29. ფეხბურთი.** საქართველოს სუპერთასი „ზესტაფონმა" მოიგო, „გაგრა" 3:1 დაამარცხა.

**30. ფეხბურთი.** გერმანიის საფეხბურთო კავშირმა **ლევან კობიაშვილი** 1-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

**30. ფეხბურთი.** 19-წლამდელთა ელიტ-რაუნდში საქართველომ ავსტრიას 2:1 მოუგო, მაგრამ ფინალური ეტაპის საგზური ვერ მოიპოვა.

---

ინგლისი. პრემიერლიგა. XX ტური

# დასასრულიც ასეთი უნდა

« მე-5 გვერდიდან

### კიდევ ერთი თრილერი

"ბრიტანია სტედიუმზე" პრემიერლიგის საუკეთესო დაცვის პატრონმა "სტოკ სიტიმ" "საუთჰემპტონისგან" 3 გოლი პირველ ტაიმშივე გაუშვა. ამის მიზეზი წამყვანი უკანახაზელების **რაიან შოუკროსისა** და **ჯეფ კემერონის** არყოფნა იყო. **ასმირ ბეგოვიჩი** ჯერ **რობერტ ჰუთმა** დაალალატა, **ენდი უილკინსონმა** კი სულაც თავისი კარი დალაშქრა. მეორე ნახევარში **მარკ კლატენბერმა სტივენ ნზონზი** გააძევა უხეში თამაშისთვის. კაცნაკლულმა მასპინძელმა უკანასკნელ წუთზელა შეძლო გათანაბრება.

"მანჩესტერ იუნაიტედს" დიდი წინააღმდეგობა გაუწია მისმა ყოფილმა გოლკიპერმა **ბენ ფოსტერმა.** თუმცა 29 წლის მეკარის თავდადება საკმარისი არ აღმოჩნდა. მასპინძელმა დაგეგმილი 3 ქულა აიღო. ანგარიში **ეშლი იანგის** "შემწეობით" **გარეთ მაკოლმა** გახსნა. ჩრდილოირლანდიელმა საკუთარი კარი დალაშქრა. შეხვედრის ბოლო წუთზე კი შეცვლაზე შესულმა მოჭრილი დარტყმით **რობინ ვან პერსიმ** გამოიჩინა თავი.

"ტოტენჰემს" ანგარიშის გახსნა 30-ე წუთზე თავად შეეძლო, მაგრამ **ემანუელ ადებაიორმა** ხარიხას 2 მეტრიდან გაარტყა. სამაგიეროდ მარტივ სიტუაციაში თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვია **ჯონ ოშის.** ირლანდიელმა 3-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გაიტანა. 48-ე წუთზე "სანდერლენდი" საკუთარი მცველების შეუთანხმებლობამ დალუპა. **კრეიგ გარდნერისა** და **კარლოს კუელიარის** ორთაბრძოლას ის მოჰყვა, რომ 31 წლის ესპანელმა ბურთი თავის კარში გადაგზავნა. საბოლოოდ ანგარიში **აარონ ლენონმა** 51-ე წუთზე დააფიქსირა. 81-ეზე კი **გარეთ ბეილმა** მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო, რის გამოც 1-ელ იანვარს "რედინგთან" შეხვედრას გამოტოვებს.

"ასტონ ვილას" ვარდნა გრძელდება. არა გვგონია, კლუბის ხელმძღვანელობამ **პოლ ლამბერტს** დიდხანს უთმინოს ის, რაც ამ წუთას ბირმინგემულ კლუბში ხდება. შოტლანდიელის გუნდმა ბოლო სამ შეხვედრა მშრალად წააგო და თანაც 15 გოლი გაუშვა.

"სუონსიმ" გუნდის საუკეთესო ბომბარდირის გარეშე შეძლო "ფულჰემთან" 3 ქულის აღება. მასპინძლებს მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთმანეთზე უკეთესი მომენტები ჰქონდათ, მაგრამ რაში გამოიყენეს? ყველაზე მეტად ამ მხრივ **ბრაიან რუისმა** "გამოჩინა თავი". მან სამი მომენტი გააფუჭა.

იმარჯვა "რედინგმაც". სერიოზული შეცდომა დაუშვა ვესტჰემელმა **ჯეიმს კოლინსმა.** უმისამართო გადაცემა მეკარისკენ **პაველ პოგრებნიაკმა** ჩაჭრა და თავადვე გამოიყენა. რა დასამალია და მსგავსი რამ ვეტერანს "ასტონ ვილაში" თამაშის დროსაც არაერთხელ უქნია.




ვინ იცის ფრენკ ლამპარდმა ჩელსის მერამდენე თამაში მოაგებინა?

### დასასრული

გუშინ სალამოს პრემიერლიგაში ორი საინტერესო შეხვედრა შედგა და ტურის ტრადიციიისამებრ ცოტა გოლი არც ერთში არ გასულა. "ევერტონმა" "ჩელსის" უმასპინძლა და ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს მძიმე ბრძოლა გაუმართა. "ევერტონს" აქამდე შინ ერთი შეხვედრაც არ წაეგო. და აი, ესეც მოხდა. შინაურ კედლებში ბეჭდაუდებელი ჩემპიონატს ახლა მხოლოდ ერთი გუნდი დარჩა – "სტოკ სიტი".

შეიძლება ითქვას, თამაში **სტივენ პიენაარის** გოლით გაიხსნა. სამხრეთაფრიკელი ვეტერანი **ვიქტორ ანიჩებეს** თავურის შემდეგ ხარიხიდან გადმოვარდნილ ბურთზე პირველი გაჩნდა. ორიოდე წუთში მერსისაიდელებმა კიდევ ერთხელ ძოარტყეს ხარიხას. ამჯერად **ნიკიცა იელავიჩის** დარტყმის შემდეგ. ბედშავმა ხორვატმა მეორე ტაიმში კიდევ ერთხელ გაარტყა ხარიხას. "ჩელსიმ" 42-ე წუთზე გაათანაბრა. ვეტერანმა **ფრენკ ლამპარდმა რამირესის** გადაცემა გამოიყენა. მანვე გაიტანა გამარჯვების გოლიც. ამჯერად ფრენკმა **ტიმ ჰოვარდის** მოგერიებულ ბურთს დაამატა.

"ლივერპულის" ლიდერმა **ლუის სუარესმა** "ქუინზ პარკს" პირველივე ტაიმში პირადად გასცა პასუხი ყველა შეკითხვაზე. ურუგვაელს დებიუტშივე შეეძლო გატანა, მაგრამ **ჟულიო სეზარმა** აუღო. მე-10 წუთზე უკვე ბრაზილიელიც უძლური იყო. 6 წუთში ლუისმა მეორედ გამოიჩინა თავი. 28-ე წუთზე კი საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა. როგორც სჩვევია, **დანიელ აგერმა** კუთხურის შემდეგ მეორე სართულისთვის ბრძოლა მოიგო და აულებელი თავური დასცხო.

**ლევან ბიბილაშვილი**

**მომდევნო ტური**

**1 იანვარი:** ვესტ ბრომვიჩი-ფულჰემი, მანჩესტერ სიტი-სტოკ სიტი, სუონსი-ასტონ ვილა, ტოტენჰემ-რედინგი, ვესტ ჰემი-ნორვიჩი, უიგანი-მანჩესტერ იუნაიტედი, საუთჰემპტონი-არსენალი

**2 იანვარი:** ჩელსი-ქუინზ პარკი, ლივერპული-სანდერლენდი, ნიუკასლი-ევერტონი

**შოტლანდია**

**პრემიერლიგა. XXI ტური**

| | |
|---|---|
| დანდი-აბერდინი | 1:3 |
| ჰიბერნიანი-სელტიკი | 1:0 |
| მოზერველი-კილმარნოკი | 2:2 |
| დანდი იუნ-სტ. მირენი | 3:4 |
| როს ქაუნთი-ჰართსი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 20 | 12 | 4 | 4 | 39-15 | 40 |
| 2. ინვერნესი | 21 | 8 | 10 | 3 | 44-35 | 34 |
| 3. მოზერველი | 21 | 9 | 7 | 5 | 37-29 | 34 |
| 4. ჰიბერნიანი | 21 | 9 | 4 | 8 | 31-29 | 31 |
| 5. აბერდინი | 21 | 8 | 6 | 7 | 28-26 | 30 |
| 6. კილმარნოკი | 20 | 7 | 6 | 7 | 31-26 | 27 |
| 7. სტ. ჯონსტონი | 21 | 6 | 9 | 6 | 23-26 | 27 |
| 8. დანდი | 19 | 6 | 7 | 6 | 28-28 | 25 |
| 9. ჰართსი | 20 | 6 | 7 | 7 | 20-22 | 25 |
| 10. სტ. მირენი | 21 | 6 | 6 | 9 | 29-37 | 24 |
| 11. როს ქაუნთი | 20 | 4 | 9 | 7 | 21-30 | 21 |
| 12. დანდი იუნ | 21 | 3 | 3 | 15 | 16-44 | 12 |

---

სკანდალი




# ლუკას ბერნარდი დოპინგზე გამოიჭირეს

"ნიუელს ოლდ ბოისის" ერთ-ერთი ლიდერი, ნახევარმცველი **ლუკას ბერნარდი** და სარანდის "არსენალის" ფორვარდი **გუსტავო კანალესი** დოპინგზე გამოიჭირეს. გამოძიების დასრულებამდე, ორივე ფეხბურთელი დროებით დისკვალიფიცირებულია.

35 წლის ბერნარდიმ კარიერის საუკეთესო პერიოდი 2001-2008 წლებში "მონაკოში" გაატარა, სადაც საფრანგეთის თასი მოიგო და 2004 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა. ვეტერანი 2008 წელს მშობლიურ "ნიუელსს" დაუბრუნდა და მას შემდეგ ამ გუნდში თამაშობს. არგენტინის უკანასკნელ ჩემპიონატში, ბერნარდი "ძველი ბიჭების" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

გუსტავი კანალესი კი "არსენალში" წელს, ჩინური "დალიანიდან" გადავიდა და 7 თამაშში ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანა. 30 წლის არგენტინელმა ფორვარდმა, 2010 და 2011 წელი ჩილეში, "უნიონი ესპანიოლასა" და "უნივერსიდად დე ჩილეში" გაატარა, სადაც საერთოდ ჯამში 30 გოლი გაიტანა. ამის გამო, კანალესი 2011 წელს ჩილეს ნაკრებში მიიწვიეს, რომლის რიგებშიც ერთი მატჩიც ითამაშა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა პრეპარატი გამოიყენეს ფეხბურთელებმა, შესაბამისად ასევე გაურკვეველია რა ვადიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებათ ბერნარდის და კანალესს. ასაკიდან გამომდინარე, თუ დისკვალიფიკაცია ხანგრძლივი იქნება, ლუკას ბერნარდის ალბათ კარიერის დასრულება მოუწევს.

**ტატო ბაციკაძე**

---

აღიარება

# სამხრეთ ამერიკის სიმბოლური ნაკრები

როგორც ცნობილია, ურუგვაული გაზეთი "ელ პაისი" ყოველ წელს სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებს. გარდა ამისა, გულშემატკივართა გამოკითხვით კონტინენტის სიმბოლური ნაკრები დგება და წლის საუკეთესო მწვრთნელის ვინაობა ირკვევა.

წლის საუკეთესო ფეხბურთელი ჯერ არა, მაგრამ სიმბოლური ნაკრები და მწვრთნელი კი ცნობილია. სულ, ნაკრებში 4 არგენტინელი, 3 ჩილელი, 2 ბრაზილიელი და თითო პერუელი და კოლუმბიელი მოხვდა.

მაშ ასე, 2012 წლის სამხრეთ ამერიკის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

**მეკარე:** აგუსტინ ორიონი (არგენტინა, "ბოკა ხუნიორსი")

**მცველები:** მატიას როდრიგესი (არგენტინა, "უნივერსიდად დე ჩილე"), ოსვალდო გონსალესი (ჩილე, "უნივერსიდად დე ჩილე"), აკივალდო მოსკერა (კოლუმბია, "ამერიკა" /მექ/), ეუხენიო მენა (ჩილე, "უნივერსიდად დე ჩილე").

**ნახევარმცველები:** ჩარლზ არანგისი (ჩილე, "უნივერსიდად დე ჩილე"), პაბლო გინიასუ (არგენტინა, "ინტერნასიონალი"), ვალტერ მონტილიო (არგენტინა, "კრუზეირო).

**თავდამსხმელები:** რონალდინიო (ბრაზილია, "ატლეტიკო მინეირო), ნეიმარი (ბრაზილია, "სანტოსი"), პაოლო გერერო (პერუ, "კორინთიანსი").

გულშემატკივართა აზრით, 2012 წლის საუკეთესო მწვრთნელი კი კოლუმბიის ნაკრების დამრიგებელი **ხოსე ნესტორ პეკერმანი** გახდა. არგენტინელმა ეს ტიტული პირველად მოიპოვა. რეკორდსმენი **კარლოს ბიანკი** გახლავთ, რომელსაც წლის მწვრთნელი პრიზი 5-ჯერ აქვს მოგებული, 2-ჯერ კი ეს ტიტული **კარლოს ბილარდომ, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** და **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა** მოიგეს. ეს უკანასკნელი ბოლო ორი წლის გამარჯვებული იყო, მაგრამ წელს ურუგვაის ნაკრებმა ცუდად ითამაშა და ამის გამო, ტაბარესმა ერთგვარი ჰეთ-თრიქის შესრულება ვერ შეძლო.

სამხრეთ ამერიკაში მოთამაშე ფეხბურთელების გარდა, "ელ პაისმა" ევროპაში მოასპარეზე ფეხბურთელებიც გამოარჩია და სიმბოლური ნაკრებიც გამოავლინა.

საუკეთესო მოთამაშის პრიზი **ლეო მესიმ** მიიღო, რომლისთვისაც ეს სარეკორდო, მეოთხე გამარჯვება იყო. მესიმ ტიტული ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა და აქამდელ რეკორდსმენ, **ზინედინ ზიდანს** გაუტოლდა.

ლეგენდარულმა ფრანგმა, "ელ პაისის" გამოკითხვაში 1998, 2001, 2002 და 2003 წლებში იმარჯვა.

სიმბოლურ ნაკრებში კი ძირითადად "ბარსელონას" და "რეალის" ფეხბურთელები მოხვდნენ.

**მეკარე:** იკერ კასილიასი (ესპანეთი, "რეალი").

**მცველები:** დანიელ ალვეში (ბრაზილია, "ბარსელონა"), სერხიო რამოსი (ესპანეთი, "რეალი"), ხერარდ პიკე (ესპანეთი, "ბარსელონა"), ხორდი ალბა (ესპანეთი, "ვალენსია"/"ბარსელონა").

**ნახევარმცველები:** ჩავი (ესპანეთი, "ბარსელონა"), ანდრეა პირლო (იტალია, "იუვენტუსი"), ანდრეს ინიესტა (ესპანეთი, "ბარსელონა").

**თავდამსხმელები:** ლიონელ მესი (არგენტინა, "ბარსელონა"), რადამელ ფალკაო (კოლუმბია, "ატლეტიკო"), კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია, "რეალი").

**ტატო ბაციკაძე**



უცხოური ფეხბურთი

● 2012 წლის ორი კადრი

# Knocking on heaven's door


წლის გოლის ავტორი ზლატან იბრაჰიმოვიჩი

**ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** წლის გოლი 14 ნოემბერს, შვედეთისა და ინგლისის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში გაიტანა. შვედმა „მაკრატელა" შეაგდო - 25 მეტრიდან. მაგრამ ეს იმ გოლის ძალიან მოკრძალებული აღწერაა. ფიფამ ზლატანის გოლი წლის საუკეთესო გოლის გამოკითხვაში ველარ შეიტანა, რადგან გამოკითხვა დაწყებული იყო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს - ეს არის გოლი, რომელიც ძალიან დიდხანს გვეხსომება.

შვედეთის ნაკრების მეტოქე იმ მშვენიერ სალამოს ინგლისი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს არ იქნებოდა ერთი რიგითი ტესტ-მატჩი. 90-ე წუთი მიმდინარეობდა, ზლატანს სამი გოლი ჰქონდა გატანილი და უკვე მატჩის გმირი იყო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მეტი სურდა. უფრო მეტი! ინგლისელთა მეკარე **ჯო ჰარტი** კარიდან გამოვარდა, საჯარიმოც დატოვა და ბურთი თავითლა მოიგერია. მაგრამ არა შორს, არამედ მაღლა. ძალიან მაღლა!

ბურთი ზლატანის თავზე აფრინდა. შვედი კარისკენ ზურგით იდგა და იქით არც გაუხედავს. კარამდე მანძილი 25 მეტრი იყო. იბრამაც დაჰკრა და რა დაჰკრა - „მაკრატელა". სუფთა „მაკრატელა"! აყლაყუდა შვედი ჰაერში გაიჭიმა, დარტყმის შემდეგ, ბურთს თვალი მიწაზე დაშვებამდე გააყოლა. ბურთმა ყველას და ყველაფერს გადაუფრინა - გარდა კარისა! **გარი კეჰილმა** მხოლოდ კარის ხაზს მილმალა მიასწრო და ბურთთან ერთად ბადეში გაიხლართა.

მატჩის შემდეგ, იბრასთვის კითხვების დასმისას არცერთ ადგილობრივ ჟურნალისტს არ უხსენებია სიტყვა „იღბალი" და არავინ გახსენებია სიტყვა „პოკერი". ყველანი მხოლოდ ამ „მაკრატელაზე" ლაპარაკობდნენ. იბრაჰიმოვიჩმა თქვა: *„გავიგე, რომ წლის საუკეთესო გოლის გამოკითხვაში ჩემი არცერთი გოლი არ იყო შესული და ეს გოლი სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად გავიტანე!"*

მაინც ვერ მოაგვარა - გამოკითხვა დაწყებული იყო და ეს გოლი იქ ველარ მოხვდა.

წლების შემდეგაც კი ყველა შვედი გაიხსენებს, სად იყო და რას აკეთებდა იმ დროს, როცა იბრამ ეს გოლი შეაგდო. გაიხსენებენ ისინი, ვინც სტადიონზე იყვნენ და ღრიალით წამოხტნენ. ისინიც, ვინც იმ მომენტში ლუდს წრუპავდა და გადაესხა. ისინიც, ვინც სტადიონის დატოვება ნაადრევად გადაწყვიტა, რათა საცობში არ მოყოლილიყო. ისინიც, ვინც ამ მატჩს სახლში, ტელევიზორის წინ კომფორტულად მოკალათებული უყურებდა და მით უმეტეს ისინი, ვინც 88-ე ან 89-ე წუთზე სხვა არხზე გადართო, რადგან იქ იმ დროს რამე ფილმი იწყებოდა **ჯორჯ კლუნის** ან **ჯულია რობერთსის** მონაწილეობით...

ზუსტად ერთ კვირაში „მილანის" მცველმა **ფილიპ მექსემ** ჩემპიონთა ლიგაში ასევე მაკრატელა-გოლი შეაგდო - ოფიციალურ, მაგრამ გაცილებით უემოციო მატჩში. ერთნი ამტკიცებდნენ, მექსეს იბრაზე ლამაზი მაკრატელა გამოუვიდაო. შესაძლოა. ეს სადავო საკითხია. მთავარი კი ის არის, რომელი გოლი უფრო დიდხანს შემორჩება ჩვენს მახსოვრობას. ამ კითხვაზე პასუხს ზლატანის გოლის გამოხმაურება გაგვცემს.

*„ამ ტიპს გოლები კი არ გააქვს, გოლებს ქმნის!"* - წერდა ფრანგული „ლე მონდი".

*„იბრაჰიმოვიჩი ციდან ვარსკვლავებს წყვეტს. ჩვენ ყველანი ზლატანის ქვეყნიდან ვართ!"* - წერდა შვედური „აფტონბლადეტი".

*„თავი მაქსიმალურად დაუხარეთ მსოფლიოში საუკეთესოს!"* - წერდა „ექსპრესენი".

*„ზლატანს ეს გოლი ღმერთებმა გაატანინეს!"* - წერდა ბრიტანული „დეილი მეილი".

*„ეს იყო საუკუნის გოლი!"* - წერდა გერმანული „ბილდი".

*„იბრაკადაბრა. ეს გოლი დაგვესიზმრა, თუ ნამდვილი იყო?"* - წერდა იტალიური „ტუტოსპორტი".

*„დაიჩოქეთ ზლატანის წინაშე!"* - წერდა გერმანულ „ზუდდოიჩე ცაიტუნგი".

**გოტფრიდ ლენცი**

# ბოროტი, შავი იტალიელი

**მარიო ბალოტელი** ბოროტია. მარიო ბალოტელი იტალიელია. მარიო ბალოტელი შავია. ამ სამიდან, ორი გამოთქმა ნაღდად მართალია.

ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში ბოროტმა შავმა იტალიელმა გერმანიის ნაკრებს ორი მოხდენილი გოლი გაუტანა და ქებით ცაში აყვანილი **იოახიმ ლიოვი** თავისი გუნდითურთ სახლში უტიტულოდ გაუშვა. ეს იტალიელმა გააკეთა. ბოროტმა და შავმა!

გერმანელებმა აღარ იცოდნენ, რა მოეხერხებინათ ეიფორიისთვის, ყველაზე მეტად კი დღემდე იმ პოზაზე ეშლებათ ნერვები, რომელიც მარიომ მეორე გოლის აღნიშვნის დროს შემოგვთავაზა. ამ ფოტომ მთელი მსოფლიო მოიარა. ამ ფოტოზე გერმანელები დარტსს თამაშობენ. ამ კადრს საფეხბურთო გერმანიაში პროვოკაციაც კი უწოდეს. თამამად უნდა ვთქვათ, რომ ეს იყო გოლის ძალიან დიდხანს დასამახსოვრებელი, მეტიც, ყველაზე ეპოქალური აღნიშვნა **როჟე მილას** ცეკვის შემდეგ.

რაც შეეხება განსხვავებას: მილა 1990 წლის მუნდიალზე კამერუნის ნაკრებში თამაშობდა, რის გამოც მისი ცეკვა საფეხბურთო საზოგადოებამ ეგზოტიკად მიიღო. თუმცა, არა მარტო მიიღო, არამედ ეს მართლაც დიდი ეგზოტიკა გახლდათ. ის ფაქტი, რომ ფეხბურთისთვის ოდნავ მობერებული ეს სასიამოვნო ტიპი გოლების შემდეგ კუთხურის ალამთან ცეკვავდა, კარგი სანახაობა იყო. მილა სიცოცხლითა და ფეხბურთის თამაშით სიხარულს გამოხატავდა.

თუმცა მაშინაც კი მისი ეს ცეკვა ვილაც-ვილაცებისთვის აუტანელი აღმოჩნდა და, რა თქმა უნდა, მილას მისამართით რასიზმმაც იფეთქა, მაგრამ ეს ბევრს არ შეუმჩნევია, რადგან როჟე მილა რაღაცნაირად კარგი ტიპი იყო, ყოველთვის იღიმოდა და თანაც ცეკვავდა.


მარიო ბალოტელი გერმანიის ნაკრების კარში გატანილი მეორე გოლის შემდეგ

ბალოტელის შემთხვევა კი სხვანაირია. მარიო იტალიის ნაკრებში თამაშობს. არ არის ეგზოტიკური. თუ მაინცდამაინც მასაც რაიმე ეპითეტი უნდა მივანიჭოთ, მაშინ ექსცენტრული უფრო შეეფერება. გარდა ამისა, ბალოტელი თითქმის არასდროს იცინის, რის გამოც ალბათ არასდროს დაიმსახურებს სამყაროს სიმპათიას და მით უმეტეს, არც ცეკვავს. ბალოტელიმ თავის პოზაში ბოლმა გადმოანთხია! ადგილზე გაქვავდა, კუნთები დაჭიმა, ბოროტი და ამავდროულად ძალიან ამაყი გამომეტყველება ჰქონდა. **მუჰამედ ალის** ჰგავდა. იმ ალის, განადგურებულ **სონი ლისტონს** რომ ადგას თავზე!

ამ ფოტომ მაშინვე მთელი მსოფლიო მოიცვა! ყოველდღიურად ვხედავდით ფოტომონტაჟებს, რომლებშიც ბალოტელი ამ პოზაში ხან ევერესტზე იდგა, ხან მთვარეზე და... სად აღარ იდგა! ამ სცენაზე წერდნენ ბლოგებს, სტატიებს, ამ ფოტოს დებდნენ სოციალურ ქსელებზე - მარიო ბალოტელი, ბოროტი შავი იტალიელი, რომელმაც გერმანია ატირა, ყველგან იყო!

გოლის ასეთი აღნიშვნა გენიალური იყო. მარიომ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, მერე კი ბოლო წლების ყველაზე ექსცენტრული ზეიმი შემოგვთავაზა.

ამ სტატიის ავტორი 2013 წელს მეტ ასეთ სცენას, მეტ ბალოტელის, მეტ ასეთ „პროვოკაციას" და გოლის ეპოქალურ აღნიშვნებს ისურვებდა. იმიტომ, რომ ფეხბურთი მარტო **ლიონელ მესის, ზინედინ ზიდანის, რობერტო ბაჯოს, დიეგო მარადონას, მიშელ პლატინის, იოჰან კრუიფის** ან **პელეს** გამო არ გვიყვარს.

თანაც, ბალოტელიმ არაერთი იდუმალი რასისტი გაგვაცნო...

**გოტფრიდ ლენცი**

## 2012

### წლის მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1. ფეხბურთი.** ბათუმში პრესკონფერენციაზე საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტებმა დაადასტურეს, რომ ევრო 2020-ის ერთობლივი მასპინძლობის განაცხადი შეიტანეს.

**1-2. მხ. ტანვარჯიში.** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა (**სალომე ფაჟავა, სოფიო ფარულავა, გაბრიელა ხვედელიძე**) მე-3 ადგილი დაიკავა.

**5. ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა (მწვრთნელი: **ალექსანდრე ჩივაძე**) ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში სტუმრად 2:1 დაამარცხა ესტონეთის ნაკრები.

**9. წყალბურთი.** საქართველოს ჩემპიონი „ლიგამუსი" გახდა, რომელმაც ფინალში „ივერიას" 12:6 მოუგო.

**10-11. ძიუდო.** რიო დე ჟანეიროს დიდ სლემზე ქართველებმა 4 ოქრო (**ბეთქილ შუკვანი, ვარლამ ლიპარტელიანი, ირაკლი ცირეკიძე, ადამ ოქრუაშვილი**) და 2 ბრინჯაო (**ამირან პაპინაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი**) მოიპოვეს.

**16. მძლეოსნობა.** 110 მეტრზე თარჯრბენში **დავით ილარიანმა** ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა.

**16. რაგბი.** ამერიკული ტურნეს პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები აშშ-სთან 20:36 დამარცხდა.

**17-18. ძიუდო.** ბუენოს აირესის მსოფლიოს თასზე ქართველებმა ოქროს 5 მედალი მოიპოვეს (**ბეთქილ შუკვანი, ლაშა შავდათუაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან ჟორჟოლიანი, ადამ ოქრუაშვილი**).

**18. რაგბი.** მსოფლიოს თასის ალაფის პირველ მატჩში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა 31:17 დაამარცხა კანადა.

**19-20. თავისუფალი ჭიდაობა.** ზაგრებში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მხოლოდ **ჯუმბერ ყველაშვილმა** (74 კგ) მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

**22. რაგბი.** მსოფლიოს თასის ალაფის მატჩში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა 43:7 მოუგო ზიმბაბვეს.

**22-24. ძიუდო.** ჩერნოგორიაში ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა 2 ოქრო, 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო მოიპოვეს და გუნდური მე-2 ადგილი დაიკავეს.

**23. რაგბი.** ამერიკული ტურნეს მეორე მატჩში საქართველოს ნაკრებმა კანადასთან 12:31 წააგო.

**23-24. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ზაგრებში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ქართველებმა 3 მედალი დაისაკუთრეს. **ლევან არაბული** (120 კგ) ვერცხლის მედალას შეწვდა, ბრინჯაო მოიპოვეს **რობერტ ქობლიაშვილმა** (84) და **იაკობ ქაჯაიამ** (96).

**26. რაგბი.** მსოფლიოს თასის ალაფის მატჩში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა იაპონიასთან 33:36 წააგო.

**26. ჩოგბურთი.** ლონდონის ოლიმპიადის საგზურები „უაილდ ქარდებით" **ანა ტატიშვილმა** და **მაკა ჩახნაშვილმა** მოიპოვეს.

**29. ფეხბურთი.** ოფიციალურად გახდა „ზენიტის" ფეხბურთელი **ლევან ყენია.**

**29. წყალბურთი.** საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" დაიწყო საერთაშორისო ტურნირი „თბილისის თასი".

**30. ფეხბურთი.** უეფას გადაწყვეტილებით, 2015 წლის ევროპის სუპერთასს თბილისი უმასპინძლებს.

**30. რაგბი.** მსოფლიოს თასის ალაფის მე-3 ადგილისთვის მატჩში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ტონგასთან 29:31 წააგო.

**30. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** დორტმუნდის დიდ პრიზზე **რევაზ ლაშხი** (60 კგ) ჩემპიონი გახდა, **ვლადიმერ გეგეშიძემ** (84) და **სოსო ჯაბიძემ** (96) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

## იანვარი

| | |
|---|---|
| 1-5 იანვარი | **ჩოგბურთი.** ATP. დოჰა. კატარი |
| 1-6 იანვარი | **ჩოგბურთი.** ATP. ბრისბენი. ავსტრალია |
| 1-6 იანვარი | **ჩოგბურთი.** ATP. ჩენაი. ინდოეთი |
| 1-5 იანვარი | **ჩოგბურთი.** WTA. შენჟენი. ჩინეთი |
| 1-5 იანვარი | **ჩოგბურთი.** WTA. ოკლენდი. ზელანდია |
| 1-6 იანვარი | **ჩოგბურთი.** WTA. ბრისბენი. ავსტრალია |
| 5-20 იანვარი | **რალი-რეიდი.** დაკარი 2013 |
| 6 იანვარი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. ზაგრები. ხორვატია |
| 6 იანვარი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. ზაგრები. ხორვატია |
| 6-12 იანვარი | **ჩოგბურთი.** ATP. სიდნეი. ავსტრალია |
| 7-12 იანვარი | **ჩოგბურთი.** ATP. ოკლენდი. ზელანდია |
| 7-12 იანვარი | **ჩოგბურთი.** WTA. სიდნეი. ავსტრალია |
| 7-12 იანვარი | **ჩოგბურთი.** WTA. ჰობარტი. ავსტრალია |
| 11-27 იანვარი | **ხელბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ესპანეთი |
| 11-13 იანვარი | **ციგურებით სირბილი.** ევროპის ჩემპიონატი. ჰოლანდია |
| 12-13 იანვარი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. ადელბოდენი. შვეიცარია |
| 12-13 იანვარი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. სტ. ანტონი. ავსტრია |
| 12-13 იანვარი | **ციგაობა.** ევროპის ჩემპიონატი. გერმანია |
| 14-27 იანვარი | **ჩოგბურთი.** ავსტრალიის ღია. მელბურნი |
| 15 იანვარი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. ფლახაუ. ავსტრია |
| 16-19 იანვარი | **მსოფლიო რალი.** I ეტაპი. მონტე კარლო |
| 16-27 იანვარი | **სნოუბორდი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. კანადა |
| 18-20 იანვარი | **შორტ-ტრეკი.** ევროპის ჩემპიონატი. შვედეთი |
| 18-20 იანვარი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. ვენგენი. შვეიცარია |
| 19-20 იანვარი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. კორტინა დ'ამპეცო. იტალია |
| 19 იანვარი-10.02 | **ფეხბურთი.** აფრიკის თასი. სამხრეთ აფრიკა |
| 21-27 იანვარი | **ფიგურული სრიალი.** ევროპის ჩემპიონატი. ხორვატია |
| 21 იანვარი-3.02 | **ბობსლეი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. აშშ |
| 21 იანვარი-3.02 | **სკელეტონი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. აშშ |
| 25-27 იანვარი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. კიტცბუელი. ავსტრია |
| 26-27 იანვარი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. მარიბორი. სლოვენია |
| 26-27 იანვარი | **ციგურებით სირბილი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (სპრინტი). აშშ |
| 28 იანვარი-3.02 | **ჩოგბურთი.** WTA. პარიზი. საფრანგეთი |
| 28 იანვარი-3.02 | **ჩოგბურთი.** WTA. პატაია. ტაილანდი |

## მარტი

| | |
|---|---|
| 1-3 მარტი | **მძლეოსნობა.** ევროპის ჩემპიონატი (დარბაზში). შვედეთი |
| 1-10 მარტი | **სოფტბოლი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ზელანდია |
| 2-3 მარტი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. კვიტფიელი. ნორვეგია |
| 2-3 მარტი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. გარმიში. გერმანია |
| 2-19 მარტი | **ბეისბოლი.** მსოფლიოს თასი. იაპონია, ტაივანი, პუერტო რიკო, აშშ |
| 3 მარტი | **ველოსპორტი.** პარიზი-ნიცა. საფრანგეთი |
| 5-6 მარტი | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩები (*დორტმუნდი-შახტარი, მანჩესტერ იუნ-რეალი, იუვენტუსი-სელტიკი, პსჟ-ვალენსია*) |
| 5-10 მარტი | **ფრისტაილი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია |
| 6-19 მარტი | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ |
| 6-19 მარტი | **ჩოგბურთი.** WTA. ინდიან უელსი. აშშ |
| 7 მარტი | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები |
| 8-10 მარტი | **მსოფლიო რალი.** III ეტაპი. მექსიკა |
| 8-10 მარტი | **შორტ-ტრეკი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. უნგრეთი |
| 9-10 მარტი | **რაგბი.** ექვსი ერი. IV ტური (*შოტლანდია-უელსი, ირლანდია-საფრანგეთი, ინგლისი-იტალია*) |
| 9-10 მარტი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. კრანსკა გორა. სლოვენია |
| 9-10 მარტი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. ოფტერშვანგი. გერმანია |
| 10-17 მარტი | **ფიგურული სრიალი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. კანადა |
| 12-13 მარტი | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩები (*შალკე-გალათასარაი, ბარსელონა-მილანი, ბაიერნი-არსენალი, მალაგა-პორტუ*) |
| 13-17 მარტი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. ლენცერჰაიდი. შვეიცარია |
| 13-17 მარტი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. ლენცერჰაიდი. შვეიცარია |
| 14 მარტი | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩები |
| 14-17 მარტი | **ციგურებით სირბილი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (ცალკეული დისციპლინები). რუსეთი |
| 16 მარტი | **რაგბი.** ექვსი ერი. V ტური (*იტალია-ირლანდია, უელსი-ინგლისი, საფრანგეთი-შოტლანდია*) |
| 16-24 მარტი | **ქერლინგი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ლატვია |
| 17 მარტი | **ფორმულა 1.** I ეტაპი. ავსტრალიის გრანპრი. მელბურნი |
| 17 მარტი | **ველოსპორტი.** მილანი-სან რემო. იტალია |
| 19-24 მარტი | **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონატი. საქართველო |
| 19-24 მარტი | **თავისუფალი ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონატი. საქართველო |
| 19-31 მარტი | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. მაიამი. აშშ |
| 19-31 მარტი | **ჩოგბურთი.** WTA. მაიამი. აშშ |
| 24 მარტი | **ფორმულა 1.** II ეტაპი. მალაიზიის გრანპრი. კუალა ლუმპური |
| 24 მარტი | **მძლეოსნობა.** კროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პოლონეთი |
| 24 მარტი | **ველოსპორტი.** გენტი-ვაველგემი. ბელგია |
| 30 მარტი-7.04 | **ქერლინგი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. კანადა |

## აპრილი

| | |
|---|---|
| 1-7 აპრილი | **ჩოგბურთი.** WTA. ჩარლსტონი. აშშ |
| 1-7 აპრილი | **ჩოგბურთი.** WTA. მონტერეი. მექსიკა |
| 2-3 აპრილი | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები |
| 2-5 აპრილი | **ჰოკეი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (ქალები). კანადა |
| 5-7 აპრილი | **ჩოგბურთი.** დევისის თასი. 1/4 ფინალი |
| 4 აპრილი | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები |
| 7 აპრილი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. I ეტაპი. კატარი |
| 7 აპრილი | **მძლეოსნობა.** პარიზის მარათონი. საფრანგეთი |
| 7 აპრილი | **ველოსპორტი.** პარიზი-რუბე. საფრანგეთი |
| 8-14 აპრილი | **ჩოგბურთი.** ATP. კასაბლანკა. მაროკო |
| 8-14 აპრილი | **ჩოგბურთი.** ATP. ჰიუსტონი. აშშ |
| 8-14 აპრილი | **ჩოგბურთი.** WTA. ბარსელონა. ესპანეთი |
| 8-14 აპრილი | **ჩოგბურთი.** WTA. კოპენჰაგენი. დანია |
| 9-10 აპრილი | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები |
| 10-12 აპრილი | **მსოფლიო რალი.** IV ეტაპი. პორტუგალია |
| 11 აპრილი | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები |
| 13 აპრილი | **კალათბურთი.** ევროთასი. ფინალი |
| 14 აპრილი | **ფორმულა 1.** III ეტაპი. ჩინეთის გრანპრი. შანხაი |
| 14 აპრილი | **ველოსპორტი.** ამსტელ გოლდ რეისი. ჰოლანდია |
| 14-21 აპრილი | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. მონტე კარლო |
| 15 აპრილი | **მძლეოსნობა.** ბოსტონის მარათონი. აშშ |
| 15-21 აპრილი | **სპორტული ტანვარჯიში.** ევროპის ჩემპიონატი. რუსეთი |
| 17 აპრილი | **ველოსპორტი.** ფლეშ ვალონი. ბელგია |
| 20-21 აპრილი | **ჩოგბურთი.** ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი |
| 21 აპრილი | **ფორმულა 1.** IV ეტაპი. ბაჰრეინის გრანპრი. სახირი |
| 21 აპრილი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. II ეტაპი. აშშ |
| 21 აპრილი | **მძლეოსნობა.** ლონდონის მარათონი. ბრიტანეთი |
| 21 აპრილი | **ველოსპორტი.** ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი. ბელგია |
| 22-28 აპრილი | **ჩოგბურთი.** ATP. ბარსელონა. ესპანეთი |
| 22-28 აპრილი | **ჩოგბურთი.** ATP. ბუქარესტი. რუმინეთი |
| 22-28 აპრილი | **ჩოგბურთი.** WTA. შტუტგარტი. გერმანია |
| 22-28 აპრილი | **ჩოგბურთი.** WTA. ფესი. მაროკო |
| 23-24 აპრილი | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩები |
| 25 აპრილი | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩები |
| 29 აპრილი-5.05 | **ჩოგბურთი.** ATP. ეშტორილი. პორტუგალია |
| 29 აპრილი-5.05 | **ჩოგბურთი.** ATP. მიუნხენი. გერმანია |
| 29 აპრილი-5.05 | **ჩოგბურთი.** ATP. ბელგრადი. სერბეთი |
| 29 აპრილი-5.05 | **ჩოგბურთი.** WTA. ეშტორილი. პორტუგალია |
| 30 აპრილი-1.05 | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. II მატჩები |






## თებერვალი

| | |
|---|---|
| 1-3 თებერვალი | **ჩოგბურთი.** დევისის თასი. 1/8 ფინალი (*კანადა-ესპანეთი, იტალია-ხორვატია, ბელგია-სერბეთი, აშშ-ბრაზილია, საფრანგეთი-ისრაელი, არგენტინა-გერმანია, ყაზახეთი-ავსტრია, შვეიცარია-ჩეხეთი*) |
| 1-2 თებერვალი | **ციგაობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. კანადა |
| 2-3 თებერვალი | **ველოკროსი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. აშშ |
| 2-3 თებერვალი | **რაგბი.** ექვსი ერი. I ტური (*უელსი-ირლანდია, ინგლისი-შოტლანდია, იტალია-საფრანგეთი*) |
| 3 თებერვალი | **ამერიკული ფეხბურთი.** სუპერბოული. ნიუ ორლეანი. აშშ |
| 4-10 თებერვალი | **ჩოგბურთი.** ATP. მონპელიე. საფრანგეთი |
| 4-10 თებერვალი | **ჩოგბურთი.** ATP. ზაგრები. ხორვატია |
| 4-10 თებერვალი | **ჩოგბურთი.** ATP. ვინია დელ მარი. ჩილე |
| 5-17 თებერვალი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს ჩემპიონატი. შლადმინგი. ავსტრია |
| 7-10 თებერვალი | **მსოფლიო რალი.** II ეტაპი. შვედეთი |
| 7-17 თებერვალი | **ბიატლონი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩეხეთი |
| 9-10 თებერვალი | **ჩოგბურთი.** ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი (*ჩეხეთი-ავსტრალია, იტალია-აშშ, რუსეთი-იაპონია, სერბეთი-სლოვაკეთი*) |
| 9-10 თებერვალი | **რაგბი.** ექვსი ერი. II ტური (*შოტლანდია-იტალია, საფრანგეთი-უელსი, ირლანდია-ინგლისი*) |
| 11-17 თებერვალი | **ჩოგბურთი.** ATP. როტერდამი. ჰოლანდია |
| 11-17 თებერვალი | **ჩოგბურთი.** ATP. სან ხოსე. აშშ |
| 11-17 თებერვალი | **ჩოგბურთი.** ATP. სან პაულუ. ბრაზილია |
| 11-17 თებერვალი | **ჩოგბურთი.** WTA. დოჰა. კატარი |
| 12-13 თებერვალი | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები (*სელტიკი-იუვენტუსი, ვალენსია-პსჟ, შახტარი-დორტმუნდი, რეალი-მანჩესტერ იუნ*) |
| 14 თებერვალი | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩები (*ზენიტი-ლივერპული, ანჟი-ჰანოვერი, ბატე-ფენერბაჰჩე, ლევანტე-ოლიმპიაკოსი, დინამო (კ)-ბორდო, ლევერკუზენი-ბენფიკა, აიაქსი-სტიაუა, სპარტა-ჩელსი, ნაპოლი-პლზენი, ატლეტიკო-რუბინი, ინტერი-კლუჟი, ნიუკასლი-მეტალისტი, შტუტგარტი-გენკი, ბაზელი-დნიპრო, ბორუსია (მ)-ლაციო, ტოტენჰემი-ლიონი*) |
| 15-17 თებერვალი | **ციგურებით სირბილი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია |
| 17 თებერვალი | **კალათბურთი.** NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი. ჰიუსტონი |
| 18-24 თებერვალი | **ჩოგბურთი.** ATP. მარსელი. საფრანგეთი |
| 18-24 თებერვალი | **ჩოგბურთი.** ATP. მემფისი. აშშ |
| 18-24 თებერვალი | **ჩოგბურთი.** ATP. ბ-აირესი. არგენტინა |
| 18-23 თებერვალი | **ჩოგბურთი.** WTA. მემფისი. აშშ |
| 18-23 თებერვალი | **ჩოგბურთი.** WTA. დუბაი. საემიროები |
| 18-23 თებერვალი | **ჩოგბურთი.** WTA. ბოგოტა. კოლუმბია |
| 19-20 თებერვალი | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები (*არსენალი-ბაიერნი, პორტუ-მალაგა, გალათასარაი-შალკე, მილანი-ბარსელონა*) |
| 20 თებერვალი-3.03 | **სათხილამურო ორჭიდი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია |
| 20 თებერვალი-3.03 | **თხილამურებით რბოლა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია |
| 20 თებერვალი-3.03 | **ტრამპლინი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია |
| 20-24 თებერვალი | **ველოსპორტი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (ტრეკი). ბელარუსი |
| 21 თებერვალი | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. II მატჩები (*ლივერპული-ზენიტი, ჰანოვერი-ანჟი, ფენერბაჰჩე-ბატე, ოლიმპიაკოსი-ლევანტე, ბორდო-დინამო (კ), ბენფიკა-ლევერკუზენი, სტიაუა-აიაქსი, ჩელსი-სპარტა, პლზენი-ნაპოლი, რუბინი-ატლეტიკო, კლუჟი-ინტერი, მეტალისტი-ნიუკასლი, გენკი-შტუტგარტი, დნიპრო-ბაზელი, ლაციო-ბორუსია (მ), ლიონი-ტოტენჰემი*) |
| 23-24 თებერვალი | **რაგბი.** ექვსი ერი. III ტური (*იტალია-უელსი, ინგლისი-საფრანგეთი, შოტლანდია-ირლანდია*) |
| 23-24 თებერვალი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. კაცები. გარმიში. გერმანია |
| 23-24 თებერვალი | **სამთო თხილამურები.** მსოფლიოს თასი. ქალები. მარიბელი. საფრანგეთი |
| 25 თებერვალი-2.03 | **ჩოგბურთი.** ATP. დუბაი. საემიროები |
| 25 თებერვალი-2.03 | **ჩოგბურთი.** ATP. აკაპულკო. მექსიკა |
| 25 თებერვალი-2.03 | **ჩოგბურთი.** ATP. დელრეი ბიჩი. აშშ |
| 25 თებერვალი-2.03 | **ჩოგბურთი.** WTA. ფლორიანაპოლისი. ბრაზილია |
| 25 თებერვალი-2.03 | **ჩოგბურთი.** WTA. აკაპულკო. მექსიკა |
| 25 თებერვალი-2.03 | **ჩოგბურთი.** WTA. კ-ლუმპური. მალაიზია |

## მაისი

| | |
|---|---|
| 2 მაისი | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. II მატჩები |
| 3-4 მაისი | **ჰოკეი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. შვედეთი/ფინეთი |
| 3-5 მაისი | **მსოფლიო რალი.** V ეტაპი. არგენტინა |
| 4 მაიმი | **ცხენოსნობა.** კენტაკის დერბი. აშშ |
| 4-26 მაისი | **ველოსპორტი.** ჯირო დ'იტალია |
| 5 მაისი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. III ეტაპი. ესპანეთი |
| 4-12 მაისი | **ჩოგბურთი.** WTA. მადრიდი. ესპანეთი |
| 5-12 მაისი | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი |
| 9-12 მაისი | **გოლფი.** The Players Championship |
| 10 მაისი | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. I ეტაპი. კატარი |
| 10-12 მაისი | **კალათბურთი.** ევროლიგა. ოთხთა ფინალი. ლონდონი |
| 11 მაისი | **ფეხბურთი.** ინგლისის თასი. ფინალი |
| 12 მაისი | **ფორმულა 1.** V ეტაპი. ესპანეთის გრანპრი. ბარსელონა |
| 12-19 მაისი | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. რომი. იტალია |
| 13-19 მაისი | **ჩოგბურთი.** WTA. რომი. იტალია |
| 13-20 მაისი | **მაგიდის ჩოგბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. საფრანგეთი |
| 15 მაისი | **ფეხბურთი.** ევროპის ლიგა. ფინალი. ამსტერდამი. ჰოლანდია |
| 18 მაისი | **ფეხბურთი.** ესპანეთის თასი. ფინალი |
| 18 მაისი | **ფეხბურთი.** გერმანიის ჩემპიონატი. ბოლო ტური |
| 18 მაისი | **რაგბი.** ჰაინეკენის თასი. ფინალი. ირლანდია |
| 18 მაისი | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. II ეტაპი. ჩინეთი |
| 19 მაისი | **ფეხბურთი.** ინგლისის ჩემპიონატი. ბოლო ტური |
| 19 მაისი | **ფეხბურთი.** იტალიის ჩემპიონატი. ბოლო ტური |
| 19 მაისი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. IV ეტაპი. საფრანგეთი |
| 19-25 მაისი | **ჩოგბურთი.** ATP. დიუსელდორფი. გერმანია |
| 19-25 მაისი | **ჩოგბურთი.** ATP. ნიცა. საფრანგეთი |
| 20-25 მაისი | **ჩოგბურთი.** WTA. ბრიუსელი. ბელგია |
| 20-25 მაისი | **ჩოგბურთი.** WTA. სტრასბური. საფრანგეთი |
| 25 მაისი | **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ლონდონი |
| 25 მაისი | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. III ეტაპი. აშშ |
| 26 მაისი | **ფორმულა 1.** VI ეტაპი. მონაკოს გრანპრი. მონტე კარლო |
| 26 მაისი | **ფეხბურთი.** იტალიის თასი. ფინალი |
| 26 მაისი | **ფეხბურთი.** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბოლო ტური |
| 26 მაისი-9.06 | **ჩოგბურთი.** საფრანგეთის ღია. პარიზი |
| 31 მაისი | **ფეხბურთი.** საფრანგეთის თასი. ფინალი |
| 31 მაისი-2.06 | **მხატვრული ტანვარჯიში.** ევროპის ჩემპიონატი. ავსტრია |
| 31 მაისი-2.06 | **მსოფლიო რალი.** VI ეტაპი. საბერძნეთი |

## ივნისი

| | |
|---|---|
| 1 ივნისი | **ფეხბურთი.** გერმანიის თასი. ფინალი |
| 1 ივნისი | **ფეხბურთი.** ესპანეთის ჩემპიონატი. ბოლო ტური |
| 1 ივნისი | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. IV ეტაპი. აშშ |
| 1-2 ივნისი | **ნიჩბოსნობა.** ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი |
| 1-2 ივნისი | **ტრიატლონი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. საფრანგეთი |
| 2 ივნისი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. V ეტაპი. იტალია |
| 6 ივნისი | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. V ეტაპი. იტალია |
| 6-9 ივნისი | **კანოე (სლალომი).** ევროპის ჩემპიონატი. პოლონეთი |
| 9 ივნისი | **ფორმულა 1.** VII ეტაპი. კანადის გრანპრი. მონრეალი |
| 10-16 ივნისი | **ჩოგბურთი.** ATP. ჰალე. გერმანია |
| 10-16 ივნისი | **ჩოგბურთი.** ATP. ლონდონი. ბრიტანეთი |
| 10-16 ივნისი | **ჩოგბურთი.** WTA. ბირმინგემი. ბრიტანეთი |
| 13 ივნისი | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. VI ეტაპი. ნორვეგია |
| 13-16 ივნისი | **გოლფი.** U.S. Open Championship |
| 14-16 ივნისი | **ტრიატლონი.** ევროპის ჩემპიონატი. თურქეთი |
| 15-17 ივნისი | **კალათბურთი.** ევრობასკეტი 2013. ქალები. საფრანგეთი |
| 15-28 ივნისი | **ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატი (U21). ისრაელი |
| 15-30 ივნისი | **ფეხბურთი.** კონფედერაციათა თასი. ბრაზილია |
| 16 ივნისი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. VI ეტაპი. კატალონია |
| 16-22 ივნისი | **ჩოგბურთი.** ATP. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია |
| 16-22 ივნისი | **ჩოგბურთი.** WTA. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია |
| 17-22 ივნისი | **ჩოგბურთი.** ATP. ისტბურნი. ბრიტანეთი |
| 17-22 ივნისი | **ჩოგბურთი.** WTA. ისტბურნი. ბრიტანეთი |
| 21-23 ივნისი | **მსოფლიო რალი.** VII ეტაპი. იტალია |
| 21 ივნისი-13.07 | **ფეხბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (U20). თურქეთი |
| 22-23 ივნისი | **მძლეოსნობა.** ევროპის გუნდური ჩემპიონატი. ბრიტანეთი |
| 24 ივნისი-7.07 | **ჩოგბურთი.** უიმბლდონი. ბრიტანეთი |
| 28-30 ივნისი | **შვიდკაცა რაგბი.** მსოფლიოს თასი. რუსეთი |
| 29 ივნისი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. VII ეტაპი. ჰოლანდია |
| 29 ივნისი-21.07 | **ველოსპორტი.** ტურ დე ფრანსი |
| 30 ივნისი | **ფორმულა 1.** VIII ეტაპი. ბრიტანეთის გრანპრი. სილვერსტოუნი |
| 30 ივნისი | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. VII ეტაპი. ბრიტანეთი |

## აგვისტო

| | |
|---|---|
| 2-4 აგვისტო | **მსოფლიო რალი.** VIII ეტაპი. ფინეთი |
| 4-11 აგვისტო | **ბადმინტონი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩინეთი |
| 5-11 აგვისტო | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. ტორონტო. კანადა |
| 5-11 აგვისტო | **ჩოგბურთი.** WTA. ტორონტო. კანადა |
| 7-25 აგვისტო | **ბალახის ჰოკეი.** ევროპის ჩემპიონატი. ბელგია |
| 8-11 აგვისტო | **გოლფი.** PGA Championship |
| 10-18 აგვისტო | **მძლეოსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. რუსეთი |
| 12-18 აგვისტო | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. ცინცინატი. აშშ |
| 12-18 აგვისტო | **ჩოგბურთი.** WTA. ცინცინატი. აშშ |
| 18 აგვისტო | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. X ეტაპი. აშშ |
| 17-23 აგვისტო | **ჩოგბურთი.** WTA. დალასი. აშშ |
| 17-23 აგვისტო | **ჩოგბურთი.** WTA. ნიუ ჰევენი. აშშ |
| 19-24 აგვისტო | **ჩოგბურთი.** ATP. უინსტონ-სალემი. აშშ |
| 21-25 ივლისი | **კანოე.** მსოფლიოს ჩემპიონატი. გერმანია |
| 23 აგვისტო | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. XII ეტაპი. შვედეთი |
| 23-25 აგვისტო | **მსოფლიო რალი.** IX ეტაპი. გერმანია |
| 24 აგვისტო-15.09 | **ველოსპორტი.** ვუელტა. ესპანეთი |
| 25 აგვისტო | **ფორმულა 1.** XII ეტაპი. ბელგიის გრანპრი. სპა |
| 25 აგვისტო | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XI ეტაპი. ჩეხეთი |
| 25 აგვისტო-1.09 | **ნიჩბოსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. კორეა |
| 26 აგვისტო-1.09 | **ძიუდო.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრაზილია |
| 26 აგვისტო-8.09 | **ჩოგბურთი.** აშშ-ის ღია. ნიუ-იორკი |
| 28 აგვისტო-1.09 | **ფრენბურთი.** მსოფლიო გრანპრი. ქალები. ფინალი. იაპონია |
| 29 აგვისტო | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. XIII ეტაპი. შვეიცარია |
| 29 აგვისტო-4.09 | **თანამედროვე ხუთჭიდი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ტაივანი |

## სექტემბერი

| | |
|---|---|
| 1 სექტემბერი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XII ეტაპი. ბრიტანეთი |
| 1 სექტემბერი | **ტრიატლონი.** ევროპის ჩემპიონატი. |
| 4-9 სექტემბერი | **კალათბურთი.** ევრობასკეტი 2013. სლოვენია |
| 6 სექტემბერი | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. XIV ეტაპი. ბელგია |
| 6-14 სექტემბერი | **ფრენბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. ქალები. გერმანია/შვეიცარია |
| 8 სექტემბერი | **ფორმულა 1.** XIII ეტაპი. იტალიის გრანპრი. მონცა |
| 9-15 სექტემბერი | **ჩოგბურთი.** WTA. კვებეკი. კანადა |
| 9-15 სექტემბერი | **ჩოგბურთი.** WTA. ტაშკენტი. უზბეკეთი |
| 11-15 სექტემბერი | **კანოე (სლალომი).** მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩეხეთი |
| 13-15 სექტემბერი | **ჩოგბურთი.** დევისის თასი. 1/2 ფინალი |
| 13-15 სექტემბერი | **მსოფლიო რალი.** X ეტაპი. ავსტრალია |
| 14-24 სექტემბერი | **მხატვრული ტანვარჯიში.** მსოფლიოს ჩემპიონატი. უკრაინა |
| 15 სექტემბერი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XIII ეტაპი. სან მარინო |
| 16-22 სექტემბერი | **ჩოგბურთი.** ATP. მეცი. საფრანგეთი |
| 16-22 სექტემბერი | **ჩოგბურთი.** ATP. სტ. პეტერბურგი. რუსეთი |
| 16-21 სექტემბერი | **ჩოგბურთი.** WTA. გუანგჯოუ. ჩინეთი |
| 16-22 სექტემბერი | **ჩოგბურთი.** WTA. სეული. კორეა |
| 16-22 სექტემბერი | **თავისუფალი ჭიდაობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. უნგრეთი |
| 16-22 სექტემბერი | **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. უნგრეთი |
| 20-29 სექტემბერი | **ფრენბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. კაცები. დანია/პოლონეთი |
| 21-29 სექტემბერი | **ველოსპორტი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია |
| 22 სექტემბერი | **ფორმულა 1.** XIV ეტაპი. სინგაპურის გრანპრი. სინგაპური |
| 22-28 სექტემბერი | **ჩოგბურთი.** WTA. ტოკიო. იაპონია |
| 23-29 სექტემბერი | **ჩოგბურთი.** ATP. კუალა ლუმპური. მალაიზია |
| 23-29 სექტემბერი | **ჩოგბურთი.** ATP. ბანგკოკი. ტაილანდი |
| 29 სექტემბერი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XIV ეტაპი. არაგონი |
| 29 სექტემბერი-6.10 | **მშვილდოსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. თურქეთი |
| 28 სექტემბერი-6.10 | **ჩოგბურთი.** WTA. პეკინი. ჩინეთი |
| 30 სექტემბერი-6.10 | **ჩოგბურთი.** ATP. პეკინი. ჩინეთი |
| 30 სექტემბერი-6.10 | **ჩოგბურთი.** ATP. ტოკიო. იაპონია |
| 30 სექტემბერი-6.10 | **სპორტული ტანვარჯიში.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ბელგია |





## ივლისი

| | |
|---|---|
| 1-10 ივლისი | **აფროსნობა.** ევროპის ჩემპიონატი. დანია |
| 4 ივლისი | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. VIII ეტაპი. შვეიცარია |
| 6 ივლისი | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. IX ეტაპი. საფრანგეთი |
| 6-17 ივლისი | **ზაფხულის უნივერსიადა.** რუსეთი |
| 7 ივლისი | **ფორმულა 1.** IX ეტაპი. გერმანიის გრანპრი. ნიურბურგი |
| 7-28 ივლისი | **ფეხბურთი.** კონკაკაფის ოქროს თასი. აშშ |
| 8-14 ივლისი | **ჩოგბურთი.** ATP. ბასტადი. შვედეთი |
| 8-14 ივლისი | **ჩოგბურთი.** ATP. შტუტგარტი. გერმანია |
| 8-14 ივლისი | **ჩოგბურთი.** ATP. ნიუპორტი. აშშ |
| 8-14 ივლისი | **ჩოგბურთი.** WTA. ბუდაპეშტი. უნგრეთი |
| 8-14 ივლისი | **ჩოგბურთი.** WTA. პალერმო. იტალია |
| 10-18 ივლისი | **ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. ქალები. შვედეთი |
| 11-17 ივლისი | **თანამედროვე ხუთჭიდი.** ევროპის ჩემპიონატი. პოლონეთი |
| 12-14 ივლისი | **კანოე.** ევროპის ჩემპიონატი. პორტუგალია |
| 14 ივლისი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. VIII ეტაპი. გერმანია |
| 15-21 ივლისი | **ჩოგბურთი.** ATP. ჰამბურგი. გერმანია |
| 15-21 ივლისი | **ჩოგბურთი.** ATP. ბოგოტა. კოლუმბია |
| 15-21 ივლისი | **ჩოგბურთი.** WTA. ბასტადი. შვედეთი |
| 15-21 ივლისი | **ჩოგბურთი.** WTA. ბად გასტაინი. ავსტრია |
| 16-21 ივლისი | **ფრენბურთი.** მსოფლიოს ლიგა. კაცები. ფინალი |
| 18-21 ივლისი | **გოლფი.** The Open Championship |
| 19 აგვისტო | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. X ეტაპი. მონაკო |
| 19 ივლისი-4.08 | **წყალში ხტომა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი |
| 19 ივლისი-4.08 | **სინქრონული ცურვა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი |
| 19 ივლისი-4.08 | **ცურვა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი |
| 20-27 ივლისი | **აფროსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. დანია |
| 21 ივლისი | **ფორმულა 1.** X ეტაპი |
| 21 ივლისი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. IX ეტაპი. აშშ |
| 22-28 ივლისი | **ჩოგბურთი.** ATP. გშტაადი. შვეიცარია |
| 22-28 ივლისი | **ჩოგბურთი.** ATP. ატლანტა. აშშ |
| 22-28 ივლისი | **ჩოგბურთი.** ATP. უმაგი. ხორვატია |
| 22-28 ივლისი | **ჩოგბურთი.** WTA. სტენფორდი. აშშ |
| 22-28 ივლისი | **ჩოგბურთი.** WTA. ბაქო. აზერბაიჯანი |
| 25-28 ივლისი | **ველოსპორტი (BMX).** მსოფლიოს ჩემპიონატი. ზელანდია |
| 25 ივლისი-4.08 | **IX მსოფლიოს თამაშები.** კოლუმბია |
| 26-27 აგვისტო | **მძლეოსნობა.** ბრილიანტის ლიგა. XI ეტაპი. ბრიტანეთი |
| 27 ივლისი | **ველოსპორტი.** სან სებასტიანის კლასიკა. ესპანეთი |
| 28 ივლისი | **ფორმულა 1.** XI ეტაპი. უნგრეთის გრანპრი. ბუდაპეშტი |
| 29 ივლისი-4.08 | **ჩოგბურთი.** ATP. კიტცბუელი. ავსტრია |
| 29 ივლისი-4.08 | **ჩოგბურთი.** ATP. ვაშინგტონი. აშშ |
| 28 ივლისი-4.08 | **ჩოგბურთი.** WTA. ვაშინგტონი. აშშ |
| 29 ივლისი-4.08 | **ჩოგბურთი.** WTA. კარლსბადი. აშშ |

## ოქტომბერი

| | |
|---|---|
| 4-6 ოქტომბერი | **მსოფლიო რალი.** XI ეტაპი. საფრანგეთი |
| 4-13 ოქტომბერი | **მაგიდის ჩოგბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი |
| 4-20 ოქტომბერი | **კრივი.** მსოფლიოს ჩეპიონატი. ყაზახეთი |
| 6 ოქტომბერი | **ფორმულა 1.** XV ეტაპი. კორეის გრანპრი. იეონამი |
| 6 ოქტომბერი | **ველოსპორტი.** ჯირო ლომბარდია. იტალია |
| 7-13 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი |
| 7-13 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** WTA. ოსაკა. იაპონია |
| 7-13 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** WTA. ლინცი. ავსტრია |
| 13 ოქტომბერი | **ფორმულა 1.** XVI ეტაპი. იაპონიის გრანპრი. სუზუკა |
| 13 ოქტომბერი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XV ეტაპი. მალაიზია |
| 14-20 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** ATP. მოსკოვი. რუსეთი |
| 14-20 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** ATP. სტოკჰოლმი. შვედეთი |
| 14-20 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** ATP. ვენა. ავსტრია |
| 14-20 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** WTA. მოსკოვი. რუსეთი |
| 14-20 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** WTA. ლუქსემბურგი |
| 16-23 ოქტომბერი | **ძალოსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. პოლონეთი |
| 20 ოქტომბერი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XVI ეტაპი. ავსტრალია |
| 21-27 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** ATP. ვალენსია. ესპანეთი |
| 21-27 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** ATP. ბაზელი. შვეიცარია |
| 22-27 ოქტომბერი | **ჩოგბურთი.** WTA. წლის შემაჯამებელი ტურნირი. სტამბოლი. თურქეთი |
| 25-27 ოქტომბერი | **მსოფლიო რალი.** XII ეტაპი. ესპანეთი |
| 25 ოქტომბერი-5.11 | **ფეხბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი (U17). საემიროები |
| 27 ოქტომბერი | **ფორმულა 1.** XVII ეტაპი. ინდოეთის გრანპრი. ნიუ დელი |
| 27 ოქტომბერი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XVII ეტაპი. იაპონია |
| 28 ოქტომბერი-3.11 | **ჩოგბურთი.** ATP. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი |
| 29 ოქტომბერი-3.11 | **ჩოგბურთი.** WTA. ჩემპიონთა ტურნირი. სოფია. ბულგარეთი |

## ნოემბერი

| | |
|---|---|
| 2-3 ნოემბერი | **ჩოგბურთი.** ფედერაციის თასი. ფინალი |
| 3 ნოემბერი | **ფორმულა 1.** XVIII ეტაპი. აბუ დაბის გრანპრი. იას მარინა |
| 4-10 ნოემბერი | **ჩოგბურთი.** ATP-ის შემაჯამებელი. ბრიტანეთი |
| 7-10 ნოემბერი | **ბატუტზე ხტომა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ბულგარეთი |
| 10 ნოემბერი | **მოტოგრანპრი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. XVIII ეტაპი. ვალენსია |
| 10-30 ნოემბერი | **რაგბი.** რაგბი ლიგის მსოფლიოს თასი |
| 15-17 ნოემბერი | **ჩოგბურთი.** დევისის თასი. ფინალი |
| 15-17 ნოემბერი | **მსოფლიო რალი.** XIII ეტაპი. ბრიტანეთი |
| 17 ნოემბერი | **ფორმულა 1.** XIX ეტაპი. აშშ-ის გრანპრი. ოსტინი |
| 24 ნოემბერი | **ფორმულა 1.** XX ეტაპი. ბრაზილიის გრანპრი. სან პაულუ |

## დეკემბერი

| | |
|---|---|
| 7-22 დეკემბერი | **ხელბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. სერბეთი |
| 11-21 დეკემბერი | **ზამთრის უნივერსიადა.** იტალია |
| 11-22 დეკემბერი | **ფეხბურთი.** კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი. მაროკო |

## წლის მთავარი მოვლენები

რალი-რეიდი დაკარი 2013 (5-20 იანვარი)

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია (14-27 იანვარი)

სამთო თხილამურები. მსოფლიოს ჩემპიონატი (5-17 თებერვალი)

ამერიკული ფეხბურთი. სუპერბოული (3 თებერვალი)

ფორმულა 1. ჩემპიონატის სტარტი (17 მარტი)

ჩოგბურთი. როლან გაროსი (26 მაისი-9 ივნისი)

ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი (25 მაისი)

ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი (15-30 ივნისი)

ჩოგბურთი. უიმბლდონი (24 ივნისი-7 ივლისი)

შვიდკაცა რაგბი. მსოფლიოს თასი (28-30 ივნისი)

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (29 ივნისი-21 ივლისი)

ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი (19 ივლისი-4 აგვისტო)

მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი (10-18 აგვისტო)

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია (26 აგვისტო-8 სექტემბერი)

გვერდები მოამზადა გია **თვალაბეიშვილმა**

უცხოური ფეხბურთი

## 2012

### წლის მონაგარი ივლისი

**1. წყალბურთი**: თბილისის თასის საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ნაკრებმა მოიგო.

**5. ფეხბურთი**. ევროპალიგის I საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის „ტორპედო“ ყაზახურ „აქტობეს“ დაუზავდა - 1:1, ხოლო რუსთავის „მეტალურგმა“ სტუმრად აჯობა ალბანურ „ტეუტას“ - 3:0.

**6. ცურვა**. ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში ანტვერპენში **ირაკლი ბოლქვაძემ** ბრასით 200 მ. ცურვაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**7-8. შვიდკაცა რაგბი**. დანიაში, ევროპის გრან-პრის ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა V ადგილი და სინი მოიპოვა.

**7-8. პლაჟის ხელბურთი**. ბათუმში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი 18-წლამდელთა შორის.

**11. კალათბურთი**. ვიქტორ სანიკიძე „მონტეპასკიში“ გადავიდა.

**12. ფეხბურთი**. ევროპალიგის I საკვალიფიკაციო ეტაპზე, რუსთავის „მეტალურგმა“ 6:1 მოუგო ალბანურ „ტეუტას“, ხოლო „ტორპედო“ სტუმრად 0:1 დამარცხდა „აქტობესთან“.

**15. ფეხბურთი**. ევროპის ახალგაზრდული პირველობის საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე**) შინ 1:1 ითამაშა ხორვატიასთან.

**15. ფეხბურთი**. ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი **თემურ ქეცბაია**) სტუმრად 2:1 დაამარცხა ლუქსემბურგი.

**17. ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონი“ სტუმრად 0:3 დამარცხდა აზერბაიჯანულ „ნეფთჩისთან“.

**17. მძლეოსნობა**. ბარსელონაში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში **ლაშა ლულელაურმა** სამხტომში VI ადგილი დაიკავა.

**19. ფეხბურთი**. ევროპალიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე, რუსთავის „მეტალურგი“ შინ 1:3 დამარცხდა ჩეხურ „პლზენთან“, ხოლო გორის „დილამ“ სტუმრად 2:1 დაამარცხა დანიური „ორჰუსი“.

**22-24. ძიუდო**. ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე ჩემპიონები გახდნენ: **ერეკლე არხოზაშვილი** (50 კგ) და **კობა მჭედლიშვილი** (60), ვერცხლის მედლები მოიპოვეს: **ბექა ნათთრალიშვილმა** (55) და **დავით რამაზაშვილმა** (90), ბრინჯაო: **გიორგი კაციაშვილმა** (55) და **ბაჩანა ბოლქვაძემ** (66). საქართველო გუნდურ მე-2 ადგილზე გავიდა.

**24. ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო მატჩში „ზესტაფონი“ შინ 2:2 დაუზავდა „ნეფთჩის“ და ასპარეზობას გამოეთიშა.

**26. ფეხბურთი**. ევროპალიგის II საკვალიფიკაციო მატჩში რუსთავის „მეტალურგი“ სტუმრად 0:2 დამარცხდა „პლზენთან“, ხოლო „დილამ“ „ორჰუსს“ 3:1 მოუგო.

**26. კალათბურთი**. ნბა-ს გუნდ „ბრუკლინ ნეთსთან“ ხელშეკრულება გააფორმა **თორნიკე შენგელიამ**.

**28. ოლიმპიადა**. ძიუდოისტმა **ბექილ შუკვანმა** ადრეულ სტადიაზე დაასრულა ასპარეზობა. ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა** I ეტაპზე მოიგო. ველომრბოლმა **გიორგი ნადირაძემ** დისტანცია ვერ დაასრულა, მოკრივე **მერაბ თურქაძეს** არ უასპარეზია.

**29. ოლიმპიადა**. ძიუდოისტი **ლაშა შავდათუაშვილი** ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მსროლელმა **ნინო სალუქვაძემ** საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გაიარა.

**30. ოლიმპიადა**. ძიუდოისტი **ნუგზარ ტატალაშვილი** ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა ასპარეზობას.

**31. ოლიმპიადა**. მოცურავე **ირაკლი ბოლქვაძე** ფინალში ვერ გავიდა. მშვილდოსანმა **ქრისტინე ესებუამ** 1/16 ფინალში წააგო. ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა** II ეტაპზე წააგო. ძიუდოისტი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** ასპარეზობას ადრეულ ეტაპზე გამოემშვიდობა.

---

კალჩიო. წლის შეჯამება

# ცუდი და კარგი

## 2012 წლის გუნდები და ფეხბურთელები



იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე

**სულ ცოტაც და 2012 ისტორიის საკუთრება გახდება, წელი, რომელმაც იტალიურ ფეხბურთს ბევრი საფიქრალი დაუტოვა...**

### ცუდი

იტალიური ფეხბურთი და სკანდალები განუყოფელი ცნებებია და ამ მხრივ, ღარიბი არც 2012 წელი ყოფილა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ოთხმა გუნდმა მინუს ქულებით დაიწყო, პირველი წრის მიწურულს კი მათ რიცხვს "ნაპოლიც" შეუერთდა. როდესაც გუნდები არათანაბარ პირობებში არიან, ეს ჩემპიონატის პრესტიჟზე და საერთო დონეზე ძალიან ცუდად მოქმედებს. დავუმატოთ ამას ფეხბურთელთა, ან მწვრთნელთა დისკვალიფიკაციები, რომლებმაც ასევე დიდი დარტყმა მიაყენა კალჩოს იმიჯს. მაგალითად, "იუვენტუსის" თავკაცი **ანტონიო კონტე** ნახევარი წლით იყო ჩამოშორებული ფეხბურთს, სულ ახლახან კი ანალოგიური სასჯელი ნეაპოლელ **პაოლო კანავაროსაც** გამოუწერეს.

წლის სკანდალი ევროპის ჩემპიონატის წინ აგორდა, როდესაც "კალჩოპოლის" ახალმა ტალღამ იფეთქა. იტალიის სამართალდამცავმა ორგანოებმა კალჩო მთლიანად ააყირავეს და ბუნებრივია, ამან გავლენა "სკუადრა აძურაზეც" მოახდინა. იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა, როდესაც სამართალდამცავები ბაზაზე მივიდნენ და **დომენიკო კრიშიტო** დააკავეს. "ზენიტის" უკანახაზელმა კონტინენტის პირველობა გამოტოვა, თუმცა როგორც შემდეგ გაირკვა, სულ ტყუილად - დომენიკოს გარიგებულ მატჩებში მონაწილეობა არ დაუმტკიცდა. მოკლედ, 2012 წელს კალჩო და კორუფცია ისევ აქტუალური იყო. ვნახოთ, რა იქნება 2013-ში.

### კარგი

უმჯობესია, დღეს უარყოფითზე მეტი აღარ ვთქვათ და დადებით მოვლენებზე გავამახვილოთ ყურადღება. მაგალითად იმაზე, რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. მართალია, მსოფლიო ფეხბურთის გრანდისთვის კონტინენტის ვიცე-ჩემპიონობა საოცნებო შედეგი არ გახლავთ, მაგრამ კონკრეტულად ამ შემთხვევაში, შედეგი სწორედაც რომ წარმატებულად შეფასდა.

ევროპის ჩემპიონატის წინ, ფავორიტთა შორის ესპანეთს, გერმანიას და ჰოლანდიას ასახელებდნენ, სადღაც იქვე ტრიალებდა საფრანგეთის უმთავრესი გუნდიც, სიურპრიზებს ელოდებოდნენ ხორვატიისგან, რუსეთისგან, უკრაინისგან, აი, იტალიას კი სათვალავშიც არავინ აგდებდა. რეალობა სხვაგვარი გამოდგა - **ჩეზარე პრანდელის** გუნდმა ჯგუფური ბარიერი დაძლია, მეოთხედფინალში ინგლისი დაიფრინა და ნახევარფინალში სულაც პირველობის ნომერ პირველ ფავორიტად შერაცხულ გერმანიას გამოუყვანა წირვა. შედეგს რომ თავი დავანებოთ, "სკუადრა აძურამ" ძალიან ლამაზი, გახსნილი და ეფექტური ფეხბურთი ითამაშა, რითაც ნეიტრალურ გულშემატკივართა გულებიც მოიგო. ცალკე აღნიშვნის ღირსია თუ როგორ ასრულებდნენ იტალიელები თავიანთი ქვეყნის ეროვნულ ჰიმნს - მაგალითად, ნახევარფინალის შემდეგ ბევრი ამბობდა, რომ იტალიელებს გერმანელები ჰიმნის დროს უკვე დამარცხებული ჰყავდათ.

იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიც წარმატებით დაიწყო - "აძურამ" მიჯრით მოიგო შეხვედრები და ჯგუფს დამაჯერებლად ჩაუდგა სათავეში. ორი აზრი არაა, იტალია განსაკუთრებული პრობლემების გარეშე მოიპოვებს ბრაზილიური მუნდიალის საგზურს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩეზარე პრანდელი სწორ გზას ადგას. მოკლედ, კალჩოს 2012 წლის ყველაზე წარმატებული პროექტი ჩეზარე პრანდელის "აძურა" გახლდათ, ამაზე მთავარი კი რა უნდა იყოს.



წლის ფეხბურთელი: ანდრეა პირლო

### წლის გუნდი და ფეხბურთელი

2012 წლის საუკეთესო იტალიური გუნდი "იუვენტუსია", რომელიც ყველა კრიტერიუმით ჯობია სერია A-ს სხვა ბინადრებს. ტურინული გრანდი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონია და ეს უკვე ყველაფერზე მეტყველებს. ამასთან, **ანტონიო კონტეს** შეგირდებმა არაერთი რეკორდი დაამხეს და შთამბეჭდავი სერიები გამოაცხვეს. "ბებერი ქალბატონი" ჩემპიონთა ლიგაზეც წარმატებით დაბრუნდა, ჯგუფში ევროპის უპრესტიჟულესი ტურნირის მოქმედი გამარჯვებული ჩატოვა და პლეი ოფში გაალწია. მოკლედ, "იუვე" 2012 წლის საუკეთესო იტალიური გუნდია, თანაც ყველა კრიტერიუმით.

არც წლის ფეხბურთელის არჩევაა რთული - **ანდრეა პირლო** უდავოდ საუკეთესო გახლდათ და იტალიის ეროვნულ ნაკრებს რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალი მოეგო, ამ სტატუსს ალბათ მსოფლიო მასშტაბით დაეუფლებოდა. დიახ, "აძურას" რომ კონტინენტის პირველობაზე გაემარჯვა, "ოქროს ბურთის" ნომინაციაზე **ლიონელ მესის** მთავარი კონკურენტი სწორედ ანდრეა იქნებოდა. პირლომ მართლაც საოცარი სეზონი ჩაატარა, 33 წლის ასაკში თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა და კიდევ უფრო მოუმატა. მისი საოცარი თერთმეტმეტრიანი ევროფორუმის მეოთხედფინალში დიდ ხანს დარჩება გულშემატკივართა მეხსიერებაში - დავიტოვოთ იმედი, რომ პირლო 2013 წელსაც არანაკლებ ნაყოფიერი იქნება.

### წლის ჩავარდნა

ზემოთ კი ვთქვით, რომ ცუდზე აღარ ვისაუბრებდით, მაგრამ წლის იმედგაცრუებაზე, გნებავთ ჩავარდნაზე აუცილებლად უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ამ შემთხვევაში, არა ფეხბურთელი, არამედ მთლიანად გუნდი გვყავს მხედველობაში. ის, რაც 2012 წლის ზაფხულს "მილანის" თავს დატრიალდა, ნამდვილად იშვიათი ამბავია. ლომბარდიული გრანდი პრაქტიკულად ყველა წამყვან ფეხბურთელს გამოეთხოვა, შევსება კი არ მიუღია. საერთოდ, ბოლო წელი "როსონერისთვის" ძალიან წარუმატებელი გამოდგა და მსოფლიო ფეხბურთის გრანდი, ლამის ერთ ჩვეულებრივ გუნდად იქცა. მეტი სიცხადისთვის, ჩამოვთვალოთ "როსონერიდან" აბარგებულ ფეხბურთელთა გვარები: **ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ტიაგო სილვა, ანტონიო კასანო, ალბერტო აკვილანი, ჯენარო გატუზო, ფილიპო ინძაგი, ჯანლუკა ძამბროტა, კლარენს ზეედორფი, ალესანდრო ნესტა, მარკ ვან ბომელი.**

გასაგებია, რომ ვეტერანები ადრე თუ გვიან უნდა წასულიყვნენ, მაგრამ მთავარი პრობლემება მათი შემცვლელების არყოფნაშია. შედეგად, სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, "მილანი" მეშვიდე ადგილზეა და იდეალურ შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბროლებს.

### წლის ყველაზე იმედის მომცემი გუნდი და ფეხბურთელი

მიმდინარე სეზონის ყველაზე დიდი აღმოჩენა უდავოდ "ფიორენტინაა", თვალში საცემია "ლაციოს" პროგრესიც, მაგრამ იმედის თვალით იტალიაში მაინც "რომას" უყურებენ. **ზდენეკ ზემანმა** ახალი გუნდის შენებას ჩაუყარა საფუძველი, რომლის შედეგებიც სწორედ 2013 წელს უნდა ვიხილოთ. დედაქალაქელებს ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავთ, რომლებზეც მომავლის "რომა" შენდება. თუნდაც **ერიკ ლამელა, მატია დესტრო** და **ალესანდრო ფლორენცი**, რომლებიც რეგულარულად ხვდებიან ძირითად შემადგენლობაში. მოკლედ, "რომაზე" დიდი ავანსებია გაცემული, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგივე ხდებოდა, როდესაც დედაქალაქურ გუნდს **ლუის ენრიკე** ჩაუდგა სათავეში. დიახ, 2011 წლის ყველაზე იმედის მომცემი გუნდიც სწორედ "რომა" გახლდათ და თუ "მგლებმა" კიდევ ერთხელ გაგვიცრუეს იმედები, მარად პერსპექტიული გუნდის იმიჯს მორგებენ, ზდენეკ ზემანი კი ლუის ენრიკეს კვალს გაუყვება.



იტალიური ფეხბურთის იმედი: სტეფან ელ შაარავი

წლის ყველაზე იმედის მომცემი ფეხბურთელი რა თქმა უნდა **სტეფან ელ შაარავია**, რომელიც "მილანის" ლიდერად მოგვევლინა და სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ბომბარდირთა დავას უდგას სათავეში. 19 წლის ფორვარდმა 2012 წელს უდიდესი პროგრესი განიცადა და სერია B-დან თუნდაც კრიზისში მყოფი მსოფლიო ფეხბურთის გრანდში ამოყო თავი. რაც მთავარია, ბრწყინვალედ ირჯება და შედეგად, ეროვნულ ნაკრებში იმკვიდრებს ადგილს. ელ შაარავი უდავოდ წლის აღმოჩენაა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

**ლაშა ნიკლაური**

● 2012 წელი ციფრებში

# გიგზის მიღწევა, იკერის მშრალი სერია, მესის გოლები



**რამდენიმე საათიც და 2012 წელი დასრულდება. "ლელო" კვირაში ერთხელ გთავაზობდათ რუბრიკას "კვირა ციფრებში", ახლა კი, ვინაიდან წელი სრულდება, ერთად გადავხედოთ წლის ყველაზე მნიშვნელოვან სტატისტიკურ მოვლენებს.**

**900** – მატჩი "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში. თებერვალში, "იუნაიტედში" დებიუტიდან 7666 დღის შემდეგ, **რაიან გიგზმა** საიუბილეო მატჩი "ნორვიჩთან" გამართა და არბიტრის მიერ დამატებულ დროში გამარჯვების მომტანი გოლიც გაიტანა (2:1). სხვათაშორის, ასეთი რამ უელსელმა კარიერაში პირველად შეძლო.

**310** – ზედიზედ ჩატარებული მატჩი პრემიერლიგაში. **ბრედ ფრიდელის** ასეთი საოცარი სერია, ოქტომბერში **ანდრე ვილაშ-ბოაშის** უცნაურმა გადაწყვეტილებამ დაასრულა. პორტუგალიელმა ვეტერანი ამერიკელი ერთი მატჩით სკამზე დასვა და ძირითადში უგო **ლორისი** დააყენა, მომდევნო ტურში კი კარში ისევ ფრიდელი დააბრუნა. 41 წლის კიპერის სერია 2003/04 წლების სეზონში დაიწყო. ფრიდელმა, ამ პერიოდში სამ სხვადასხვა კლუბში ითამაშა ("ბლექბერნი", "ასტონ ვილა" და "ტოტენჰემი").

**91** – გოლი ერთი წლის მანძილზე. სწორედ ამდენი გოლი გაიტანა **ლიონელ მესიმ** 2012 წელს. დეკემბრის დასაწყისში, არგენტინელმა **გერდ მიულერის** მიერ დამყარებული რეკორდი (1972 წელს – 85 გოლი) გააუმჯობესა.

სხვა უამრავ რეკორდთან ერთად, წელს მესის ორი გამორჩეული მიღწევაც ჰქონდა: არგენტინელი "ბარსელონას" საუკეთესო ბომბარდირი გახდა, როგორც ყველა ტურნირზე გატანილი გოლების მიხედვით, ასევე პრიმერა დივიზიონში.

და ეს ყველაფერი მხოლოდ 24 წლის ასაკში...

**82** – "მშრალი" მატჩი ესპანეთის ნაკრებში. ამდენჯერ შეძლო **იკერ კასილიასმა** "ფურია როხას" რიგებში კარის მშრალად შენახვა. ჯერ კიდევ მაისში, ესპანელმა ედვინ **ვან დერ სარის** (72 "მშრალი" მატჩი ნაკრებში) მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, "რეალის" კიპერმა "ფურია როხასთან" ერთად 95-ე გამარჯვება მოიპოვა და ამ მხრივ უკვე **ლილიან ტურამს** აჯობა.

**39** – წლის განმავლობაში, ოკეანეთის თასს ორი გამარჯვებული ჰყავდა: ავსტრალია და ახალი ზელანდია. ივნისში კი ოკეანეთის ჩემპიონატი ტაიტიმ მოიგო და 2013 წლის ზაფხულში კონფედერაციათა თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. ტაიტელებმა ტურნირის მიმდინარეობისას სულ 20 გოლი გაიტანეს, რომელთაგანაც 15 საკუთარ ანგარიშზე **ტეჰაუს** ოჯახის წარმომადგენლებმა ჩაიწერეს. ტაიტის ნაკრებში სამი ძმა (**ჯონათანი, ლორენცო** და **ალვენი**) და მათი ბიძაშვილი (**ტეაონუი**) თამაშობს.

**31** – გაშვებული ბურთი. რუმინეთის მეორე დივიზიონის გუნდმა, "ბუფტეამ", მესამე დივიზიონში მოთამაშე "ბერჩენისთან", რუმინეთის თასზე 0:31 წააგო. სექტემბერში დაფიქსირებული ეს შედეგი სარეკორდოა რუმინეთისთვის.

**29** – წამი იყო გასული ფინალური მატჩის დაწყებიდან, როდესაც **ორიბე პერალტამ** ბრაზილიის ნაკრების კარში გოლი გაიტანა. "სანტოს ლაგუნას" ფორვარდი, ფიფას მიერ ორგანიზებული ტურნირების ფინალებში, ყველაზე სწრაფი გოლის ავტორი გახდა. პერალტამ მოგვიანებით მეორე გოლიც გაიტანა და გახდა მხოლოდ მერვე ფეხბურთელი, ვინც ფინალში დუბლი შეასრულა. საბოლოოდ, მექსიკამ ბრაზილიას 2:1 მოუგო და ოქროს მედლებს დაეუფლა.

**23** – გოლი და 15 ფრე. ასეთი შედეგის წყალობით, "იუვენტუსი" გახდა პირველი გუნდი, ვინც 20-გუნდიან სერია A-ში სეზონი დაუმარცხებლად განვლო. გარდა ამისა, "ბებერმა ქალბატონმა" ყველაზე ცოტა, მხოლოდ 20 გოლი გაუშვა და 4-ით გააუმჯობესა "მოდენას" (1946/47), "იუვენტუსის" (2005/06) და "მილანის" (2010/11) რეკორდი.

**16** – წლის და 98 დღის იყო "მალაგას" ფორვარდი **ფაბრის ოლინგა**, როდესაც აგვისტოში "სელტას" კარში გოლი გაიტანა და ლა ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გოლის ავტორი გახდა. კამერუნელმა ფეხბურთელმა, **იკერ მუნიაინის** რეკორდი გააუმჯობესა – ბასკმა, თავის დროზე (2009 წელს), ლა ლიგაში სადებიუტო გოლი 16 წლის და 289 დღის ასაკში გაიტანა.



**16** –გოლი გაიტანა ლონდონის ოლიმპიადაზე აშშ-ის ქალთა საფეხბურთო ნაკრებმა, რაც ისტორიაში საუკეთესო შედეგია. გარდა ამისა, კანადელმა **კრისტინ სინკლერმა**, ბომბარიდირის წოდება 6 ბურთით მოიპოვა, რაც ასევე საუკეთესო შედეგია. აშშ-ის ნაკრების კაპიტანი **კრისტი რამპონი** კი გახდა პირველი ფეხბურთელი (ორივე სქესს შორის), ვინც 4 ოლიმპიური მედლის მოგება შეძლო. რამპონის ანგარიშზე 3 ოქრო (2004, 2008, 2012) და 1 ვერცხლია (2000).

**8** – გოლი, 8 შეხვედრაში "უემბლიზე". ასეთი შედეგით დაემშვიდობა "ჩელსის" **დიდიე დროგბა**. კოტ დივუარელი გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც ინგლისის თასის ოთხ სხვადასხვა ფინალში შეძლო გოლის გატანა, მისმა "ჩელსიმ" კი "ლივერპულს" 2:1 მოუგო.

საინტერესია, რომ "ჩელსიმ" დროგბას ეპოქაში სულ 7 ინგლისურ ფინალში ითამაშა (4 თასზე და 3 ლიგის თასზე), რომელთაგანაც 6 მოიგო (4 თასზე და 2 ლიგის თასზე), კოტ დივუარელმა კი გოლის გატანა 7-ვე შემთხვევაში შეძლო. აი, ეს მატჩებიც:

**2005 წელი, ლიგის თასის ფინალი:** "ლივერპული"-"ჩელსი" 2:3 დ.დ. (დროგბამ 107-ე წუთზე ანგარიში 2:2 გახადა.

**2007 წელი, ლიგის თასის ფინალი:** "ჩელსი"-"არსენალი" 2:1 (დროგბამ დუბლი შეასრულა).

**2007 წელი, თასის ფინალი:** "ჩელსი"-"მანჩესტერ იუნაიტედი" 1:0 დ.დ. (დროგბამ ერთადერთი გოლი 116-ე წუთზე გაიტანა).

**2008 წელი, ლიგის თასის ფინალი:** "ჩელსი"-"ტოტენჰემი" 1:2 დ.დ. (დროგბამ 39-ე წუთზე ანგარიში გახსნა).

**2009 წელი, თასის ფინალი:** "ჩელსი"-"ევერტონი" 2:1 (დროგბამ 21-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა).

**2010 წელი, თასის ფინალი:** "ჩელსი"-"პორტსმუთი" 1:0 (ერთადერთი გოლი დროგბამ 59-ე წუთზე გაიტანა).

**2012 წელი, თასის ფინალი:** "ჩელსი"-"ლივერპული" 2:1 (დროგბამ 52-ე წუთზე "ჩელსი" ორი ბურთით დააწინაურა).

ინგლისის თასის და ლიგის თასის ფინალებს, ჩემპიონთა ლიგის ორი ფინალური მატჩიც დავამატოთ (2008 წელი, მოსკოვი და 2012 წელი, მიუნხენი), სადაც 34 წლის ფეხბურთელმა გოლის გატანა მხოლოდ მოსკოვურ ფინალში ვერ შეძლო და მივხვდებით, რატომ არის დიდიე "არისტოკრატთა" ლეგენდა.

შევაჯამოთ: დიდიე დროგბამ "ჩელსის" რიგებში 9 ტურნირის ფინალში ითამაშა. 9-დან 8-ში მან გოლის გატანა შეძლო, "ჩელსიმ" კი 7 ფინალური მატჩი მოიგო. მართლაც საოცარი და საამაყო მიღწევაა.

**5** – ევროპელი გამარჯვებული ზედიზედ. ევროპელთა დომინაცია "კორინთიანსმა" შეწყვიტა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში "ჩელსის", **პაულო გერეროს** ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო. ბრაზილიურ კლუბებს მსოფლიოს ჩემპიონატი 4-ჯერ აქვთ მოგებული, რაც საუკეთესო შედეგია.

**4** – გოლიანი დეფიციტი აღმოფხვრა შვედეთმა გერმანიის ნაკრებთან და მატჩი ფრედ დაასრულა. ოქტომბერში გამართული ეს შეხვედრა ისტორიული გამოდგა, რადგან გერმანიის ნაკრების 108-წლიან ისტორიაში, ბუნდესგუნდს 4-ბურთიანი უპირატესობა ხელიდან არასდროს გაეშვა.

**4** – უპასუხო ბურთი იტალიის ნაკრების კარში. ესპანეთის ნაკრებმა ამ მოგებით რამდენიმე რეკორდი დაამყარა:

1. ასეთი დიდი ანგარიში არც მსოფლიოს და არც ევროპის ჩემპიონატის ფინალში არ დაფიქსირებულა.
2. ესპანეთის ნაკრებმა ზედიზედ მესამე დიდი ტურნირი მოიგო.
3. "ფურია როხა" გახდა პირველი ნაკრები, ვინც ევროპის ჩემპიონატის მოგება ზედიზედ ორჯერ შეძლო.

ფინალურ შეხვედრაში აშკარად გამოირჩეოდა **ჩავი** – კატალონიელმა 3 საგოლე პასი გააკეთა, რაც კიდევ ერთი რეკორდია.

**ტატო ბაციკაძე**



## 2012

ივლისი

**1. ოლიმპიადა.** ძიუდოისტი **ვალერი ლიპარტელიანი** 1\16 ფინალიდან გამოეთიშა ასპარეზობას. მსროლელმა **ნინო სალუქვაძემ** ვერც მეორე დისციპლინაში შეძლო ფინალში გასვლა.

**2. ოლიმპიადა.** ძიუდოისტმა **ლომერ ყორყოლიანმა** ასპარეზობა ადრეულ ეტაპზე დაასრულა.

**2. ფეხბურთი.** ევროპალიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის „დილა" შინ კვიპროსულ „ანორთოსისთან" 0:1 დამარცხდა.

**3. ოლიმპიადა.** ძალოსანი **რაულ ცირეკიძე** IX ადგილზე გავიდა. ძიუდოისტმა **ადამ ოქრუაშვილმა** ასპარეზობა 1\32 ფინალში დაასრულა. სიგრძეზე მხტომელმა **ბოლესლავ სხირტლაძემ** XIX ადგილი დაიკავა.

**4. ოლიმპიადა.** ბატუტზე მხტომელმა **ლუბა გოლოვინამ** VII ადგილი დაიკავა.

**5. ოლიმპიადა.** ბ\რ ჭიდაობა. **ზურაბ დათუნაშვილმა** მეოთხედფინალში წააგო.

**6. ოლიმპიადა.** ბ\რ ჭიდაობაში **ვლადიმერ გეგეშიძე** ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში დამარცხდა, **გურამ ფერსელიძე** — რეპეშაჟში, რევაზ ლაშხმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ძალოსანი **გია მაჭავარიანი** XV ადგილზე გავიდა.

**7. ოლიმპიადა.** ბ\რ ჭიდაობაში **მანუჩარ ცხადაიამ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ძალოსანმა **ირაკლი თურმანიძემ** V ადგილი დაიკავა. სიგრძეზე მხტომელმა **მაია გოგოლაძემ** და მორბენალმა **დავით ილარიანმა** კვალიფიკაცია ვერ გაიარეს. "კლასიკოსმა" **სოსო ჯაბიძემ** ადრეულ ეტაპზე წააგო.

**9. ფეხბურთი.** ევროპალიგის III საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში „დილამ" სტუმრად 3:0 დაამარცხა „ანორთოსისი" და პლეი ოფში გავიდა.

**10. ოლიმპიადა.** თავისუფალი ჭიდაობა. **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** ვერცხლის მედალი მოიპოვა, **დავით ხუციშვილი** კი მეოთხედფინალში დამარცხდა.

**10. ფეხბურთი.** დაიწყო საქართველოს მორიგი ჩემპიონატი.

**10-12. კალათბურთი.** საქართველოს ნაკრებმა თბილის საერთაშორისო ოთხთა ტურნირი მოიგო: ბელარუსი, ესტონეთი და უკრაინა დაამარცხა.

**11. ოლიმპიადა.** თავისუფალი ჭიდაობა. **დავით მოძმანაშვილმა** ვერცხლის, **დავით მარსაგიშვილმა** ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, **მალხაზ ზარქუა** კი მეოთხედფინალში დამარცხდა. სპორტულ სიარულში **მაცეი როსიევიჩი** 44-ე ადგილზე გავიდა.

**12. ოლიმპიადა.** თავისუფალი ჭიდაობა. **გიორგი გოგშელიძემ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, **ოთარ თუშიშვილი** კი ასპარეზობას ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა.

**12-13. ძიუდო.** ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასზე ქართველებმა 7 მედალი მოიპოვეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს (მწვრთნელი **გია გუგავა**).

**17-22. ბერძნულ რომაული და თავისუფალი ჭიდაობა.** პოლონეთში კადეტთა ევროპის ჩემპიონატში "კლასიკოსებში" ჩემპიონები გახდნენ **რამაზ ზოიძე** და **ირაკლი შავაძე.** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **ნიკა გავაშელმა.** თავისუფლებში ბრინჯაოს მედლები ხვდათ წილად **ომარ გურჯიძეს, ტარზან მაისურაძეს** და **ბექა კახეთელიძეს.**

**18. კალათბურთი.** ევრობასკეტ 2013-ის საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველომ (მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი**) შინ რუმინეთს მოუგო - 80:64.

**21. კალათბურთი.** ევრობასკეტ 2013-ის საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველომ სტუმრად დაამარცხა ბოსნია - 96:95.

**21-27. ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა.** ბაქოში ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატში "კლასიკოსებიდან" ვერცხლის მედლები მოიპოვეს: **გენადი ჩიტაძემ, რამაზ ზოიძემ, ბაკურ გოგოლმა, გელა ბოლქვაძემ, ბექა კანდელაკმა;** მესამე პრიზიორი გახდა **ნიკა გავაშელი.** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან ჩემპიონობა **ომარ გურჯიძემ** მოიპოვა.

**23. ფეხბურთი.** ევროპალიგის პლეი ოფში გორის „დილა" სტუმრად 0:1 დამარცხდა პორტუგალიურ „მარიტიმუსთან".

**24. კალათბურთი.** ევრობასკეტ 2013-ის საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველომ შინ ლატვიას 79:76 მოუგო.

**27. კალათბურთი.** ევრობასკეტ 2013-ის საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველომ სტუმრად ჰოლანდიასთან წააგო - 88:91.

**28. ჭადრაკი.** სტამბოლში გაიხსნა რიგით მე-40 საჭადრაკო ოლიმპიადა.

**30. ფეხბურთი.** ევროპალიგის პლეი ოფის საპასუხო მატჩში „დილამ" 0:2 წააგო „მარიტიმუსთან" და ევროთასებს გამოეთიშა.

# ქართული სპორტი

## 2012

### წლის მონაგარი

### სექტემბერი

**1. რაგბი.** დაიწყო საქართველოს მორიგი ჩემპიონატი.

**2. კალათბურთი.** ევრობასკეტ 2013-ის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველო სტუმრად ეთამაშა რუმინეთს და 91:74 დაამარცხა.

**3. ჩოგბურთი.** ამერიკის ღია პირველობის მერვედფინალში **ანა ტატიშვილმა** ითამაშა, სადაც ბელარუს ვიქტორია აზარენკასთან წააგო - 2:6, 2:6.

**4-5. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ტაილანდში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს **თორნიკე ძამაშვილმა** (74 კგ) და **შოთა გოგისვანიძე** (120), ბრინჯაოს მედალი **იაკობ ქაჯაიამ** (96) მოიპოვა.

**5. კალათბურთი.** ევრობასკეტ 2013-ის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველო შინ ბოსნიასთან დამარცხდა - 103:107.

**7. ფეხბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო, შინ ბელარუსი სძლია - 1:0.

**8. კალათბურთი.** ევრობასკეტ-2013-ის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველომ სტუმრად დაამარცხა ლატვია 73:70 და ფინალური ეტაპის საგზური ნაადრევად მოიპოვა.

**8-9. თავისუფალი ჭიდაობა.** ტაილანდში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს **ლაშა ტალახაძემ** (55 კგ) და **კონსტანტინე ხაბალაშვილმა** (66), ბრინჯაო კი - **ჟუმბერ ყველაშვილმა** (74) და **გენო პეტრიაშვილმა** (120).

**10. ჭადრაკი.** ქართველებმა წარუმატებლად იასპარეზეს საჭადრაკო ოლიმპიადაზე (ქალები - მე-8, ვაჟები - 36-ე). პირველ დაფაზე მცირე ვერცხლი აიღო **ნანა ძაგნიძემ**, სათადარიგო დაფაზე მცირე ბრინჯაო **კოკა შანავას** ხვდა.

**10-17. მკლავჭიდი.** ბრაზილიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა 2 ოქრო, 2 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვეს. **გენადი კვიკვინიამ** (110 კგ) მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, როგორც ცაციებში, ისე მემარჯვენეებში.

**11. კალათბურთი.** ევრობასკეტ 2013-ის ბოლო შესარჩევ მატჩში საქართველომ ჰოლანდია 97:89 დაამარცხა და საბოლოოდ ჯგუფში მე-2 ადგილზე გავიდა.

**11. ფეხბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველომ ესპანეთს უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა.

**13. ძიუდო.** ეროვნულ ნაკრებს **ირაკლი ცირეკიძე** უხელმძღვანელებს.

**14-16. წყალბურთი.** გაიმართა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირი, თბილისის „ლიგამუსმა" ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა.

**15. ჩოგბურთი.** თბილისის საერთაშორისო ტურნირი (15 ათასი დოლარი) **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** მოიგო.

**21. სუმო.** კარიერა დაასრულა **ლევან ცაგურიამ** (კოკაი).

**21-23. ძიუდო.** ხორვატიაში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში ჩემპიონი გახდა **ლევან მატიაშვილი** (მძიმე წონა), ვერცხლის მედლები მოიპოვეს: **ლერი ჭელიძემ** (55 კგ), **ვაჟა მარგველაშვილმა** (60), **ფრიდონ გიგანმა** (73) და **ბექა ღვინიაშვილმა** (81). ბრინჯაოს მედალი **ლევან გუგავამ** (73) და **გურამ თუშიშვილმა** (100) მოიგეს.

**21-23. თავისუფალი ჭიდაობა.** ჰეიდარ ალიევის სახელობის ოქროს დიდ პრიზზე ჩემპიონები **ელიზბარ ოდიკაძე** (96 კგ), **გიორგი საკანდელიძე** (120) გახდნენ.

**24-29. ჩოგბურთი.** თელავში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარი იყო.

### ოქტომბერი

**2. ფეხბურთი.** თურქული „ქაისერისპორიდან" წავიდა **შოთა არველაძე**.

**6. წყალბურთი.** ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩში „ლიგამუსი" ჰოლანდიურ „შუურმანთან" 10:13 დამარცხდა.

**8. ზოგადი.** სპორტის მინისტრის პოსტზე **ლევან ყიფიანი** წარადგინეს.

**8. ჩოგბურთი.** მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა 50-ეულში პირველად შეაღწია **ანა ტატიშვილმა**.

კალათბურთი. ქართველები NBA-ში



# 2013-სქენ 17 ქულითა და 14 მოხსნით

## ...და 3333

-ახალი წელი ბავშვობიდან მიყვარს. იყო შემთხვევა, თურქეთში რომ ვთამაშობდი, თორმეტი საათის სახლში შესახვედრად სტამბოლიდან თბილისში მანქანით ჩამოვედი. ძლივს მოვასწარი, 24 საათს წუთებიღა უკლდა, რომ შევედი. NBA-ში გადასვლის შემდეგ ხშირად მიწევს პირველ იანვარს თამაში. იყო შემთხვევა ახალ წელს თვითმფრინავში შევხვდი - ჰიუსტონში მივემგზავრებოდით, - როგორც მიხვდით, ეს **ზაზა ფაჩულიას** მონათხრობია. 2012 წლის „ლელოს" საახალწლო ნომერში შეიძლებოდა კიდევ არაერთი საინტერესო არასაკალათბურთო ამბის გახსენება, მაგრამ ამის საშუალება ზაზა ფაჩულიამ არ მოგვცა, რომელმაც NBA-ში თავისი 61-ე ორმაგი დუბლი მიითვალა (მიმდინარე სეზონში მეორე).

რაც მთავარია, ქართველი ცენტრის 17 ქულა და 14 მოხსნა „ატლანტას" „ინდიანასთან" გამარჯვების საწინდარი გამოდგა - 109:100. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ გამარჯვებით ჯორჯიელებმა აღმოსავლეთის კონფერენციის მეორეადგილოსან „მაიამისთან" ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანეს. „ატლანტას" 19 მოგება და 9 მარცხი აქვს, ფლორიდელებს -·20 გამარჯვება და 8 წაგება. კონფერენციას 21 მოგებით (9 მარცხი) „ნიუ იორკი" ლიდერობს.

> ზაზა ფაჩულია: სტივენსონმა მითხრა, თუ სისხლის დაღვრამდე არ ვიბრძვი, ესეიგი არ ვთამაშობ

დავუბრუნდეთ „ინდიანასთან" დაპირისპირებას, რომელშიც მონაწილეობა ვერ მიიღო ტრავმირებულმა **ჯოშ სმიტმა**. შესაბამისად, ფაჩულიას სასტარტო ხუთეულშიც ერგო ადგილი და 38 წუთიც ითამაშა. მას არც ტყორცნის სიზუსტე დაეწუნებოდა: 11-დან 7 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. ერთ საინტერესო დეტალზეც გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას - მესამე პერიოდის დასრულებამდე 8:40 წუთით ადრე ზაზამ **ჯეფ ტიგის** პასით ორქულიანი ჩააგდო და „ატლანტა" 62:54 დააწინაურა. ეს იყო მისი 3333-ე ორქულიანი ტყორცნა NBA-ში გადასვლის შემდეგ.

ჯორჯიელთა რიგებში კიდევ ერთი კალათბურთელი იყო, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა: **ლუ უილიამსი** (21 ქულა, 12 პასი). ინდიანელმა **როი ჰიბერტმა** 20 წუთში ქულა ვერ ჩააგდო და მატჩი 1 მოხსნით დაასრულა. რაში დაგვჭირდა ამ კალათბურთელის ხსენება, გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში" გამოქვეყნებული პუბლიკაციიდანაც შეიტყობთ:

„მატჩმა საინტერესო სურათი დაგვანახვა: ფაჩულია A-კატეგორიის ცენტრად გამოჩნდა, ჰიბერტი B-კატეგორიისად. „ინდიანას" ცენტრი გასულ სეზონში ვარსკვლავთა მატჩში მონაწილეობდა და ზაფხულში გუნდთან მრავალმილიონიანი კონტრაქტიც გააფორმა. ყოჩაღ, ზაზა!"

*- ჰიბერტის წინააღმდეგ ძალისმიერი თამაში დამევალა. არ უნდა მიმეცა სამწამიან ზონაში თავისუფლად გადაადგილების საშუალება და ფარქვეშ თავისუფალი ზონა არ უნდა დაგვეტოვებინა. სწორედ ეს იქცა ჩვენი გამარჯვების საწინდრად. რაც შეეხება ჩემს გარჯას, ყოველთვის ვცდილობ მაქსიმუმი გავიღო. ვიცი, რომ გუნდის ნაწილი ვარ და ვასრულებ იმას, რასაც მწვრთნელი და თანაგუნდელები ჩემგან ითხოვენ,* - განაცხადა ზაზა ფაჩულიამ და დასძინა:

*- მატჩის წინ დეშაუნ სტივენსონმა მითხრა - თუ სისხლის დაღვრამდე არ ვიბრძვი, ესე იგი არ ვთამაშობ.*

„ატლანტა ჰოქსი" 2012 წელს კიდევ ერთ თამაშს მოასწრებს - 31 დეკემბერს „ჰიუსტონს" ეწვევა.

**კლივლენდი-ატლანტა 94:102**

**ზაზა ფაჩულია:** 26 წუთი, 9 ქულა (4-დან 2 ორქულიანი, 6-დან 5 საჯარიმო), 7 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 3 ფოლი.

**ატლანტა-ინდიანა 109:100**

**ზაზა ფაჩულია:** 38 წუთი, 17 ქულა (11-დან 7 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 14 მოხსნა, 2 შეცდომა, 4 ფოლი.

**ბრუკლინი-შარლოტი 81:97**

თორნიკე შენგელია განაცხადში არ იყო.

**ბრუკლინი-კლივლენდი 103:100**

თორნიკე შენგელია განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონი

# მარკოიშვილის ცხრამეტიანი

## მეტრეველის პაფინო

გუშინ ღამით ევროპაში ოთხმა ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა, თუმცა სტატიას მეხუთეთი დავიწყებთ: **ნიკა მეტრეველმა** კონტრაქტი გააფორმა „პაფონისთან", კლუბთან, რომელიც იტალიის „ნაციონალე A-ში" თამაშობს. ქართველი ფორვარდი უკვე იტალიაშია და გუნდთან ერთად მზადებას შეუდგა.

■ ■ ■

აპენინებზევე ჩვეული ეფექტურობით გაისარჯა **მანუჩარ მარკოიშვილი** - „რეჯო ემილიასთან" შეხვედრაში 19 ქულას (5-დან 5 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი) მოუყარა თავი. საინტერესოა, რომ მანუმ 17 ქულა მეორე ტაიმში ჩააგდო, რასაც 3-3 მოხსნა-პასი მიამატა.

„კანტუმ" 86:64 მოიგო.

■ ■ ■

**ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკი" სტუმრად ვენეციაში მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო, თუმცა საბოლოოდ ორქულიანი სხვაობით დამარცხდა - 63:65. ვიქტორმა 4-4 ქულა-მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა.

■ ■ ■

ესპანეთის ჩემპიონატში თამაშიც გამოასწორა და სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესა **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა". გუშინ სევილიელებმა შინ „ვალიადოლიდს" 94:57 სძლიეს.

ქართველმა ფორვარდმა 6 წუთში 3 ქულა ჩააგდო (1-დან 1 სამიანი).

■ ■ ■

უკრაინაში „ბუდიველნიკს" „ფეხი დაუდო" მარიუპოლის „აზოვმაშმა", რომელმაც კიეველები სარკისებური ანგარიშით დაამარცხა - 87:78. ბუდიველნიკელთა სასტარტო გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ** 28 წუთში 7 ქულა, 6 პასი და 4 მოხსნა მოაგროვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**





ძალოსნობა

# ფავორიტები უკონკურენციოდ

ქუთაისში სამ დღეს გრძელდებოდა ძალოსანთა საქართველოს თასის გათამაშება, რომელშიც 60-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველა უძლიერესს არ უასპარეზია, რადგან ზოგიერთმა ათლეტმა სხვადასხვა მიზეზით შეჯიბრებაში გამოსვლაზე უარი თქვა. ამდენად, ფავორიტებს თავიანთ წონებში გასამარჯვებლად დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებიათ. მაგალითად, ევროპის ჩემპიონმა **რაულ ცირეკიძემ** და ახალგაზრდებში კონტინენტის პირველობის მესამე პრიზიორმა **ლაშა ტალახაძემ** თასის მოსაპოვებლად ატაცსა და აკვრაშიც თითო ცდა იკმარეს.

ახლა კი წონითი კატეგორიების პირველი ადგილებზე გასულთა ვინაობას გაგაცნობთ.

56 კგ. **რევაზ დავითიძე** (თბილისი, 171=76+95 კგ),

62 კგ. **რამინ შამილიშვილი** (აჭარა, 240=105+135),

69 კგ. **თორნიკე თოდაძე** (საჩხერე, 248=106+142),

77 კგ. **ლაშა კოპალიანი** (ქუთაისი, 311=140+171),

85 კგ. **რაულ ცირეკიძე** (ქუთაისი, 330=150+170),

94 კგ. **ვაჟა ღონღაძე** (ქუთაისი, 360=165+195),

105 კგ. **დავით გოგია** (ზუგდიდი, 390=180+210),

+105 კგ. **ლაშა ტალახაძე** (საჩხერე, 360=175+185).

გუნდურში საქართველოს თასი ქუთაისის ნაკრებმა მოიპოვა.

ნაახალწლევს ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრები ახალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებენ. უკვე ცნობილია, რომ ლაშა ტალახაძე მაისში 20-წლამდელთა მსოფლიო პირველობაზე გამოვა ლიმაში (პერუ). მანამდე კი აპრილში ალბანეთი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომელშიც იასპარეზებენ 2012 წლის ევროპის ჩემპიონი რაულ ცირეკიძე, კონტინენტის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი და ლონდონის ოლიმპიადის მეხუთეადგილოსანი **ირაკლი თურმანიძე**, 23-წლამდელებში ევროპის პრიზიორი დავით გოგია და **ალბერტ კუზილოვი**. შეგახსენებთ, რომ კორეაში 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კუზილოვმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მაგრამ სინჯებში დოპინგის კვალი აღმოუჩინეს, რის გამოც მას ჯილდო ჩამოართვეს და ოთხი წლით დისკვალიფიკაციაც მისცეს. აქტიური სპორტიდან მოკვეთის მიუხედავად, მას ვარჯიში არ შეუწყვეტია. ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ახალგაზრდა სპორტსმენის მონანიებას და თხოვნას ანგარიში გაუწია და დისკვალიფიკაცია გაუუქმა. ამდენად, კუზილოვი 2013 წლიდან საერთაშორისო სარბიელზე კვლავ საქართველოს სახელით გამოვა.

ამას წინათ გაუწყეთ, რომ ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის ყრილობამ პრეზიდენტად ისევ **დავით ბეჟუაშვილი** აირჩია. შაბათს გამგეობის სხდომა გაიმართა. ვიცე-პრეზიდენტებად სამგზის ოლიმპიური ჩემპიონ კახი კახიაშვილის და ოლიმპიური ჩემპიონ **გიორგი ასანიძის**, გენერალურ მდივნად კი **რამაზ გურგენიძის** კანდიდატურებს დაუჭირეს მხარი.

რაულ ცირეკიძე




**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი კერბერს შეხვდება


ანა ტატიშვილი

ავსტრალიურ ბრისბენში დაიწყო ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 1.000.000 დოლარი). ქალთა ძირითად ბადეშია ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი,** რომელიც დღეს პირველ კორტზე მე-4 ნომრად განთესილ გერმანელს - **ანგელიკ კერბერს** დაუპირისპირდება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ელიტის წარმომადგენლებიც: ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი, 1), მარია შარაპოვა (რუსეთი, 2), სერენა უილიამსი (აშშ, 3), სარა ერანი (იტალია, 5), პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი, 6), სამანტა სტოსური (ავსტრალია, 7), კაროლინ ვოზნიაცკი (დანია, 8) და სხვები. შეჯიბრება 6 იანვარს დასრულდება.

**ვაჟა დანელია**

# მეორენი მეორეზე

ანტალიის ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) წყვილთა პაექრობაში **ეკატერინე გორგოძე** და **სოფიო ქვაცაბაია** მეორე ნომრად იყვნენ განთესილი. ჩვენებურებმა ფინალამდე დაუბრკოლებლად მიაღწიეს: სტარტზე სანდრა ჰონიგოვას (ჩეხეთი) და პოლინა ლეიკინას (რუსეთი) სძლიეს - 6:1, 6:4, მეორე წრეში დაძაბული პაექრობა მოუგეს ბულგარელებს - ბორისლავა ბოტუშაროვას და იულია სტამატოვას - 5:7, 7:5, 10:6, ნახევარფინალში ანა ბიანკა მინალას (რუმინეთი) და დიანა ოსპინას (აშშ) აჯობეს - 6:4, 6:2, გადამწყვეტი პაექრობა ტურნირის ფავორიტებთან - ლიძია მაროზავასთან (ბელარუსი) და ეკატერინე იაშინასთან (რუსეთი) დათმეს - 3:6, 2:6 და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი


დავით გურგენიძე შეგირდებთან

# გამარჯვებულები და პრიზიორები ბოლო ტურმა დაასახელა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დამთავრდა ცნობილი მწვრთნელის თეიმურაზ ლომაიას ტრადიციული მემორიალი, რომელშიც 8-16 წლის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით გაიმართა. **რვაწლიან** ბიჭებში შვიდი შესაძლებლიდან 6,5 ქულით ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორმა, კონტინენტის თასის მფლობელმა ნიკოლოზ კაჭარავამ გაიმარჯვა. 6-6 ქულით, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს დავით სიბაშვილმა, საბა ლომსაძემ და 5 წლის სანდრო ყორღანაშვილმა. გოგონებში 6,5 ქულით პირველი ადგილი ევროპის თასის მფლობელმა დიანა ლომაიამ დაიკავა. მას ქულით ჩამორჩა სალომე ბეიტრიშვილი, რომელიც მე-2 ადგილით დაკმაყოფილდა. 5-5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები ეთერ ხებრელაშვილმა და მარიამ მარინაშვილმა დაიკავეს.

**10-წლიან** ბიჭებში 6,5 ქულით პირველი ადგილი ლუკა ობოლაძეს ერგო. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ და, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილებზე მათე თოდაშვილი, ნიკოლოზ კაჭარავა და ანდრია წერეთელი გავიდნენ. გოგონებში ყველას ანასტასია სიდამონიძემ (6 ქულა) აჯობა. 5,5 ქულით მეორე იყო თამარ ლაგაზაური, 5 ქულით მესამე ადგილი ლალი გარსიაშვილს ხვდა.

**12-წლიან** ბიჭებში 6 ქულით მთავარი პრიზი მიშიკო მუხიგულმა დაისაკუთრა. სამმა მოჭადრაკემ 5,5-5,5 ქულას მოუყარა თავი. კოეფიციენტით მეორე-მესამე ადგილებზე ნიკოლოზ ცომაია, სერგი აბულაძე და ლუკა შამუგია გავიდნენ. გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. სალომე ხუცურაული (6 ქულა), 2. სალომე სანიკიძე (5,5), 3. მარიამ წამალაშვილი (5).

14-16-წლიან გოგო-ბიჭებს შერეული ტურნირი ჰქონდათ, პრიზიორები კი ცალ-ცალკე გამოვლინდნენ: **14-წლიანები. ბიჭები.** 1. ნიკოლოზ პეტრიაშვილი (5), 2. საბა ამირიძე (5), 3. რევაზ ტეტუნაშვილი (5). **გოგონები.** 1. ნინო ხომერიკი (6), 2. დალი ნანეიშვილი (4,5), 3. მაია მუმლაძე (4).

**16-წლიანები. ვაჟები.** 1. ალექსანდრე ებრალიძე (6,5), 2. გუგა ბურდული (5,5), 3. ვასილ დოთიაშვილი (5). **გოგონები.** 1. დეა გოგიშვილი (5,5), 2. მარიამ ვალიშვილი (5), 3. თეკლა მაჭარაშვილი (4,5).

მემორიალში მონაწილე მოჭადრაკეთა შედეგებით გამოვლინდა მწვრთნელთა საუკეთესო ხუთეული. პირველობა ქულათა დიდი უპირატესობით დიდოსტატ დავით გურგენიძეს ხვდა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ლევან ბახტაძე, გიორგი მაჭარაშვილი, მზია წერეთელი და ხვიჩა ბახტაძე.

**ვაჟა დანელია**

ოლიმპიადა. შეფასება

# ნისლიანი ალბიონი: ქართული სპორტის სარკე

საქართველოს ოლიმპიურმა დელეგაციამ 7 მედლით დაამთავრა გამოსვლა ლონდონში, ზაფხულის XXX ოლიმპიურ თამაშებში. ამ 7-დან მხოლოდ ერთია ოქრო, 3-3 კი ვერცხლ-ბრინჯაოა. ეს 7 მედალი სპორტის სულ 3 სახეობაზე მოდის, რომელთა შორისაც ჯილდოები რაოდენობრივად ასეა განაწილებული: ძიუდოს მონაგარი ის ერთადერთი ოქროა, ბერძენ-რომაელებმა თითო-ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვეს, „თავისუფლებმა" კი 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო ირგუნეს.

„ნისლიან ალბიონზე" ქართველთაგან ყველაზე უკეთ 20 წლის გორელი ძიუდოისტი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) გაისარჯა - კარალელი ბიჭი, რომელმაც ოლიმპიადის საგზური სულ ბოლო შეჯიბრებაზე გაინაღდა, EXCEL CENTRE-ში მსოფლიოს ჩემპიონ იაპონელთა თუ ლამის მამისტოლა ხალხის გარემოცვაში ციბრუტივით იტრიალა, უშიშრად იბრძოლა და მთელი ალბიონის რა გითხრათ, მაგრამ საქართველო კი ოქროსფრად ნამდვილად გაანათა. ბერძენ-რომაელთაგან ოქროს ყველაზე მეტად ბორჯომელი **ლევან ლაშხი** (60) მიუახლოვდა, თუმცა ფინალში დამარცხდა, ხობელმა **მანუჩარ ცხადაიამ** (66) კი ნახევარფინალში წაიფორხილა და საბოლოოდ მესამეზე გავიდა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან ვიცე-ჩემპიონები გორელი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და თბილისელი მძიმეწონოსანი **დავით მოძმანაშვილი** გახდნენ, ყაზბეგელი **დავით მარსაგიშვილი** (84) და გორელი **გიორგი გოგშელიძე** (96) კი მესამეზე გავიდნენ.

როგორი შედეგია ეს, გვაძლევს სიამაყის საშუალებას თუ უფრო მეტი მიზეზი დაფიქრების, ანალიზისთვის მოგვცა? გააჩნია, რას ავილებთ წარმატების საზომად - რაოდენობას თუ ხარისხს. მონაპოვარს რაოდენობით თუ განვსჯით, მაშინ საამაყოდ გვქონია საქმე, რადგან 7 მედალი ჩვენთვის საუკეთესოა დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით ოლიმპიადებზე გამოსვლის ისტორიაში, მაგრამ საყოველთაო ჭეშმარიტებით მთავარი ხომ ხარისხია და ამ მხრივ თავმოსაწონი არაფერია. ოქროს მარაგი არათუ ვერ შევინარჩუნეთ, გავაუარესეთ და მკვეთრად დავენარცხეთ ძირს. თავად განსაჯეთ - ათენში ორი ოქრო გვქონდა, პეკინში - სამი, ახლა კი - ერთი! თან რაოდენობაზე და 7 მედალზე აქცენტირებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება - იმ სამი ბრინჯაოდან რამდენისთვისაა ეს შედეგი წარმატება მათი მომხვეჭელებისთვის? ცხადია, ოლიმპიური მედალი გამორჩეულად ფასეულია და არ გეგონოთ, მის დაკნინებას ვცდილობდეთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ იმ წილისყრაში, იმ რეალობაში სამივე მათგანს ბევრად მეტისთვის უნდა მიეღწია. ლონდონში ხომ ბედმა არნახულად გაგვიმართლა და ამ სამეულიდან, მაგალითად, მარსაგიშვილს ფინალამდე ასცდნენ მთავარი კონკურენტები, ტიტულოვანი და მეტნაკლებად ანგარიშგასაწევიც კი არავინ ჰყავდა ქვეჯგუფში. დაახლოებით ამავე დღეში აღმოჩნდა გოგშელიძეც, რომელსაც რუსი, აზერბაიჯანელი და ირანელი ფალავნები, ნახევარფინალში კი ამათზე უტიტულო ამერიკული ბარიერის დაძლევა ევალებოდა. ცხადაიასაც ერთი არცთუ ძლიერი უნგრელი უნდა დაემარცხებინა ფინალში გასასვლელად. შეიძლება ითქვას, ბედმა ფინალის საგზური სამივეს ხონჩით მიართვა, მაგრამ ვერ გამოიყენეს, სწორედ ის ერთი ნაბიჯი ვერ გადადგეს. ასეთი შანსის ვერგამოყენება არის კი მათთვის წარმატება? ალბათ, ცხადაიაც და გოგშელიძეც ათიდან ათივეს თუ არა, აბსოლუტურ უმრავლესობას მოუგებენ, შესაბამისად, **ტომაშ ლორინცსაც** და **იაკობ უორნერსაც**, მაგრამ, ბედიის ირონიით, ყველაზე საპასუხისმგებლო შერკინება წააგეს.

ფაქტია ისიც, რომ ლონდონში ჩვენი მთელი ოლიმპიური მონაგარი მხოლოდ EXCEL CENTRE-მა დაიტია - ძიუდოც და ჭიდაობაც იმ დარბაზში ჩატარდა, თუმცა სრულად ვერც იქაურობა ავითვისეთ, რადგან კრივი, ფარიკაობა, ტაეკვანდო, მაგიდის ჩოგბურთი და ძალოსნობაც იქ გაიმართა, ამ სახეობებში კი პირწმინდად მოგვეცარა ხელი. ამ ყოველმხრივ რეგრესს ერთი სამწუხარო ფაქტიც დაემატა, რაც ოლიმპიადებზე ლამის სიმპტომურ შეცდომად გვექცეს - ატლანტაში ძიუდოისტ **დავით ხახალეიშვილის** ვერაწონვა ხომ მოუშორებელ ლაქად გვექცა და ლონდონში მოკრივე **მერაბ თურქაძეს** შეემთხვა ანალოგიური. ყოველ შემთხვევაში, რაღაც გაუგებრად და არადამაჯერებლად ჟღერდა ვერსია იმის შესახებ, რომ თითქოს წონის დაკლების პროცესში ფეხიც იტკინა სირბილისას. მით უფრო, არაოფიციალურად ისიც ითქვა, რომ არ იცოდნენ დილის სავალდებულო აწონვის შესახებ. თუმცა, რაც უნდა იყოს მიზეზი, ფაქტი ერთია, ჩვენთვის ძალზე სავალალო და ისიც ცხადია, რომ მსგავსი პრეცედენტები არ უნდა ხდებოდეს.

სამწუხაროდ და სავალალოდ, ამჯერად მედლების გეოგრაფია საბედისწერო ყულფივით დავიწროვდა - ადრე თუ ძალოსნობა, კრივი და ტყვიის სროლაც გვეშველებოდნენ ყულაბის ავსებაში, ამჯერად მხოლოდ საჭიდაო სახეობების იმედად დავრჩით. წინა ოლიმპიადაზე ბატუტსა და პლაჟის ფრენბურთშიც ცოტა დაგვაკლდა მედლებამდე, ახლა კი პირველში ბევრად ჩამოვრჩით კვარცხლბეკს, მეორეში კი საერთოდ ვერ მოვიპოვეთ საგზური.

ლონდონში 35 ლიცენზიანტით წარვსდექით. პეკინშიც ამდენივე სპორტსმენით ვიყავით, მაგრამ საგზური იყო ორით ნაკლები, რადგან პლაჟბურთში ორ-ორ კაცი გვყავდა ანუ ოთხი ფრენბურთელი - ორ საგზურზე. აღსანიშნავია, რომ ოთხივე მათგანი ნატურალიზებული ბრაზილიელი იყო, ახლა კი ასეთი ერთი გვყავდა - პოლონელი მძლეოსანი **მასიეშ როჩევიჩი.**

სამწუხაროდ, ამჯერად ზოგიერთ ლიცენზიატთან მიმართებაში სერიოზული ეჭვებიც გაჩნდა - ვერაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ მათი შედეგები საგრძნობლად ჩამორჩა სალიცენზიო ტურნირში ნაჩვენებს. იმ ერთ შეჯიბრებაზე გაიელვეს, სალიცენზიო ნორმატივი შეასრულეს და მორჩა, მერე თითქოს აღარც ყოფილან. ამჯერად მხოლოდ ორი „ველური ბარათი" გვქონდა - ველოსპორტსა და ჩოგბურთში ქალთა წყვილებში. სამაგიეროდ, პეკინში თუ სპორტის 12 სახეობაში ვიყავით წარმოდგენილი, ლონდონში - 11 დაგვრჩა. ამჯერად საგზურები ვერ მოვიპოვეთ ტანვარჯიშში და მშვილდოსნობაში, კრივში კი ადრინდელი რაოდენობა გავანახევრეთ. ლონდონში პირველად მოხდა, რომ ცურვაში საგზური ნაღდი შედეგით მივიღეთ და არა „ველური ბარათით". ეს 17 წლის თბილისელმა **ირაკლი ბოლქვაძემ** შეძლო, რომელიც ოლიმპიადის შემდეგ ჭაბუკებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა - ამ სახეობაში ესეც პირველი მიღწევაა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. სხვათა შორის, საოლიმპიადოდ მასაც ჰქონდა „ველური ბარათი", მაგრამ სეოკ-ი და ფედერაცია უმალავდნენ, რადგან ტურნირიდან ტურნირამდე უმატებდა, თანდათან უახლოვდებოდა სალიცენზიო ნორმატივს და იმედოვნებდნენ, რომ თავისითაც მოიპოვებდა ლიცენზიას. მათი იმედი გამართლდა.

ამ 11 სახეობიდან ყველაზე დიდ იმედებს კვლავაც საჭიდაო სახეობებზე - ძიუდოზე, „თავისუფალსა" და ბერძნულ-რომაულზე ვამყარებდით, მეორე რიგში კი ტყვიის სროლის, მშვილდოსნობის და

>> მე-14 გვერდზე

# 2012

წლის მონაგარი

**8. ფეხბურთი.** თურქულ „ქასიმფაშაში" მთავარ მწვრთნელად წარადგინეს **შოთა არველაძე.**

**11. ძიუდო.** აბუ-დაბის გრანპრიზე მე-2 ადგილი დაიკავა **ამირან პაპინაშვილმა** (60 კგ).

**11-14. სამბო.** სოფიაში ჭაბუკთა და ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა 13 მედალი მოიპოვეს. ჭაბუკთა შორის ჩემპიონი **ომარ ნიაზაშვილი** (70 კგ) გახდა, ახალგაზრდებში - **ამირან იანვარაშვილი** (82).

**12. ფეხბურთი.** 2014 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ნაკრები სტუმრად ფინეთის ნაკრებს დაუზავდა - 1:1.

**13. ძიუდო.** აბუ-დაბის გრანპრიზე მე-3 ადგილი დაიკავა **ზვიად გოგოჭურმა** (90 კგ).

**16. ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა დანიასთან ამხანაგური მატჩი წააგო - 0:2.

**16. კალათბურთი.** დუდუ დადიანის მემორიალი „არმიამ" მოიგო. ფინალში „არმიამ" „შსს აკადემია" დაამარცხა - 68:57.

**16. ფეხბურთი.** 2014 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ნაკრები მინსკში ბელარუსთან 0:2 დამარცხდა.

**16. კალათბურთი.** შედგა თორნიკე შენგელიას დებიუტი „ბრუკლინ ნეტსში". საგამოფენო მატჩში „ბოსტონის" წინააღმდეგ მან 11 ქულა ჩააგდო.

**20. წყალბურთი.** ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ლიგამუსი" რუსულ „სპარტაკთან" (ვოლგოგრადი) დამარცხდა - 8:15.

**20. კალათბურთი.** სტარტი აიღო საქართველოს 22-ე ჩემპიონატმა.

**20-21. თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს ნაკრებმა ხასავიურტში (რუსეთი) საკონტინენტთაშორისო თასზე მესამე ადგილი მოიპოვა. **გიორგი საკანდელიძემ** (120 კგ.) კი პირველი ადგილი დაიკავა.

**22. ფარიკაობა.** 23-წლამდელთა შორის **სანდრო ბაზაძემ** თბილისის საერთაშორისო ტურნირი, ევროპის თასი მოიგო.

**26. ფეხბურთი.** ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატის 19-წლამდელთა შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები მასპინძლებთან 0:2 დამარცხდა.

**27. რაგბი.** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა გერმანიას 50:13 მოუგო, ხოლო 19-წლამდელთა ნაკრებმა რუმინეთს 31:13 აჯობა.

**27-28. ფიგურული ციგურაობა.** კანადის გრანპრიზე ელენე გედევანიშვილმა მე-5 ადგილი დაიკავა.

**28. ძიუდო.** ბრაზილიაში, მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი **ირაკლი ცირეკიძე**) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**28. ფეხბურთი.** ფინური „ინტერის" ფორვარდმა **ირაკლი სირბილაძემ** ფინეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მოიგო.

**28. ფეხბურთი.** ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატის 19-წლამდელთა შესარჩევ მატჩში საქართველო აზერბაიჯანს დაუზავდა - 1:1.

**30. ფეხბურთი.** თბილისში ევროპის ჩემპიონატის 17-წლამდელთა შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა უკრაინასთან 1:3 წააგო.

ნოემბერი

**2. რაგბი.** ევროპის ჩემპიონატის ფინალში (მსოფლიო ელიტის შესარჩევი ეტაპი) საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიას 33:17 მოუგო.

**2 რაგბი.** ევროპის ჩემპიონატის ფინალში (ელიტის შესარჩევი ეტაპი), საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიასთან 10:23 წააგო და მსოფლიო ალაფის საგზური ვერ მოიპოვა.

**4. ფეხბურთი.** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა შოტლანდიას 3:0 მოუგო და ელიტ-რაუნდის საგზური დაიმსახურა.

**7. კალათბურთი.** ევროჩელენჯის პირველ ტურში „არმია" სტუმრად პოლონის „ჰაპოელთან" დამარცხდა - 69:84.

## ქართული სპორტი

# 2012

## წლის მონაგარი

### ნოემბერი

**7. კალათბურთი.** NBნბა-ში კიდევ ერთი ქართველის დებიუტი შედგა: **თორნიკე შენგელიამ** პირველად ითამაშა „ბრუკლინ ნეთსის" რიგებში.

**9-11. სამბო.** ბელარუსში, მსოფლიოს ჩემპიონატზე **გიორგი ბაინდუროვმა** (90 კგ) ოქროს მედალი მოიგო. ვერცხლის მედალი **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) მოიპოვა. ბრინჯაო — **ნუკრი ბერულავამ** (52), **ბესარიონ ბერულავამ** (74) და **ნიკო კუციამ** (82). ქალთა შორის — **ირინე ლეონიძემ** (80).

**11. ჩოგბურთი.** ინდოეთის ქალაქ პუნეს ტურნირის (125 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგი **ოქსანა კალაშნიკოვამ** მოიგო.

**13. კალათბურთი.** ევროჩელენჯის მე-2 ტურში „არმიამ" შინ „ანტვერპენთან" წააგო - 71:80.

**17. რაგბი.** ტესტ-მატჩში საქართველო იაპონიასთან 22:25 დამარცხდა.

**18. კალათბურთი.** გაიმართა ევრობასკეტ 2013-ის წილისყრა. საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან: ესპანეთი, სლოვენია, ხორვატია, პოლონეთი და ჩეხეთი.

**18. ჭადრაკი.** 14-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე **ნინო ხომერიკმა** ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**18-19. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** უზბეკეთის „პრეზიდენტის თასზე" **სერგო გოგისვანიძე** (მძიმე წონა) ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

**18. ტანვარჯიში.** ფედერაციის პრეზიდენტად **კონსტანტინე ლაშხი** აირჩიეს.

**19. ნიჩბოსნობა.** აკადემიური ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ **ბეჟან ხურციძე** აირჩიეს. კანოეს ფედერაციას კი **დავით ქაცარავა** უხელმძღვანელებს.

**20. კალათბურთი.** ევროჩელენჯის მე-3 ტურში „არმია" „ტელეკომს" ენვია და 71:75 დამარცხდა.

**22. ხელბურთი.** ფედერაციის პრეზიდენტი **ზურაბ კაკაბაძე** გახდა.

**20. სროლა.** ფედერაციის პრეზიდენტად **კახა ბექაური** აირჩიეს.

**24. რაგბი.** ტესტ-მატჩში საქართველო ფიჯისთან 19:24 დამარცხდა.

**27. კალათბურთი.** ევროჩელენჯის მე-4 ტურში „არმიამ" „ჰოლონს" უმასპინძლა და 72:79 წააგო.

**27-28. თავისუფალი ჭიდაობა:** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი ედიშერაშვილი** (55 კგ), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96) და **გენო პეტრიაშვილი** (120).

### დეკემბერი

**1. რაგბი.** ფირა აერ-ის ვიცე-პრეზიდენტად **გიორგი ნიჟარაძე** აირჩიეს.

**3-8. ძალოსნობა.** ეილათში (ისრაელი) ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე **შოთა მიშველიძემ** (62 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, **გიორგი ლომთაძემ** (69) და **ლაშა ტალახაძემ** (მძიმე) - ბრინჯაო.

**6. ჩოგბურთი.** ფედერაციის ახალ პრეზიდენტად **ალექსანდრე (აკო) მეტრეველი** აირჩიეს.

**8. კრივი.** ფედერაციის პრეზიდენტად **დავით კვაჭაძე** აირჩიეს.

**8. მშვილდოსნობა.** ფედერაციის პრეზიდენტად **თენგიზ ტერუნაშვილი** აირჩიეს.

**9. ჩოგბურთი.** ანთალიის საერთაშორისო ტურნირი (15 ათასი დოლარი) **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** მოიგო.

**10. ძიუდო.** ფედერაციის პრეზიდენტად **დავით ქევხიშვილი** აირჩიეს.

**11. კალათბურთი.** „არმიამ" ევროჩელენჯის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩიც წააგო „ტელეკომთან" - 77:102.

**11. ველოსპორტი.** ფედერაციის პრეზიდენტად **ომარ ფხაკაძე** (უმცროსი) აირჩიეს.

**15. ფარიკაობა.** ფედერაციის პრეზიდენტად **არჩილ გოგელია** აირჩიეს.

**15. მძლეოსნობა.** ფედერაციის პრეზიდენტად **ალექსი ახვლედიანი** აირჩიეს.

**15. ჭიდაობა.** ფედერაციის პრეზიდენტად **ლუკა კურტანიძე** აირჩიეს.

---

**რაგბი**

# არაერთგვაროვანი, თუმცა იმედისმომცემი სეზონი

**რაგბი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტის სახეობაა, რომლესაც დიდი ხანია ქომაგებისთვის სიხარული მოაქვს. განვლილი სეზონი, საბოლოოდ ალბათ, წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ. ეროვნულმა ნაკრებმა კიდევ ერთხელ მოიპოვა ევროპის ერთა თასი და დაამტკიცა, რომ ამ დონეზე თამაში მისთვის საკმარისი აღარ არის.**



მერაბ კვირიკაშვილი და მამუკა გორგოძე (წინა პლანზე)

წლეულს საქართველოს ჩემპიონატი ახალი ფორმატით ჩატარდა. გაიზარდა უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდების რაოდენობა. პარალელურად ამაღლდა კონკურენციაც. დღესდღეობით საქართველოში 5-6 თანაბარი ძალის გუნდია, რომელსაც ჩემპიონობისთვის ბრძოლა ერთნაირად შეუძლიათ. პროგრესი, ცხადია, აშკარაა, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

მიმდინარე ჩემპიონატი 2013 წლის მაისში დამთავრდება და ტურნირისა და საერთოდ სეზონის საუკეთესოებიც მაშინ გამოვლინდება. თუმცა ერთი რამ კი უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას. ჩემპიონატის აღმოჩენად თამამად შეიძლება თბილისის „არმაზის" დასახელება, ხოლო მოულოდნელობად, გათამაშების დებიუტანტი თბილისის „ილიაუნი ჯიქი".

ცხადია, ზემოთქმული ქართული რაგბის ქომაგს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს საიმისოდ, რომ სარაგბო ბატალიები მომავალში უფრო მაღალი ხარისხის, შეუპოვარი და საინტერესო იქნება.

ყველაზე დიდი ოპტიმიზმის საფუძველს კი ჭაბუკთა A ლიგის წლევანდელი გათამაშების ფინალი იძლევა. ქუთაისისა და რუსთავის გუნდების დაპირისპირებისას სრულიად ახლებური რაგბი ვიხილეთ. ბიჭები შესანიშნავად თამაშობდნენ ხელდახელ, სწორად აზროვნებდნენ და ყველანი აღფრთოვანებული დარჩნენ.

წლეულს ჭაბუკთა A და B ლიგებში უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის გუნდებმა იასპარეზეს. ჯამში 52 გუნდმა ითამაშა და არსებობს დადასტურებული მონაცემები, რომ ეს რიცხვი 2013 წელს კიდევ უფრო გაიზრდება.

მორაგბეთა რაოდენობის ზრდა თვალსაჩინოა. ოთხ წელიწადში რიცხვი გასამმაგდა. რაც მთავარია, ამ გუნდების უმრავლესობა სრულიად განსხვავებულ, ჩვენთვის, ბოლო წლებისთვის არადამახასიათებელ რაგბის თამაშობს. ხელდახელ ბურთაობა, სწორი და სწრაფი აზროვნება ჩვენი ახალი თაობის დამახასიათებელ თვისებად იქცა.

შესაბამისად წარმატებული გამოდგა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თამაში ევროპის ჩემპიონატზე, სადაც „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ელიტარული ქვეყნების ნაკრებებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. იტალიის ნაკრები კი სულაც დაამარცხეს. ამავე ნაკრებმა წლეულს შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ითამაშა და პირველი ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის შესარჩევი ტურნირი ვერ დასძლია საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა.

ქართული რაგბის ყველაზე დიდი პრობლემა კლუბების მოუწესრიგებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა, რომლის გაუმჯობესებაზე რაგბის კავშირი მომავალი წლიდან გაათკეცებული ენერგიით აპირებს ზრუნვას. 2013 წელს დასრულდება მშენებლობა და ექსპლოატაციაში გადაეცემა რუსთავის, დიდი დიღმისა და მარტყოფის სარაგბო კომპლექსები.

არაერთგვაროვანი გამოდგა სეზონი საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის. 2011 წელს ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულების შემდეგ, „ბორჯღალოსნებს" სათავეში ახალი მწვრთნელი, ახალზელანდიელი **მილტონ ჰეიგი** ჩაუდგა. ამით ჩვენს გუნდში, ფაქტობრივად, ახალი ერა დაწყო, რადგან ჰეიგმა ნაკრების თამაშში ახალი სტილის დანერგვა განიზრახა და პირველივე დღიდან ამ მიმართულებით ხელდაკაპიწებული შეუდგა საქმიანობას.

ჰეიგის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი ერთა თასზე სტუმრად ესპანეთის ნაკრებთან გამართა და მოულოდნელად დამარცხდა. მიუხედავად ამ წაფორხილებისა „ბორჯღალოსნებმა" მაინც შეძლეს პირველ ადგილზე ტურნირის დასრულება და ერთა თასს კიდევ ერთხელ დაეუფლნენ.

ევროპის ერთა თასის წლევანდელი გათამაშება გამორჩეული იმითაც იყო, რომ საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ტრადიციული მეტოქე, რუსეთის ნაკრები „მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე" რეკორდული ანგარიშით 46:0 დაამარცხა და შინ შერცხვენილი გაისტუმრა.

ამას მოჰყვა წარუმატებელი ტურნე ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოს ნაკრები შესუსტებული შემადგენლობით ვერას გახდა კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ გუნდებთან დაპირისპირებაში. ნოემბერში კი ორი ძალზედ ძლიერი მეტოქე გვეწვია. იაპონიისა და ფიჯის ნაკრებები დიდი ხანია მოწინავეთა შორის არიან და განვითარებულ სარაგბო ქვეყნებად ითვლებიან.

სამწუხაროდ, „ბორჯღალოსნები" ამ მეტოქეებთანაც დამარცხდნენ, თუმცა ორივე მატჩის მოგება რეალურად შეეძლოთ. შედეგად მსოფლიოს რეიტინგში ჩვენი გუნდი მე-17 ადგილამდე დაქვეითდა. ცხადია, ამით ტრაგედია არ უნდა შეიქმნას, რადგან ასეთი მაღალი დონის გუნდებთან ტესტ მატჩები ჩვენს ეროვნულ ნაკრებს მუდამ აკლდა და ამიერიდან ეს ხარვეზი აღმოიფხვრება, რაც „ბორჯღალოსნების" თამაშის დახვეწას, ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას გამოიწვევს. საბოლოო მიზანი კი 2015 წლის მსოფლიოს თასზე გასვლა და იქ წარმატებული გამოსვლა, მინიმუმ ორი თამაშის მოგებაა. საამისოდ აუცილებელია მოვიგოთ ერთა თასის გათამაშება, რომელიც იმავდროულად მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა. ეს ტურნირი გაისად თებერვალ-მარტში გაიმართება. ამის შემდეგ, ივნისში ძალიან რთული მატჩი გველის არგენტინაში. ამ ქვეყნის რაგბის კავშირმა ჩვენი ნაკრები სპეციალურად დაპატიჟა.

იქამდე კი ივნისის პირველ დეკადაში, თბილისში სტარტს აიღებს საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს წამყვანი სარაგბო ქვეყნების A ნაკრებები იასპარეზებენ. ნოემბერში კი თბილისში კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებები გვეწვევიან.

მცირე ჩავარდნების მიუხედავად, რაგბის პოპულარობა საქართველოში განუხრელად იზრდება. დასტურად სხვადასხვა გამოკითხვები გამოდგება. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვებში საქართველოს ნაკრებისა და „მონპელიეს" მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში დასახელდა.

„ლელოს" გამოკითხვაში კი მეორე-მესამე ადგილები საქართველოს ნაკრების მორაგბეებს, შესაბამისად **მამუკა გორგოძეს და მერაბ კვირიკაშვილს** ერგოთ.

წლის ბოლოს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე** FIRA AER- ის გენერალურ ასამბლეაზე ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ახლახან კი IRB-დან მოვიდა ოფიციალური დასტური, რომ საქართველოს ნაკრები განვითარებული სარაგბო ქვეყნების სიაში ჩაწერეს, რაც ქართული რაგბისთვის უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

**ბესიკ ჯანგავაძე**



---

« მე-13 გვერდიდან

ძალოსნობისა გვეიმედებოდა. სამწუხაროდ, „მეორე რიგში" სრული იმედგაცრუება გველოდა! განსაკუთრებით შოკისმომგვრელი ძალოსანთა წარუმატებლობა გამოდგა, უპირველესად ვი-გია მაჭავარიანის ფიასკო, რომელსაც ბედმა ზედ სტარტზე მიწებული საჩუქარი უძღვნა - ასპარეზობის წინა დღეს ბრძოლას მოულოდნელად ძირითადი კონკურენტები, რუსი სპორტსმენები გამოაკლდნენ. ბოროტი ენები ამბობენ, რომ მათ დოპინგისა შეეშინდათ, თუმცა ეს მათი პრობლემაა, ჩვენთვის კი სასიამოვნო ფაქტი იყო, რომ ამით კვარცხლბეკზე ადგილი ქართველს მოუსუფთავეს. მაჭავარიანის შედეგები ნამდვილად იძლეოდა ოპტიმიზმის საფუძველს, მაგრამ ოლიმპიურ ფიცარნაგზე „ქართული ტრაგედია" დატრიალდა - ჩვენებურს ორ მოძრაობაში ხუთჯერ გაუვარდა შტანგა ხელიდან და მხოლოდ ერთი ცდა გამოიყენა! ჩვენი ძალოსნებიდან მძიმეწონოსან **ირაკლი თურმანიძეს** თუ გამოვარჩევთ, რომელმაც ლონდონში პირადი შედეგი გააუმჯობესა და მეხუთეზე გავიდა.

სროლის სახეობებში - ტყვიასა და მშვილდოსნობაში თითო სპორტსმენის იმედად ვიყავით, თუმცა სპორტსმენებსაც გააჩნიათ: ნინო სალუქვაძე თავის მეშვიდე ოლიმპიადაზე გამოდიოდა, რითაც რეკორდსმენია საქართველოშიც და ტყვიის სროლაში მსოფლიოს მასშტაბითაც ქალთა შორის (მეშვიდე ოლიმპიადაზე გამოვიდა სერბი **იასნა სეკარიჩიც**, ოღონდ მას საგზური საკუთარმა ფედერაციამ აჩუქა, ჩვენებურმა კი თავისით მოიპოვა), ხოლო მშვილდოსანი **ქრისტინე ესებუა** ბრიტანეთში მსოფლიოს ვერცხლის მედალოსნად ჩავიდა (საქართველოსთვის ეს მსოფლიოს პირველი მედალია პირად პირველობაში). ესებუამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მარცხისთვის ჩილელ **დენიზე ასტრიდ ვან ლემონენს** რევანში კი აგემა, მაგრამ საკვალიფიკაციოში სუსტად გამოსვლა ველარ აანაზღაურა. სალუქვაძესაც ხელი მოეცარა — ვერც ერთ სახეობაში ფინალში ვერ მოხვდა. არავის წაგებას არ ვამართლებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ორ სახეობას ნორმალური სავარჯიშო ბაზა არ გააჩნია, ასეთ პირობებში კი ის უდავოდ კარგი შედეგებიც გასაკვირია, რაც აქამდე მოუპოვებიათ.

სერიოზულად გაგვაწბილეს ძიუდოისტებმაც, სადაც ორი გუნდი ვიხილეთ - შავდათუაშვილი და დანარჩენი ექვსეული. სამწუხაროდ, მათ შორის სხვაობა ისეთი იყო, როგორიც - ცასა და დედამიწას შორის. კარალეთელ ტალანტს თუ ყველაფერი გამოსდიოდა, მორალურად დემორალიზებულ, ფსიქოლოგიურად დათრგუნულ, დასახიჩრებულ-ტრავმირებულ და არასწორი მომზადებით გადაღლილ ექვსეულს არაფერი გამოსდიოდა, მოძრაობაც კი უჭირდა ტატამზე. ეს რომ არა, იქნებ სხვა სინჯის მედლები მაინც მოეპოვებინათ და საერთო მარაგი გაემდიდრებინათ.

ოქროს გარეშე დარჩენა ტვირთად აწევს ჭიდაობის ფედერაციასაც იმის მიუხედავად, რომ 13-დან 6 მედალი მოიპოვეს ანუ გუნდის ნახევარი კვარცხლბეკზე ავიდა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ არა მსაჯთა თავნებობა, შედეგი რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც უკეთესი იქნებოდა. მაგალითად, ფინალში ხინჩეგაშვილს გამარჯვების იმდენად დიდი შანსი წაართვეს, რომ იმ შეხვედრის მსაჯთა ბრიგადა ერთიანად დასაჯეს დისკვალიფიკაციით, თუმცა ეს მაინც არაფერია იმასთან შედარებით, რაც ბერძენ-რომაელ **ვლადიმერ გეგეშიძეს** (84) გაუკეთეს - თამამად შეიძლება ითქვას, ის უმედლოდ დატოვეს.

მოჭიდავეთაგან უფრო უკეთ „თავისუფლები" გამოვიდნენ, რომლებიც სრული გუნდით - 7 სპორტსმენით იყვნენ წარმოდგენილნი და იმათგან 4-მა მედალი მოიპოვა. არადა, ოლიმპიადის წინა წლებში ორივე გუნდი სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა და ლიცენზიების მოპოვება გაუჭირდათ. განსაკუთრებით - ბერძენ-რომაელებს, რომლებმაც შარშან მსოფლიოზე მხოლოდ ერთი მედალი ირგუნეს. საბედნიეროდ, ოლიმპიადისთვის მიზანმიმართული მზადების პერიოდში ორივე მწვრთნელმა - **ზაზა თურმანიძემ და ბეგი დარჩიამ** დაამტკიცეს, რომ გუნდის მომზადება ძალუძთ და ლონდონში სრულიად გარდაქმნილი გუნდები ჩაიყვანეს. ამის მიუხედავად, მაინც მიგვაჩნია, რომ გარკვეულ ასპექტებში თანამედროვე მიღწევებს ჩამორჩით და სავარჯიშო სისტემა გასაუმჯობესებელია.

ერთი სიტყვით, გარკვეული წარმატებების მიუხედავად, ამ ოლიმპიადამ ბევრი საზრუნავიც დაგვიტოვა, რადგან მთელ რიგ ასპექტებში რეგრესია. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ მოსამზადებელ ციკლში დაფინანსება ბევრად იყო გაზრდილი. მაშ რა მოხდა, გაზრდილი ფინანსების პირობებში რატომ მივიღეთ ცუდი შედეგი თუნდაც ხარისხობრივი მაჩვენებელით, რატომ შემცირდა წარმატებული სახეობების გეოგრაფია და რატომ გამოვედით უფრო ნაკლებ სახეობებში? ვფიქრობ, მიზეზი მართვის პრობლემაშია - სამწუხაროდ, წინა მოსამზადებელ ციკლში სპორტი მონოპოლიზებული იყო პოლიტიკის მიერ და ფედერაციების ხელმძღვანელებად უმეტესად პოლიტიკიდან მოსულები გვევლინებოდნენ, ისინი კი სახეობის შიდა სამზარეულოს კარგად არ იცნობდნენ. შესაბამისად, ვერც ეფექტურად მართავდნენ ფედერაციებს და, რაც ყველაზე უარესია, მწვრთნელები არ იყვნენ თავისუფალნი თავიანთ არჩევანში. იმედია, მომავალ ოლიმპიურ ციკლში ასე აღარ იქნება.

**ირაკლი თავაძე**

## ჩოგბურთი

# ჯოკოს პირველი ტიტული

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ზედიზედ მეორედ გახდა აბუ დაბის საჩვენებელი ტურნირის გამარჯვებული. მან ფინალში სამ სეტში დაამარცხა ესპანელი **ნიკოლას ალმაგრო**.

როგორც გახსოვთ, ჯოკოვიჩმა ნახევარფინალში გაანადგურა კიდევ ერთი ესპანელი დავიდ ფერერი - მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო მას, ფინალური მატჩი კი გაცილებით დაძაბული გამოვიდა. ალმაგრომ შეძლო ბრძოლა მოეხვია თავს რეიტინგის ლიდერისთვის. ამჯერად, ჯოკოვიჩმა ვერ შეძლო განსაკუთრებული თამაშის ჩვენება, რაც სწორედ ნიკოლასის დამსახურება იყო.

პირველ პარტიაში ჯოკოვიჩი ახლოს იყო მიზანთან, აელო მეტოქის მოწოდება, მაგრამ ალმაგროს საჭირო დროს ეისები შველოდა. მიღებაზე ალმაგროს რეალური შანსები არ ჰქონია, სამაგიეროდ, ტაი-ბრეიკზე ესპანელმა სამი მინი-ბრეიკი გააკეთა, რამაც სეტის თავის სასარგებლოდ დასრულების საშუალება მისცა. მეორე პარტიის დასაწყისში ჩოგბურთელებმა ცოტა „აურიეს" და პირველ სამ გეიმში სამი ბრეიკი გააკეთეს, აქედან ორი ჯოკოვიჩისა იყო და მან შეინარჩუნა პარტიის ბოლომდე ეს უპირატესობა - 6:3.

გადამწყვეტ სეტში ორივე ჩოგბურთელს ჰქონდა მოგების შანსი. თავიდან სირთულეები შეექმნა ნოვაკს, რომელსაც მეხუთე გეიმში ორი ბრეიკ-პოინტის მოგერიება მოუწია, შემდეგ ესპანელის ნერვიულობის ჯერი დადგა, მაგრამ ალმაგრომ გაუძლო თავის მოწოდებაზე 15-წუთიან გეიმს, რომლის დროსაც ექვსი ბრეიკპოინტი მოიგერია. და მაინც, პირველი სწორედ ნიკოლასი შეცდა, როცა 4:5-ზე რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, რამაც საბოლოო მარცხი გამოიწვია. ჯოკოვიჩმა ტურნირზე მეორე ესპანელი დაამარცხა და დაიცვა შარშან მოპოვებული ტიტული. სერბი გაუთანაბრდა აბუ დაბიში გამარჯვებების რაოდენობით ნადალს.



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ასეთი გამოვიდა სეზონის არაოფიციალური სტარტი. ახლა ჩოგბურთელები ავსტრალიაში გაიფანტებიან და სხვადასხვა ტურნირზე გააგრძელებენ მზადებას ავსტრალიის ღია პირველობისთვის, მაგალითად, ჯოკოვიჩი ჰოპმანის თასზე ითამაშებს.

**მე-3 ადგილისთვის**

დავიდ ფერერი (ესპ)-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 7:6(4), 6:2.

**ფინალი**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 6:7(4), 6:3, 6:4.

■ ■ ■

ესპანელმა ჩოგბურთელმა დავიდ ფერერმა გამოაცხადა, რომ მონაწილეობას არ მიიღებს დევისის თასის მერვედფინალში, რომელშიც ესპანეთის ნაკრები 1-3 თებერვალს სტუმრად შეხვდება კანადის ნაკრებს.

*„ახალი სეზონის სტარტზე ვაპირებ დოჰაში, ოკლენდსა და ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშს. ჩემს გეგმებში არ შედის დევისის თასის პირველ რაუნდში გამოსვლა. არ შემიძლია გაუჩერებლად თამაში, ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ დასვენება დამჭირდება. "დიდი სლემის" ტურნირზე მატჩები ხუთსეტიანია, ასე რომ, მის შემდეგ დევისის თასზე გამოსვლა გამორიცხულია"*, - ამბობს ფერერი.

■ ■ ■

კვლავ არ უმართლებს გერმანელ ჩოგბურთელს **ანდრეა პეტკოვიჩს**. ამ ჩოგბურთელმა შარშან თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა ტრავმის გამო, ახლა კი მორიგი დაზიანება მიიღო. შაბათს, ჰოპმანის თასზე პეტკოვიჩმა ვერ დაასრულა შეხვედრა ავსტრალიელი **ეშლი ბარტის** წინააღმდეგ. გერმანელმა მოიგო პირველი სეტი, რის შემდეგაც მატჩი შეწყდა.

*„კვირას, დილით ჩამიტარეს სამედიცინო შემოწმება, რომელმაც მენისკის გაწყვეტა დააფიქსირა. დაბრუნების ვადების შესახებ კონკრეტულად არაფრის თქმა არ შემიძლია. გერმანიაში დავბრუნდები, სადაც გავაგრძელებ მკურნალობას. ყველაზე კარგი პროგნოზით, ერთი თვე ვერ შევძლებ თამაშს, უარესით – ორი-სამი თვე. ნებისმიერ შემთხვევაში კმაყოფილი ვარ, რომ ეს არის მუხლის ჯვარედინი მყესების გაწყვეტა"*, - ამბობს პეტკოვიჩი, რომელიც მონაწილეობას ვერ მიიღებს ავსტრალიის ღია პირველობაზე.

## ფორმულა 1

# ბერნსი ნასვლაზე ალაპარაკდა

ბრიტანული "დეილი ტელეგრაფისთვის" მიცემულ ინტერვიუში **ბერნი ექლსტოუნმა** აღიარა, რომ ფორმულა 1-ში თავისი პოსტის დატოვება მოუწევს იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის პროკურატურა მას ოფიციალურად წაუყენებს ბრალს კორუფციაში.

*„სავარაუდოდ, CVC იძულებული იქნება თავიდან მომიშოროს, თუ გერმანელები დასაჭერად მომადგებიან. ეს ცხადზე ცხადია"*, - განაცხადა ექლსტოუნმა.

2011 წელს, გერმანელი ბანკირის **გრიბოვსკის** დაპატიმრების შემდეგ, ბერნის მიმართ პრეტენზიებს მუდმივად განიხილავდნენ, მაგრამ მისთვის ბრალი ოფიციალურად არ წაუყენებიათ. ჯერჯერობით ეს ახლაც არ ხდება, მაგრამ ფორმულა 1-ის მფლობელმა საინვესტიციო ფონდმა CVC-მ თხოვნით მიმართა რეკრუტინგულ კომპანია Egon Zehnder-ს, რათა მან შეადგინოს ექლსტოუნის სავარაუდო შემცვლელთა სია.

*„მათ მითხრეს, რომ დაიქირავეს ფირმა, რომელმაც ჩემი სიკვდილის ან სხვა რაიმე ინციდენტის შემთხვევაში, ჩემი შემცვლელი იპოვონ. ეს სავსებით ნორმალურია"*, - აგრძელებს ბერნი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

| 28 დეკემბერი | |
|---|---|
| კლივლენდი-ატლანტა | 94:102 |
| ნიუ ორლეანი-ტორონტო | 97:104 (ო) |
| დალასი-დენვერი | 85:106 |
| სან ანტონიო-ჰიუსტონი | 122:116 |
| იუტა-კლიპერსი | 114:116 |
| საკრამენტო-ნიუ იორკი | 106:105 |
| ლეიკერსი-პორტლენდი | 104:87 |
| გ. სტეიტი-ფილადელფია | 96:89 |
| ვაშინგტონი-ორლანდო | 105:97 |
| ინდიანა-ფინიქსი | 97:91 |
| ბრუკლინი-შარლოტი | 97:81 |
| დეტროიტი-მაიამი | 109: 99 |

| 29 დეკემბერი | |
|---|---|
| შარლოტი-ნიუ ორლეანი | 95:98 |
| ატლანტა-ინდიანა | 109:100 |
| ორლანდო-ტორონტო | 88:123 |
| ბრუკლინი-კლივლენდი | 103:100 |
| ჩიკაგო-ვაშინგტონი | 87:77 |
| მემფისი-დენვერი | 81:72 |
| ჰიუსტონი-ოკლაჰომა | 94:124 |
| მინესოტა-ფინიქსი | 111:107 |
| მილუოკი-მაიამი | 104:85 |
| პორტლენდი-ფილადელფია | 89:85 |
| გ. სტეიტი-ბოსტონი | 101:83 |

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი — კონფერენსი | |
|---|---|
| დარტფორდი-კემბრიჯი | 1:1 |
| ლინკოლნი-გეიტშიდი | 1:1 |
| საუთპორტი-ჰაიდი | 0:1 |
| სტოკპორტი-ტელფორდი | 2:2 |
| რექსჰემი-ტამუორტი | 2:2 |

| ინგლისის თასი | |
|---|---|
| მაკლსფილდი-ბაროუ | 4:1 |

| იტალია — სერია B | |
|---|---|
| რეჯინა-ემპოლი | 0:3 |
| ასკოლი-ვარეზე | 1:1 |
| ბრეშა-კროტონე | 5:0 |
| ჩიტადელა-ბარი | 1:1 |
| ლივორნო-იუვე სტაბია | 2:2 |
| ნოვარა-გროსეტო | 2:0 |
| სასუოლო-ჩეზენა | 5:0 |
| ტერნანა-პრო ვერჩელი | 4:2 |
| ვიჩენცა-სპეცია | 2:3 |
| ლანჩანო-პადოვა | 2:1 |
| ვერონა-მოდენა | 3:1 |

| პორტუგალია — II დივიზიონი | |
|---|---|
| ავეში-ატლეტიკო | 2:1 |
| ბელენენსეში-ტროფენსე | 2:0 |
| ტონდელა-მარიტიმუ B | 3:1 |
| პენაფიელი-გიმარაეში B | 4:0 |
| ნავალი-კოვილია | 3:3 |
| ბენფიკა B-ფრეამუნდე | 0:1 |
| პორტიმონენსე-სპორტინგი B | 1:0 |
| ფეირენსე-სტ. კლარა | 2:2 |
| ბრაგა B-პორტუ B | 1:1 |
| ლეიქსოეში-ოლივეირენსე | 3:0 |
| უნიაო-არუკა | 1:1 |

| პორტუგალია — ლიგის თასი | |
|---|---|
| სეტუბალი-ნასიონალი | 3:1 |
| ეშტორილი-პორტუ | 2:2 |
| ბეირა მარი-გიმარაეში | 2:2 |
| რიუ ავე-სპორტინგი | 3:0 |
| ფერეირა-მარიტიმუ | 2:0 |
| აკადემიკა-ოლანენსე | 0:0 |
| მორეირენსე-ბენფიკა | 1:1 |

| შოტლანდია | |
|---|---|
| დანდი-აბერდინი | 1:3 |
| ჰიბერნიანი-სელტიკი | 1:0 |
| მოზერველი-კილმარნოკი | 2:2 |
| სტ. ჯონსტონი-ინვერნესი | 0:0 |
| დანდი იუნ-სტ. მირენი | 3:4 |

| I დივიზიონი | |
|---|---|
| ეირდრი-პარტიკი | 1:1 |
| ფალკირკი-დამბარტონი | 3:4 |
| მორტონი-დანფერმლაინი | 4:2 |
| რეითი-კოუდენბითი | 2:2 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| არბროა-ალბიონი | 2:1 |
| ეირი-ალოა | 0:0 |
| ფორფარი-ისტ ფაიფი | 3:2 |
| სტენჰაუზმური-ქუინი | 1:3 |
| სტრანრარი-ბრეჩინი | 0:2 |

| III დივიზიონი | |
|---|---|
| ანენი-ელჯინი | 2:0 |
| კლაიდი-ბირუიკი | 2:1 |
| მონროუზი-სტირლინგი | 3:2 |
| პიტერჰედი-ისტ სტირლინგი | 2:0 |
| ქუინზ პარკი-რეინჯერსი | 0:1 |

| უელსი | |
|---|---|
| ლანელი-კარმარტენი | 4:2 |
| პორტ ტელბოტი-აფან ლიდო | 6:1 |

| ისრაელი | |
|---|---|
| ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (თ-ა) | 2:1 |
| ბნეი შახნინი-ჰაპოელი (ა) | 2:1 |
| ირონი (რ-ჰ)-ჰაპოელი (რ-გ) | 1:0 |
| მაკაბი (ნ)-ირონი (ქ-შ) | 3:4 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 2:0 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ჰ) | 6:2 |

| ჩრ. ირლანდია | |
|---|---|
| ბალინამალარდი-კრუზეიდერსი | 1:3 |
| ბალიმენა-ლისბურნი | 3:3 |
| კლიფტონვილი-დუნგანონი | 2:0 |
| გლენავონი-ლინფილდი | 0:3 |
| გლენტორანი-დონეგალი | 5:0 |
| პორტდაუნი-კოლრეინი | 2:0 |

**კალათბურთი**

| გერმანია | |
|---|---|
| ბრემენჰავენი-არტლანდი | 51:73 |
| ბაიროიტი-ალბა | 90:65 |
| ბრაუნშვაიგი-ბამბერგი | 67:83 |
| ვიურცბურგი-ლუდვიგსბურგი | 75:79 |
| ჰაგენი-ბონი | 101:103 |
| ოლდენბურგი-გისენი | 102:86 |
| ტიუბინგენი-ულმი | 67:82 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ვალენსია-უნიკახა | 82:64 |
| კახა ლაბორალი-ფუენლაბრადა | 94:77 |
| კახასოლი-ვალიადოლიდი | 64:57 |
| მურსია-ესტუდიანტესი | 68:91 |
| სარაგოსა-ბილბაო | 81:74 |
| გრან კანარია-ხუვენტუდი | 80:50 |
| ბარსელონა-რეალი | 96:89 |

| იტალია | |
|---|---|
| სასარი-ვირტუსი | 81:67 |
| ბიელა-მილანი | 96:99 (ო) |
| ბრინდიზი-რომა | 82:86 |
| ვარეზე-კრემონა | 94:84 |
| კანტუ-რეჯანა | 86:64 |
| სკავოლინი-მონტეგრანარო | 78:93 |
| ვენეცია-მონტეპასკი | 65:63 |
| აველინო-კაზერტა | 84:86 (ო) |

| თურქეთი | |
|---|---|
| ბანვითი-გალათასარაი | 74:67 |
| ბეშიქთაში-ერდემი | 73:62 |
| ჰაჩეთეფე-ტურკ ტელეკომი | 75:80 |
| ფენერბაჰჩე-ალიაგა | 95:61 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ტრაქტორი-სიბირი | 2:3 (ბ) |
| ავანგარდი-ატლანტი | 0:1 |
| ბარისი-ტორპედო | 5:4 (ო) |
| იუგრა-ლოკომოტივი | 4:6 |
| მეტალურგი (მ)-ამური | 7:0 |
| დინამო (მ)-ცსკა | 2:4 |
| ავტომობილისტი-მეტალურგი (ნ) | 3:4 (ო) |
| სკა-ლევ პოპრადი | 5:3 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ვილახი-ალბა | 6:0 |
| ზალცბურგი-გრაცი | 3:1 |
| ინსბრუკი-ოლიმპია | 4:3 (ო) |
| კლაგენფიურტი-ზნოიმო | 3:1 |
| ზაგრები-ლინცი | 5:2 |
| დორნბირნი-ვენა | 4:3 (ო) |

| გერმანია | |
|---|---|
| ჰამბურგი-იზერლონი | 6:1 |
| ჰანოვერი-კიოლნი | 1:2 |
| ვოლფსბურგი-მიუნხენი | 4:2 |
| ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 3:5 |
| კრეფელდი-აისბარენი | 4:3 (ო) |
| აუგსბურგი-შტრაუბინგი | 5:4 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| რუსენბორგი-ლორენსკოგი | 3:6 |
| სპარტა-ლილეჰამერი | 1:0 |
| სტავანგერი-სტრიერნენი | 7:1 |
| ტონსბერგი-ფრისკ ასკერი | 2:5 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| კოშიცე-ნიტრა | 5:2 |
| ზვოლენი-ბისტრიცა | 4:2 |
| პოპრადი-დუკლა | 4:0 |
| სკალიცა-მარტინი | 7:1 |
| პიესტანი-ჟილინა | 5:3 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-ბრნო | 7:0 |
| სლავია-სპარტა | 4:3 (ო) |
| ჟლინი-კლადნო | 2:5 |
| ტრშინეცი-ბუდეიოვიცე | 6:3 |
| ლიტვინოვი-ლიბერეცი | 5:2 |
| პლზენი-ხომუტოვი | 6:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ტიმრა-ლინჩოპინგი | 0:2 |
| ფრიოლუნდა-როგლე | 4:0 |
| ჰვ71-ვექსიო | 2:0 |
| ბრინასი-ლულეო | 3:1 |
| მოდო-ფერიესტადი | 2:3 (ო) |

| მს. ჩემპიონატი — UNDER 20 | |
|---|---|
| ფინეთი-შვეიცარია | 5:4 (ბ) |
| კანადა-აშშ | 2:1 |
| ჩეხეთი-ლატვია | 4:2 |
| სლოვაკეთი-გერმანია | 2:1 (ო) |

**ჩოგბურთი**

| WTA. ბრისბენი | |
|---|---|
| უ. რადვანსკა-პაჩეკი | 2:6, 6:0, 6:2 |
| ვინჩი-გაიდოშოვა | 6:4, 1:6, 3:6 |
| ჰრადეცკა-პავლიუჩენკოვა | 3:6, 6:3, 3:6 |
| კვიტოვა-სუარეს ნავარო | 6:3, 6:4 |
| ჰანტუხოვა-დომინგეს ლინო | 7:5, 6:2 |
| ს. უილიამსი-ლეპჩენკო | 6:2, 6:1 |

| WTA. შენჟენი | |
|---|---|
| მუგურსა ბლანკო-ბეკი | 2:6, 7:6, 4:6 |
| ჰსიე-ჩინკი | 6:3, 6:2 |
| ს. ჟენგი-ნიკულესკუ | 4:6, 5:7 |
| რობსონი-გალოვიტცი | 6:2, 6:1 |

| ჰოპმანის თასი | |
|---|---|
| ვ. უილიამსი-სხეპერსი | 4:6, 6:2, 6:3 |
| ისნერი-ანდერსონი | 6:7, 6:7 |
| მედინა გარიგესი-იოჰანსონი | 6:3, 6:2 |
| ვერდასკო-ცონგა | 5:7, 3:6 |

## 2012

**16. თანამედროვე ხუთჭიდი.** ფედერაციის პრეზიდენტად **ვიაჩესლავ მალიშევი** აირჩიეს.

**16. ჩოგბურთი.** ზედიზედ მეორე ტურნირი მოიგო ანთალიაში (15 ათასი დოლარი) **ნიკოლოზ ბასილაშვილმა.**

**17. ფრენბურთი.** ფედერაციის პრეზიდენტად **ირაკლი ჩაჩუა** აირჩიეს.

**17. ძალოსნობა.** ფედერაციის პრეზიდენტად ისევ **დავით ბეჟუაშვილი** აირჩიეს.

**18. კრივი.** ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე კალინინგრადში **ზაალ კვაჭატაძემ** (69 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**18. სპორტული მედიცინა.** ასოციაციის პრეზიდენტად **ვალერი ახალკაცი** აირჩიეს.

**18-19. ძიუდო:** საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულები არიან: **ვაჟა მარგველაშვილი** (60 კგ), **ტრისტან ფეიქრიშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვარლამ ლიპარტელიანი** (90), **გიორგი ნოზაძე** (100) და **ლევან მატიაშვილი** (100+).

**20. სეოკ-ი:** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელად **ლერი ხაბელოვი** აირჩიეს.

**21. ქართული ჭიდაობა.** ფალავნობა ზედიზედ მეოთხედ **ადამ ოქრუაშვილმა** მოიგო.

**22-23. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** საქართველოს ჩემპიონატში იმარჯვეს: ედნარ შავაძე (55 კგ), ლაშა გოგიტაძე (60), საჩინო დავითაია (66), ზურაბ დათუნაშვილი (74), რობერტ ქობლიაშვილი (84), სოსო ჯაბიძე (96) და სერგო გოგისვანიძე (120).

**25. სპორტული ჟურნალისტიკა.** ასოციაციის პრეზიდენტად **გია გორგოძე** აირჩიეს.

**26. ფეხბურთი.** სფფ-მ წლის საუკეთესო ფეხბურთელად **გურამ კაშია** დაასახელა. საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი **ნიკა ძალამიძეა.**

**27. სეოკ-ი.** ოლიმპიურმა კომიტეტმა წლის საუკეთესო 10 სპორტსმენი დაასახელა: **ლაშა შავდათუაშვილი** (ძიუდო), **დავით მოძმანაშვილი** (თავ. ჭიდაობა), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (თავ. ჭიდაობა), **რევაზ ლაშხი** (ბ/რ. ჭიდაობა), **დავით მარსაგიშვილი** (თავ. ჭიდაობა), **მანუჩარ ცხადაია** (ბ/რ. ჭიდაობა), **გიორგი გოგშელიძე** (თავ. ჭიდაობა), **ვარლამ ლიპარტელიანი** (ძიუდო), **ელენე გედევანიშვილი** (ფიგ. ციგურაობა), **მამუკა გორგოძე** (რაგბი).

**28. სპორტული ჟურნალისტიკა.** ქართველმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო სპორტსმენად ძიუდოისტი **ლაშა შავდათუაშვილი** დაასახელეს. მე-2 ადგილზე **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** გავიდა, მესამეზე - **რევაზ ლაშხი.** წლის საუკეთესო გუნდი **კალათბურთელთა** ნაკრებია.

**29. ლელო.** გაზეთ „ლელოს" მკითხველებმა 2012 წლის რჩეულ სპორტსმენად **ლაშა შავდათუაშვილი** აირჩიეს.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## თარიღები და მოვლენები

**31 დეკემბერი**

**31. 1915 წ.** დაიბადა **გრიგოლ გაგუა** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2001 წელს.

**31. 1931 წ.** დაიბადა **ავთანდილ ჭკუასელი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1994 წელს.

**31. 1971 წ.** საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ გამოავლინა წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი: **ლ. თედიაშვილი** (თავ. ჭიდაობა), **ა. მეტრეველი** (ჩოგბურთი), **შ. ლომიძე** (თავ. ჭიდაობა), **ნ. დრონოვა** (სპ. ტანვარჯიში), **ლ. ასატუროვა** (მშვილდოსნობა), **თ. ლეკვეიშვილი** (ცურვა), **ა. მოშიაშვილი** (მძლეოსნობა), **ვ. სანეევი** (მძლეოსნობა), **ზ. საკანდელიძე** (კალათბურთი), **დ. შანიძე** (ძალოსნობა).

**31. 1982 წ.** თბილისის სპორტის სასახლეში სპორტსმენთა მონაწილეობით გაიმართა ახალგაზრდობის ტრადიციული საახალწლო შეხვედრა.

2012 წლის შეჯამება

# ოლიმპიადა, ევრო 2012, რეკორდსმენი ფელპსი, ბრწყინვალე მესი...

**გაზეთმა "ლელომ" გადაწყვიტა შეაჯამოს 2012 წლის სპორტული შედეგები. ამიტომაც გთავაზობთ ერთად გავიხსენოთ ბოლო 12 თვის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.**



ცეკვა Gangnam Style



ლენს არმსტრონგი



ლეო მესი

## წლის მოვლენა. ოლიმპიადა

2012 წლის ოლიმპიადა რიგით 30-ე იყო. ლონდონი კი გახდა პირველი ქალაქი ისტორიაში, რომელმაც სამჯერ უმასპინძლა ზაფხულის თამაშებს.

ამ უდიდეს სპორტულ ფორუმში მონაწილეობა მიიღო 204 ქვეყნის 10 ათასმა სპორსტმენმა, გათამაშდა მედლების 302 კომპლექტი, დამყარდა მსოფლიოს 39 და 56 ოლიმპიური რეკორდი.

## წლის რეკორდი. მაიკლ ფელპსი

ვამბობთ **ფელპსს** - ვგულისხმობთ რეკორდებს, ვლაპარაკობთ რეკორდებზე – ვგულისხმობთ ფელპსს. ლეგენდარული ამერიკელის ანგარიშზეა ათობით მსოფლიოს რეკორდი, მაგრამ წელს, მაიკლმა თავისი მთავარი რეკორდი დაამყარა, რითაც გადაწერა ოლიმპიადების ისტორია.

ლონდონის თამაშებზე მაიკლ ფელპსმა მოიგო ექვსი მედალი (4 ოქრო, 2 ვერცხლი), რითაც 18-გზის ოლიმპიური ჩემპიონი და 22-გზის მედალისტი გახდა. ასე რომ, მან დაამხო საბჭოთა ტანმოვარჯიშის **ლარისა ლატინინას** რეკორდი ოლიმპიადებზე მოპოვებული მედლების რაოდენობით (18 მედალი), რომელიც 48 წელი იყო ძალაში.

## წლის გამოთხოვება

წელს ფორმულა 1-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** გამოეთხოვა ავტოსპორტს. ლეგენდარული მრბოლელის თქმით, მან ასეთი გადაწყვეტილება არასაკმარისი მოტივაციის გამო მიიღო.

*"ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში არ ვიყავი დარწმუნებული იმაში, რომ მეყოფოდა მოტივაცია და ენერგია იმისთვის, რომ კიდევ ერთ-ორი წლის დავრჩენილიყავი ფორმულა 1-ში. მე კი არაფერს ვაკეთებ ისე, თუ საკუთარ თავში ასი პროცენტით არ ვარ დარწმუნებული"*, - განაცხადა შუმახერმა.

აღვნიშნავთ, რომ ეს არის შუმის მეორე გამოთხოვება "სამეფო რბოლებთან". 2006 წელს, მან უკვე დატოვა ფორმულა 1, მაგრამ დაბრუნდა სამწლიანი პაუზის შემდეგ - "მერსედესთან" გააფორმა კონტრაქტი. შუმახერისთვის დაბრუნება არც ისე წარმატებული გამოვიდა: სამი სეზონის განმავლობაში მან მხოლოდ ერთი პოდიუმი მოიპოვა – წელს, ევროპის გრანპრიზე.

## წლის დაბრუნება. ალბერტო კონტადორი

წავიდა, დაბრუნდა, გაიმარჯვა – ეს სამი სიტყვა ყველაზე კარგად მიესადაგება ესპანელ ველომრბოლს **ალბერტო კონტადორს**.

აგვისტოში ალბერტო დაბრუნდა დიდ სპორტში ერთწლიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ, რომელიც დოპინგის გამოყენების გამო მიიღო, ერთი თვის თავზე კი მან შეძლო პრესტიჟული ველომარათონის - "ვუელტას" მოგება.

*"იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მოხდა, ეს გამარჯვება გასაკუთრებულია ჩემთვის. მხრებიდან უმძიმესი ტვირთი მომეხსნა. ეს "ვუელტა" დასაწყისიდანვე რთული იყო, მაგრამ, როცა ყველაფერი ასეთი რთულია, სწორედ მაშინ უფრო მეტად აფასებ საკუთარ მიღწევას"*, - თქვა კონტადორმა.

## წლის სპორტსმენი. ლეონელ მესი

ეს პირველი წელი არ არის, როცა არგენტინელს საუკეთესოდ აღიარებენ, მაგრამ ის მიღწეულით არ კმაყოფილდება. 2012 წელს, **ლეომ** მიიღო ევროპის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი "ოქროს ბუცი", აგრეთვე გადაწერა რამდენიმე რეკორდი. მათ შორის ერთ-ერთი უდიადესია - მოხსნა **გერდ მიულერის** რეკორდი ერთ კალენდარულ წელს გატანილი გოლების რაოდენობით. ამ რეკორდმა 40 წელი იარსება.

ლეგენდარულმა გერმანელმა 1972 წელს 85 გოლი გაიტანა, სუპერ-ლეომ კი 2012 წელი 91 გოლით დაასრულა.

## წლის სკანდალი. ლენს არმსტრონგი

ლეგენდარული ამერიკელი ველომრბოლი სპორტის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური დოპინგსკანდალის ცენტრში მოექცა. ამერიკის ეროვნულმა ანტისადოპინგო სააგენტომ დაადგინა, რომ **არმსტრონგი** არა მხოლოდ თავად მოიხმარდა აკრძალულ პრეპარატებს, არამედ თავის თანაგუნდელებსაც აქეზებდა და აიძულებდა მიეღოთ სტიმულატორები.

შედეგად, 2012 წლის ოქტომბერში ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა ამერიკელს და გააუქმა 1998 წლიდან მოყოლებული მისი ყველა შედეგი, მათ შორის, ტურ დე ფრანსზე შვიდი გამარჯვება.

ამ სკანდალის შემდეგ, არმსტრონგს ზურგი შეაქციეს მისმა სპონსორებმა - მასთან თანამშრომლობაზე უარი თქვეს ისეთმა კომპანიებმა, როგორებიც არიან - Trek, SRAM, Nike და სხვები.

## წლის გუნდი. ესპანეთის ნაკრები

ევრო 2012-ზე მოპოვებული ლამაზი გამარჯვების შემდეგ, ესპანეთი საფეხბურთო ნაკრები გახდა პირველი გუნდი ისტორიაში, რომელმაც მოიგო ზედიზედ სამი დიდი ტურნირი (ევრო 2008, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატი და ევრო 2012). გარდა ამისა, აქამდე არც ერთ ევროპულ გუნდს არ ჰქონდა დაცული კონტინენტის ტიტული.

მართალია, **ვისენტე დელ ბოსკეს** შეგირდებს აკრიტიკებდნენ არც ისე დამაჯერებელი თამაშის გამო, მაგრამ ფინალში მათ უბრალოდ გაანადგურეს იტალია – 4:0.

## წლის დანაკარგი

30 აპრილს გარდაიცვალა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონი, 27 წლის ნორვეგიელი **ალექსანდრ დალე ოენი**. სიკვდილის მიზეზი – გულის შეტევა იყო.

23 სექტემბერს, 46 წლის ასაკში დაილუპა მსოფლიოს ექსჩემპიონი სუპერმძიმე წონით კატეგორიაში, სამხრეთაფრიკელი **კორი სანდერსი**. ის რესტორნის დაყაჩაღებისას თავდამსხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღით გამოასალმეს სიცოცხლეს.

25 ოქტომბერს კრივის სამყაროს კიდევ ერთი ცნობილი პიროვნება გამოაკლდა - უკრაინელი ძმები **კლიჩკოების** მწვრთნელი - **ემანულ სტიუარდი**. ეს მოხდა ვლადიმერ კლიჩკოსა და პოლონელი **მარიუშ ვახის** ბრძოლამდე ორი კვირით ადრე. ამიტომაც, უკრაინელმა თავისი მორიგი გამარჯვება თავის ყოფილ მწვრთნელს მიუძღვნა.

## წლის ცეკვა. GANGNAM STYLE

This is Gangnam Style! ჩოგბურთელი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, ფეხბურთელი **ნეიმარი**, ფორმულა 1-ის მრბოლელი **სებასტიან ფეტელი**, ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა** - მათ ბევრჯერ გაამხიარულეს 2012 წელს პუბლიკა კორეელი შემსრულებლის PSY-ის სუპერპოპულარული ჰიტზე ცეკვით.

## წლის შემოლაწუნება. დერეკ ჩისორა

ასეთი თავხედობა ძმები კლიჩკოების მიმართ სკანდალურად ცნობილ **დევიდ ჰეისაც** არ უკადრებია. თებერვალში უფროსი კლიჩკოსა და **დერეკ ჩისორას** ბრძოლისწინა აწონვაზე ბრიტანელმა სახეში გაარტყა უძლეველ უკრაინელს. ესეც არ იკმარა და მეორე დღეს, ბრძოლის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, სახეში შეაფურთხა ვლადიმერ კლიჩკოს.

ამით ჩისორას სკანდალური გამოხტომები არ დასრულებულა. წაგებული ბრძოლის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მან დევიდ ჰეისთან იჩხუბა.

## წლის ნახტომი

ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. 2012 წლის 14 ოქტომბერს, პირველად ისტორიაში ადამიანი 39 კილომეტრი სიმაღლიდან გადმოხტა და ყოველგვარი ტექნიკის დახმარების გარეშე, ვარდნისას გაუსწრო ბგერის სიჩქარეს. ეს ადამიანი იყო ავსტრიელი ექსტრემალი **ფელიქს ბაუმგარტნერი**.

ოთხი წუთის განმავლობაში მან მსოფლიოს სამი რეკორდი დაამხო: 1. საჰაერო ბურთით ყველაზე მაღალი ასვლა (39045 მეტრი); 2. ყველაზე დიდი სიმაღლიდან ნახტომი (წინა რეკორდი – 31 332 მეტრი); 3. ფრენისას გადააჭარბა ბგერის სიჩქარეს (1342 კმ/სთ). დავამატებთ, რომ ავსტრიელის ექსპერიმენტს პირდაპირ ეთერში თვალს ადევნებდა 8 მილიონი ადამიანი.

ამ უჩვეულო რეკორდის შემდეგ, ფელიქსმა სპორტული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

*"ეს ნახტომი უნდა ჩაითვალოს ჩემს წასვლად ექსტრემალური სპორტიდან. უფრო მეტის მიღწევა შეუძლებელია. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში მთავარი პროექტი"*, - განაცხადა ბაუმგარტნერმა.

**გია თვალაბეიშვილი**



მიხაელ შუმახერი



მაიკლ ფელპსი



ლონდონის ოლიმპიადა

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:40
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0128007000043608